საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ტექნიკური ანალიზის, წინასწარი პროექტის, სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება გურიის რეგიონის გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისათვის, შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში და მონიტორინგის/ზედამხედველობის მომსახურებების გაწევისათვის

კონტრაქტის № SRAMP/CS/QCBS-01

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტი
Sh-02, Sh-46, Sh-81 და Sh-83
გზებზე გზის მონაკვეთების რეაბილიტაციისათვის
(OPRC)

2019

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა 7

თავი 1. შესავალი 18

თავი 2: აღწერა და ზემოქმედების შეფასება 24

თავი 3: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების სოციო-ეკონომიკური პროფილი 27

თავი 4. სამართლებრივი რეგულაციის ჩარჩო 30

თავი 5. უფლებამოსილებები კომპენსაციაზე 39

თავი 6. საჯარო კონსულტაციები, ჩართულობა და განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის გასაჯაროვება 54

თავი 7. საორგანიზაციო სტრუქტურის ჩარჩოები 58

თავი 8. საჩივრების განხილვის მექანიზმი 66

თავი 9. ხარჯები და დაფინანსება 70

თავი 10. მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნები 76

თავი 11. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების განრიგი 79

დანართი 1. შეფასების მეთოდოლოგია 82

დანართი 2. საჩივრის ფორმა 85

დანართი 3. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტის საჯარო განხილვის შეხვედრები 85

დანართი 4. საჯარო საინფორმაციო პამფლეტი 128

დანართი 5. ფოტო გალერეა 137

ვალუტის გაცვლითი კურსი

1.00 USD = 2.67 GEL (2018 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით)

აბრევიატურები

ACS	–	შესყიდვისა და კომპენსირების სქემა
ARAP	–	განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმა
AH	–	ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობა
AP	–	ზემოქმედებაში მოქცეული პირი
CBO	–	სათემო ორგანიზაცია
DMS	–	დეტალური აზომვითი კვლევა
ESMP	–	გარემოსა და სოციალური მართვის გეგმა
GOG	–	საქართველოს მთავრობა
GRC	–	საჩივრების განხილვის კომისია
GRM	–	საჩივრების განხილვის მექანიზმი
IA	–	შემსრულებელი სააგენტო
IFI	–	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
IP	–	მკვიდრი მოსახლეობა
Km	–	კილომეტრი
LAR	–	მიწის შესყიდვა და განსახლება
LARC	–	მიწის შესყიდვისა და განსახლების კომისია
RPF	–	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი
RAP	–	განსახლების სამოქმედო გეგმა
M&E	–	მონიტორინგი და შეფასება
MOF	–	ფინანსთა სამინისტრო
MPR	–	ყოველთვიური ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ
MRDI	–	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NAPR	–	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NGO	–	არასამთავრობო ორგანიზაცია
ESIA	–	გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასება
RD	–	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
RDMRDI	–	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
RoW	–	გასხვისების ზოლი
RD	–	განსახლების განყოფილება
SES	–	სოციო-ეკონომიკური კვლევა
WB	–	მსოფლიო ბანკი
PIB	-	

ტერმინთა - ანკიკ

ზემოქმედებაში მოქცეული პირი (AP)	პირი, რომელზეც პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოახდენს უშუალო ზემოქმედებას
ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობა (AH)	ყველა წევრი შინამეურნეობისა, რომელიც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და ოპერირებს როგორც ცალკეული ეკონომიკური ერთეული და რომელზეც უარყოფითად მოქმედებს პროექტი. ზემოქმედებაში მყოფი შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი მცირე (ნუკლეარული) ოჯახისგან ან გაფართოებული ოჯახების ჯგუფისგან. ზოგ შემთხვევაში, ზემოქმედებაში მყოფი შინამეურნეობა მოიხსენიება როგორც მოწყვლადი შინამეურნეობა.
ბენეფიციარი თემი	ყველა პიროვნება და შინამეურნეობა, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ან შეძენილი ქონების ფარგლებში და რომელიც ნებაყოფლობით გამოთქვამს სურვილს, რომ ისარგებლოს პროექტითა და იყოს პროექტის ნაწილი და რომელიც წარმოდგენილია იმ სათემო ასოციაციის მიერ, რომელსაც სათანადო წესით აღიარებს თემის მოსახლეობა, აკრედიტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და იურიდიული წესით რეგისტრირებულია შესაბამის ორგანოებში.
კომპენსაცია	შესყიდული ქონების ჩანაცვლების ღირებულების გადახდა ნაღდი ფულით ან ნატურით.
უფლებამოსილებები	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების დანაკარგების გათვალისწინებით, მათი ეკონომიკური და სოციალური ბაზის აღსადგენად გასატარებელი მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს დაზარალებულ პირთა კომპენსაციას, შემოსავლის აღდგენას, მოსავლის ჩანაცვლებას და დახმარება ტრანსფერისა და ადგილმონაცვლეობის პროცესში.
კეთილმოწყობა	აშენებული შენობები (საცხოვრებელი ბინა, ღობე, მოსაცდელი, ცხოველების სადგომი, კომუნალური კომპლექსი, სოციალური სფეროს ობიექტები, მაღაზიები, საწყობები და ა.შ.) და პიროვნების, შინამეურნეობის, დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ მოყვანილი სოფლის მეურნეობის კულტურები (მოსავალი, ხე-ტყე) ან მათ მიერ გაშენებული ნარგავები.
მიწის შესყიდვა	პროცესი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო უწყება, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია დაავალდებულოს პირი მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილობრივ გაასხვისოს სახელმწიფოს სასარგებლოდ შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ.

კანონიერი მფლობელები	პირები, რომელთაც აქვთ საკუთრების უფლება ან რომლებიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულნი არიან როგორც ქონების მფლობელები.
რეაბილიტაცია	საკომპენსაციო ზომები, გარდა შეძენილი ქონების ჩანაცვლების ხარჯებისა, რომელთა ანაზღაურებაც ხდება განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად და რომლის მიზანიც არის, რომ გააუმჯობესოს, ან მინიმუმ შეინარჩუნოს, ცხოვრების ხარისხისა და საცხოვრებელი პირობების განსახლებამდელი დონეები.
ადგილმონაცვლეობა	ზემოქმედებაში მყოფი პირების/შინამეურნეობების ფიზიკური გადაადგილება პროექტის განხორციელებამდე არსებული საცხოვრებელი ადგილიდან.
ჩანაცვლების ღირებულება	ღირებულება, რომელიც განისაზღვრება მიწის სამართლიანი კომპენსაციით, რომელიც დაფუძნებულია მიწის საწარმოო პოტენციალსა და მდებარეობაზე. სახლებისა და შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების ღირებულება (სამშენებლო მასალების, მუშახელის, რეალური საბაზრო ფასის, გასაყიდი ფასის შემცირების ან ნარჩენი სამშენებლო მასალების ღირებულების გამოკლების გარეშე) და საბაზრო ფასი სამოსახლო მიწის, მოსავლის, ხეების და სხვა საქონლისა, ასევე ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც საკმარისია ქონების ჩანაცვლებისთვის მათ შორის გადასახადები მიწის შესყიდვისთვის და გადაადგილების ხარჯები.
განსახლება	პროექტის ნებისმიერი და ყველა უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისთვის მიღებული ყველა ზომა, რომელიც გულისხმობს კომპენსაციას, ადგილმონაცვლეობას (შესაბამის შემთხვევებში), დაზიანებული/დანგრეული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და დამონტაჟებას.
საკრებულო	ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. ადგილობრივი თვითმმართველობების საშუალო დონე შედგება 67 რაიონისგან და ექვსი ქალაქისგან საქართველოში: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ბათუმი და სოხუმი. რაიონული დონის წარმომადგენლობითი ორგანო არის რაიონული საკრებულო, ხოლო აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს რაიონული გამგეობა. თვითმმართველობის დონე მოიცავს თვითმმართველ დასახლებულ პუნქტებს (ქალაქებს) ან დასახლებული პუნქტების ჯგუფს (მუნიციპალიტეტებს). მუნიციპალიტეტები შეიძლება იყოს სოფლები, მცირე ზომის ქალაქები (მინიმუმ 3,000 მაცხოვრებელი) და ქალაქები (მინიმუმ 5,000 მაცხოვრებელი). მუნიციპალურ დონეზე თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი შტოები წარმოდგენილია ადგილობრივი საბჭოს (საკრებულო) და გამგებლის სახით. თვითმმართველობის ექსკლუზიური პასუხისმგებლობა მოიცავს მიწის გამოყენებისა და ტერიტორიულ დაგეგმარებას, განაწილებას ზონების მიხედვით, სამშენებლო და ზედამხედველობით ნებართვებს, საცხოვრებელ პირობებს და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მძაფრ ზემოქმედებაში მოქცეული პირი	შინამეურნეობები (მათ შორის არაოფიციალური მაცხოვრებლები), რომლებიც პროექტთან დაკავშირებით მიწების შესყიდვის გამო, კარგავენ იმ მიწების 10%-ზე მეტს, რომლებიც მათი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.
მოწყვლადი ჯგუფები	ადამიანები, რომლებიც შესაძლოა მათი სქესის, ეროვნების, ასაკის, ფიზიკური ან მენტალური უუნარობის, ეკონომიკური სიდუხჭირის, ან სოციალური სტატუსის გამო სხვებთან შედარებით უფრო მძიმედ დაზარალდნენ განსახლების გამო და რომელნიც მოკლებულნი არიან უნარს, რომ გამოთქვან საჩივარი ან მიიღონ სარგებელი განსახლების ფარგლებში გათვალისწინებული დახმარებისგან ან მიიღონ სარგებელი განსახლებისგან გამოწვეული განვითარებიდან.

მოკლე მიმოხილვა

რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის და შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ქსელის გაუმჯობესება. გზების რეაბილიტაციის მთლიანი პროექტის სტრატეგიების შესაბამისად, ხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის მესამე პროექტი (SLRP III), საქართველოს სატრანსპორტო ქსელის დახვეწის მიზნით.

მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობას 2004 წლიდან ეხმარება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ქსელების რეაბილიტაციაში. სამი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის მიზანია გაუმჯობესდეს გზების მდგომარეობა და მოხდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური და მართვის მხარის გაუმჯობესება. აღნიშნული დახმარების წყალობით შესაძლებელი გახდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებში არსებული ჩამორჩენის ანაზღაურება და შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების წილის გაზრდა მართებული და სამართლიანი პირობებით.

შიდასახელმწიფოებრივი გზები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში, რადგანაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი მათზე არის დამოკიდებული, რადგანაც ისინი ცხოვრობენ სოფლებში და მცირე ზომის ქალაქებში და მათი 75% საარსებო სახსრებს გამოიმუშავებს სოფლის მეურნეობის საშუალებით. ისინი შიდასახელმწიფოებრივ გზებს იყენებენ შემდეგი მიზნებისთვის: (i) წვდომა ბაზრებსა და სოციო-ეკონომიკურ ცენტრებზე, (ii) ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება, და (iii) დასაქმების ახალი შესაძლებლობების ძიება. საჭიროა განვითარებული სატრანსპორტო ქსელი, გზებზე გაწეული დანახარჯების გაზრდის საშუალებით, რათა შემცირდეს სიღარიბის მხრივ არსებული უთანასწორობა ქვეყნის რეგიონებს შორის, რათა შეიქმნას სასოფლო ეკონომიკის ინტეგრაციის პლატფორმა, მოხდეს კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა და შეიქმნას სამუშაო ადგილები. გაუმჯობესებული შიდასახელმწიფოებრივი გზები ამცირებს ბაზრებსა და მომსახურებებზე წვდომის დანახარჯებს, ღარიბი და იზოლირებული რეგიონებისთვის ზრდის წვდომის შესაძლებლობას, ქმნის პირდაპირი დასაქმების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას. გზების გაუმჯობესების დაფინანსება განსაკუთრებულ სარგებელს წარმოადგენს იმ ფერმერებისთვის, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ჩამორჩენილ რეგიონებში, სადაც მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალია.

მოცემული პროექტი ხელს შეუწყობს მთავრობის პროგრამის განხორციელებას შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების გაუმჯობესებისა და შენარჩუნების კუთხით და დააჩქარებს შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტების მოდალობებს. ის ითვალისწინებს გურიის შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესებასა და მოვლას, შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტების (OPRC) ფარგლებში. გზების საჭირო კონდიციებამდე მიყვანისათვის, პროექტით გათვალისწინებული გზების მონაკვეთების რეაბილიტაცია მოხდება საპროექტო-სამშენებლო კონტრაქტების საშუალებით.

TNM Limited-ს, ისრაელი, (შემდგომში, "კონსულტანტი") მიენიჭა კონტრაქტის გაფორმების უფლება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ (შემდგომში, „შემკვეთი") 2017 წლის ნოემბერში. კონტრაქტი ითვალისწინებს „საგზაო ქსელის შეფასებას, დეტალური დიზაინის მომზადებას, გარემოსა და სოციალური მართვის დოკუმენტების მომზადებას და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას გურიის რეგიონის გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისათვის,

შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში და მონიტორინგის/ზედამხედველობის მომსახურებების გაწევისათვის“.

SLRP III-ის მთავარი მიზნებია, რომ შემცირდეს ტრანსპორტირების ხარჯების პროექტით გათვალისწინებულ გზებზე და გაუმჯობესდეს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ქსელის პროექტის აქტივების მართვის მდგრადობა. ამას გარდა, პროექტი წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან დერეფნებს ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგიის (CPS) ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ორ სქემატურ მიდგომას:

- საჯარო მომსახურებების მიწოდების გაუმჯობესება, რათა დამტკიცდეს ეკონომიკური ზრდა; და
- კერძო სექტორს მიეცეს სამუშაო ადგილების შექმნის საშუალება, გაუმჯობესებული კონკურენციის საშუალებით.

პროექტის დასრულების შემდეგ შესაძლებელია შემდეგი არა-მონეტარული ეფექტების მიღწევა:

- ეკონომიკური განვითარება: გზების მდგომარეობის გაუმჯობესებამ შესაძლოა აღმოფხვრას ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები. ტრანსპორტირების შემცირებულ ხარჯებს და/ან გაუმჯობესებულ წვდომას შეუძლია რეგიონისთვის ეკონომიკური აქტივობის უკეთესი კომპეტენცია შექმნას
- გზისპირა მომსახურების ინდუსტრიები: გზის მდგომარეობის გაუმჯობესებამ შესაძლოა გაზარდოს აღნიშნული გზის დატვირთულობა, რაც გაზრდის ისეთი გზისპირა ბიზნესების ადგილობრივ შემოსავლებს, როგორებიც არის ბენზინგასამართი სადგურები, მოტელები, რესტორნები და სხვა.
- ტურიზმი: დიდი ალბათობით, გზების გაუმჯობესება მოიზიდავს დამატებით ვიზიტორებს რეგიონში, გაიზრდება ადგილობრივი შემოსავლები და ზოგადი კეთილდღეობა, ასევე სოციალური სარგებელი: გზის მდგომარეობის გაუმჯობესება გაზრდის წვდომას ჯანდაცვაზე, განათლებაზე, კულტურულ აქტივობებზე და სხვა სოციალურ საჭიროებებზე.

პროექტის მიზნები

პროექტის განვითარების მიზნებია გზის მომხმარებლების წვდომის გაუმჯობესება სოციალურ მომსახურებებსა და ბაზრებზე პროექტით გათვალისწინებული გზების საშუალებით მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალებით, ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირება პროექტით გათვალისწინებულ გზებზე და შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზების ქსელზე გზების აქტივების მართვის მდგრადობის გაუმჯობესება.

შერჩეულ გზის მონაკვეთებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები უზრუნველყოფს: (i) პროექტით გათვალისწინებულ გზებზე მგზავრობის ხარისხის გაუმჯობესებას; (ii) გზის საფარის დაზიანებების შემცირებას; და (iii) გზის საფარის სიძლიერის გაზრდას, რაც თავის მხრივ შეამცირებს სატრანსპორტო საშუალებების საოპერაციო დანახარჯებს, მგზავრობისთვის საჭირო დროს და პროექტით გათვალისწინებული გზების სამომავლო მოვლის მოთხოვნილებებს.

დიზაინის მომზადებასთან დაკავშირებული აქტივობები გზის **სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოებისათვის**, როგორც აღწერილია საწყის ანგარიშში, განსაზღვრავს შეთავაზებულ მიდგომას და მეთოდებს, საწყის ეტაპზე მიღებულ ინფორმაციას, დეტალურ სამუშაო პროგრამას და რეაბილიტაციისთვის შერჩეული გზის მონაკვეთების წინასწარ დასკვნებს.

შემკვეთის მიერ დადგენილი და 3.1 ცხრილში მოცემული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ქსელის შეფასება[1] გურიის რეგიონისთვის განხორციელდა საინჟინრო და ეკონომიკური შეფასების საფუძველზე. შერჩეული გზების მონაკვეთების არსებული მდგომარეობა შეჯამებულია 2.2 ცხრილში წინასწარ ანგარიშში. მდგომარეობის შესახებ დეტალები აღწერილია ქსელის შეფასების ანგარიშში. ქსელის შეფასების შედეგად დადგინდა ჯამში 67.7 კმ. სიგრძის მონაკვეთები, რომელთა რეაბილიტაციას რეკომენდებულია. რეაბილიტაციისთვის შერჩეული გზის მონაკვეთები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 1.

ცხრილი 1. რეაბილიტაციისთვის შერჩეული გზის მონაკვეთები

გზის ID	გზის დასახელება	მონაკვეთი		დამტკიცებული სიგრძე (კმ.)	არსებული საფარის ტიპი	შეთავაზებული საფარის ტიპი
		-დან	-მდე			
Sh02	საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი	17+000	19+500	2.500	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		35+000	43+600	8.600	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		47+200	48+000	0.800	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		54+000	60+000	6.000	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		60+000	67+700	7.700	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
Sh46	ოზურგეთი-ნატანები-ურეკი	0+000	2+800	2.800	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		16+000	21+200	5.200	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		21+700	22+000	0.300	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
Sh81	ჩოხატაური-ბახმარო	15+900	21+400	5.500	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		22+500	24+500	2.000	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		34+000	50+000	16.00	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
Sh83	ჩოხატაური-ზომლეთი	3+500	13+800	10.300	გრუნტის საფარი (ხრეში)	ასფალტის საფარი
			მთლიანი სიგრძე	**67.7**		

წყარო: კონსულტანტის „ქსელის შეფასების ანგარიში ვერსია 2“

მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმა (შემდგომში ARAP) მომზადებულია ზემოთ ჩამოთვლილი გზის მონაკვეთებისთვის, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის SLRP III პროექტის ფარგლებში. პროექტის დაფინანსებასა და განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა.

[1] ქსელის შეფასების დეტალები მოცემულია კონსულტანტის „ქსელის შეფასების ანგარიში ვერსია 2“-ში, რომელიც წარდგენილია 2018 წლის 17 ივლისს.

პროექტის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მცდელობა

გზის დერეფნის ოპტიმიზაცია მოხდა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.

შერჩეული გზის მონაკვეთზე არ მოითხოვება კერძო საკუთრებაში არსებული მიწების შესყიდვა რეაბილიტაციის დროს, წინასწარ დამტკიცებული მიდგომის წყალობით - სტანდარტიდან გადახვევა ფაქტობრივი შეზღუდვების შემცირების მიზნით[2]

ამას გარდა, გარკვეულ ადგილებში, კერძო საკუთრებებს არსებული ფართები არ იძლევა გზის გაფართოვების საშუალებას სასურველ მინიმალურ სიგანემდე. განახლებისა და კერძო საკუთრებებზე ზემოქმედების თავიდან აცლების მიზნით, გზების არსებულ ადგილებზე მოხდება სიგანის კორექტირება არსებული ფართის ფარგლებში.

დიზაინის პარამეტრები და სტანდარტებიდან შესაძლო გადახვევა გზის თითოეული მონაკვეთისათვის განიხილება და საბოლოოდ შეთანხმება შემკვეთთან.

ზემოქმედების ფარგლებში

მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტი მოიცავს სარეაბილიტაციო მონაკვეთებს, სადაც აღინიშნება ზემოქმედება კერძო აქტივებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია გზებისა და კონკრეტული მონაკვეთების მონაცემები, მონაკვეთების კოორდინატები, თითოეული მონაკვეთის სიგრძე და გეოგრაფიული მდებარეობა, თითოეული გზის მონაკვეთის გასწვრივ მდებარე მუნიციპალიტეტებისა და სოფლების მიხედვით.

ცხრილი 2. გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთების გასწვრივ მდებარე სოფლები

გზის ID	გზის დასახელება	მონაკვეთი		დამტკიცებული სიგრძე (კმ)	მუნიციპალიტეტი	სოფლები
		-დან	-მდე			
Sh02	საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი	17+000	19+500	2.500	ჩოხატაური	ზემო ფარცხმა, ჩოხატაური
		35+000	**43+600**	**8.600**	ოზურგეთი	ქალაქი ოზურგეთი
		47+200	48+000	0.800	ოზურგეთი	ქალაქი ოზურგეთი
		54+000	**60+000**	**6.000**	ჩოხატაური	ქაქუთი, ლეღვა
		60+000	**67+700**	**7.700**	ქობულეთი	წყავროკა, მუხაესტატე
Sh46	ოზურგეთი-ნატანები-ურეკი	**0+000**	**2+800**	**2.800**	ოზურგეთი	ქალაქი ოზურგეთი, გურიანთა
		16+000	**21+200**	**5.200**	ოზურგეთი	ნატანები, წვერმაღალა
		21+700	22+000	0.300	ოზურგეთი	ნატანები
Sh81	ჩოხატაური-ბახმარო	**15+900**	**21+400**	**5.500**	ჩოხატაური	ხევი, ბუქსიეთი
		22+500	24+500	2.000	ჩოხატაური	ნაბეღლავი, ქვაბღა
		34+000	50+000	16.00	ჩოხატაური	ბახმაროს გზა

[2] მიუხედავად პროექტით გათვალისწინებული სიჩქარის 30 კმ/სთ შემცირებისა, არსებობს ჰორიზონტალური მოსახვევები, რომელთა რადიუსიც ჩამოუვარდება მინიმალურ მოთხოვნას - 35 მეტრს. შესაბამისად, გამოყენებულია პარამეტრები სერპენტინებისთვის, რომლებიც ითვალისწინებ მინიმალურ ჰორიზონტალურ რადიუსს R=15მ (მინიმალური რადიუსები, რომლებზე მოტრიალებაც სტანდარტულ სატვირთოებს შეუძლიათ), რათა თავიდან იყოს აცილებული განსახლება და არ გაიზარდოს არსებული გასხვისების ზოლის საზღვრები. გზის „გაფართოვების“ მიდგომა მოსახვევებში ასევე არ გამოიყენება ადგილებში, სადაც გაფართოვების შედეგად მოხდებოდა კერძო საკუთრებაში შეჭრა. წყარო: საწყისი ანგარიში

Sh83	ჩოხატაური-ზომლეთი	3+500	13+800	10.300	ჩოხატაური	გოგოლესუბანი, შუა განახლება, ამაღლება, სამება, ვანი
მთლიანი სიგრძე				67.7		

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტი ეფუძნება დეტალურ დიზაინსა და დეტალური აზომვითი კვლევის შედეგებს და მოიცავს გზის ყველა მონაკვეთს, სადაც ფიქსირდება პროექტის ზემოქმედება და ხდება ზემოქმედებაში მოქცეული პირების იდენტიფიცირება განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგად. მოცემული ოთხი გზის რეაბილიტაციის დროს მოსალოდნელია დროებითი მცირე მასშტაბის ზემოქმედება სახელმწიფო და/ან კერძო საკუთრებაში არსებული სამოსახლო მიწის ნაკვეთების ზოგიერთ ღობეზე, არსებული გზის გასწვრივ მდებარე მიწისქვეშა წყლის მილების შეცვლის დროს.

ცხრილი 3. ზემოქმედებაში მოქცეული პირებისა და მიწის ნაკვეთების რაოდენობა, რომლებზეც ფიქსირდება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეები

გზის No#	სულ ზემოქმედებაში მოქცეული ერთეული	სახელმწიფო	კერძო ნაკვეთები	ადგილზე მყოფი შინამეურნეები	ადგილზე მყოფი პირები	დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები/დაუდგენელი მფლობელობა	კერძო რეგისტრირებული	დაურეგისტრირებელი, კერძო მფლობელობაში არსებული
SH-02	19	7	12	4	4	8	4	0
SH-46	10	0	10	6	18	4	6	0
Sh-81	3	0	3	3	3	0	1	2
SH-83	47	1	46	20	31	22	14	10
	79	**8**	**71**	**33**	**56**	**34**	**25**	**12**

წყარო: დეტალური აზომვითი კვლევის შედეგები

მთლიანობაში, მოცემულ 67.7 კმ. სიგრძის სარეაბილიტაციო მონაკვეთზე იდენტიფიცირებულია მხოლოდ 79 ადგილი, სადაც ფიქსირდება პროექტის ზემოქმედება ღობეებზე. მთლიანი რაოდენობიდან სამოცდათერთმეტი (71) მიწის ნაკვეთი, რომლებსაც აკრავს ღობე, კერძო საკუთრებაში ან გამოყენებაშია და 8 მიწის ნაკვეთი კი სახელმწიფო საკუთრებაშია.

მოცემული 71 კერძო მიწის ნაკვეთიდან მხოლოდ 25 მიწის ნაკვეთის არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, 10 მიწის ნაკვეთი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მაგრამ მათი მფლობელების იდენტიფიცირება მოხერხდა აღწერის, სოციო-ეკონომიკური კვლევისა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაციის დროს. დანარჩენი 34 მიწის ნაკვეთი, რომლებზეც უმეტეს შემთხვევაში განთავსებულია ცარიელი საცხოვრებელი სახლები, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და არც მფლობელების მიერ არის დაკავებული. შეთავაზებული გზის სარეაბილიტაციო აქტივობების დროს არ არის მოსალოდნელი სხვა სახის გავლენა კერძო საკუთრებაზე და არ არის მოსალოდნელი მიწის შესყიდვის საჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი პროგნოზების მიხედვით საჭირო იქნება მხოლოდ სხვადასხვა სახის ღობის დროებითი მოშლა და ხელახალი დაყენება, სარეაბილიტაციო აქტივობების დროს მოცემული მიწის ნაკვეთების მფლობელებმა და მესაკუთრეებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა მიწის სამუშაოებისთვის და სამშენებლო აქტივობებისთვის, რომ გზის გვერდულების ზედაპირის

ქვეშ განთავსდეს წყლის ახალი მილები. საერთო ჯამში, პროექტის მთლიან დროებით ზემოქმედებაში მოექცევა 2,080 გრძივი მეტრი ღობე.

ცხრილი 4. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების სიგრძე, გზის მონაკვეთისა და ღობის ტიპის შესაბამისად

გზის No	SH -02	SH -46	SH-81	SH-83	სულ
უბრალო ხის ღობე (მეტრი)	0	12	0	600	**612**
ხის ფიცრების ღობე (მეტრი)	0	10	8	466	**484**
რკინის ბადიანი ღობე (მეტრი)	0	32	0	148	**180**
ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფირფიტები (მეტრი)	45	8	0	18	**71**
მავთულხლართი (მეტრი)	392	0	7	284	**683**
ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფილები (მეტრი)	0	0	14	36	**50**
სულ	**437**	**62**	**29**	**1552**	**2080**

წყარო: დეტალური აზომვითი კვლევის შედეგები

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირები, იქნება ეს მიწის მესაკუთრე თუ მოსარებლე მიიღებს კომპენსაციის პროექტის ზემოქმდებაში მოქცეული ღობის აღსადგენად. პროექტის ზემოქმდებაში მქცეულ ყველა პირს ექნება არჩევანის უფლება: მიიღოს ფულადი კომპენსაცია და სამუშაოების დასრულების შემდეგ აღადგინოს საკუთარი ღობე; ან უარი თქვას საკომპენსაციო თანხის მიღებაზე და დათანხმდეს პირობას, სამშენებელო კომპანიამ საკუთარი ხარჯით მოახდინოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღდგენა.

თუ კონკრეტულ მონაკვეთზე მშენებელობის დაწყების მომენტისათვის დაუდგენელი იქნება ღობის მფლობელის ვინაობა ან მისი ადგილმდებარეობა, სამშენებლო კომპანიას უფლება ექნება საკუთარი ხარჯებით აღადგინოს დაზიანებული ღობე, კონკრეტულ მონაკვეთზე გზის სარეაბილიტაციოს სამუშაოების დასრულებისთანავე. ღობის აღდგენითი ღირებუ;ების გაანგარიშება მოხდება წინამდებარე ARAP-ში წარმოდგენილი ემთოდლოგიის შესაბამისად. ან, სამშენებლო კომპანია ღობის აღდგენის ხარჯებს განსაზღვრისას პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირთან შეთანხმებით.

სამშებენლო კომპანიის ვალდებულება იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღებისას უზრუნველყოს დროებითი ზღუდარის მოწყობა, ან არსებული გადაიტანოს ისე რომ მიწის ნაკვეთზე არ მოხდეს უცხო პირების, ან საქონლის შეღწევა და არ დაზიანდეს მოსავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო კომპანია.

დამატებით, სამშებენლო კომპანიის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღებისას უზრუნველყოფს დროებითი ზღუდარის მოწყობას, რათა მიწის ნაკვეთზე არ მოხდეს უცხო პირების, ან საქონლის შეღწევა და არ დაზიანდეს მოსავალი.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო კომპანია იმგვარად დაგეგმავს და წარმართავს მშენებლობის პროცესს, რომ ზემოქმედებაში მოქცეულ შინამეურნეობებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა და თავისუფალი გადაადგილების საშუალება გზაზე და ჰქონდეთ წვდომა თავიანთ ქონებასა და საზოგადოებრივ შენობებზე.

საერთო ჯამში 208 არამსხმოიარე, წიწვოვანი ნარგავი, ძირითადად ***იაპონური კედარი,*** რომლებიც დარგულია არსებული გზების გასწვრივ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე[3], მოიჭრება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ექსკავატორის მოძრაობა ძველი წყლის მილების ახლებით შეცვლის დროს. გზის რეაბილიტაციის ფარგლებში აღნიშნულ მონაკვეთებზე არ მოხდება ფოთლოვანი ხეების მოჭრა. მოცემული ნარგავები არ არის ეროვნული სატყეო ფონდის ჩანაწერებში ასახული.

ცხრილი 5. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთების გასწვრივ მდებარე, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული წიწვოვანი ნარგავები

გზის No	მონაკვეთი	სულ ზემოქმედებაში მოქცეული არამსხმოიარე ნარგავები	დიამეტრი: 80 მმ.-160 მმ.	დიამეტრი: 160 მმ.-240 მმ.	დიამეტრი: > 240 მმ
SH-02	35.0-43.6	31	20	10	1
SH-02	54.0-67.7	29	1	10	18
SH-46	16.0-22.0	36	9	10	17
SH-81	22.5-24.5	27	15	6	6
SH-83	3.5-10.8	85	46	25	14
	სულ	**208**	**91**	**61**	**56**

წყარო: დეტალური აზომვითი კვლევის შედეგები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ 208 არამსხმოიარე ნარგავს შორის არის 12 თორმეტი (12) ფოთლოვანი ნარგავი, რომელიც ეროვნული სატყეო ფონდის საკუთრებაშია, SH-81 ჩოხატაური-ბახმაროს სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთზე კმ 34 - კმ 50. ეროვნული სატყეო ფონდის ბალანსზე არსებული ნარგავების იდენტიფიცირების პროცესი კვლავ მიმდინარეობას, შესაბამისად, არსებობს ალბათობა, რომ გაიზარდოს მსგავსი ნარგავების რაოდენობა. ხის მოჭრის პროცედურების მონიტორინგი ხდება ადგილზე კონკრეტული ESMP-ის საშუალებით, OP/BP 4.01-ით განსაზღვრული პრინციპებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია შეთავაზებული პროექტის ზემოქმედების შეჯამება.

ცხრილი 6. შეთავაზებული პროექტის ზემოქმედების შემაჯამებელი მონაცემები

#	საგნის აღწერა	საზომი ერთეული	რაოდენობა

[3] These non-fruit bearing, coniferous perennials are standing right along the road ROW further from the private land parcels. No one is eligible to claim for these perennials and therefore no cash compensation is considered for these non-fruit bearing perennials.

A	**ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობები**		
1	უბრალო ხის ღობე	გრძივი მეტრი	612
2	ხის ფიცრების ღობე	გრძივი მეტრი	484
3	რკინის ბადიანი ღობე	გრძივი მეტრი	180
4	ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფირფიტები	გრძივი მეტრი	71
5	მავთულხლართი	გრძივი მეტრი	683
6	ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფილები	გრძივი მეტრი	50
7	ქვე-ჯამი	გრძივი მეტრი	2,080
B	**ზემოქმედებაში მოქცეული ნარგავები**		
8	არამსხმოიარე, წიწვოვანი ნარგავები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე არის განთავსებული	რაოდენობა	208
C	**ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობები**		
9	სულ ადგილზე მყოფი AH	რაოდენობა	33
11	სულ ადგილზე მყოფი AP	რაოდენობა	56
11	ზემოქმედებაში მოქცეული მამაკაცები	რაოდენობა	33
12	ზემოქმედებაში მოქცეული ქალები	რაოდენობა	23
13	მძაფრ ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობები	რაოდენობა	0
14	მოწყვლადი შინამეურნეობები	რაოდენობა	0
15	ფიზიკურად/ეკონომიკურად გადაადგილებული შინამეურნეობები	რაოდენობა	0

წყარო: კონსულტანტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები

რომ შევაჯამოთ, მოცემულ ეტაპზე არსებული მონაცემების თანახმად, პროექტის ზემოქმედება მინიმუმამდე არის შემცირებული და მოიცავს სხვადასხვა სახის 2,080 მეტრი სიგრძის ღობეებს, რომლებიც აკრავს 79 მიწის ნაკვეთს; აქედან 8 ნაკვეთი არის სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო 71 არის კერძო საკუთრებაში ან მოხმარებაში.

აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევის დროს არ გამოვლენილა მძაფრ ზემოქმედებაში მოქცეული ან მოწყვლადი შინამეურნეობების შემთხვევები. შეთავაზებული გზის მონაკვეთების სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი ფიზიკური განსახლება და/ან ეკონომიკური გადაადგილება.

პროექტის ამოცანების განხორციელება მოხდება საკომპენსაციო უფლებამოსილებებისა და კრიტერიუმების ფარგლებში, რომლებიც შეესაბამება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ისე მსოფლიო ბანკის OP 4.12 პოლიტიკას. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმა და უფლებამოსილებების მატრიცა[4] მომზადდა EWHCIP AF-ისთვის 2017 წელს მომზადებული ყველაზე შესაფერისი ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა განსახლების ზეგავლენას ქალებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე, განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების დროს და პროექტის სრული მიმდინარეობის ციკლის განმავლობაში. პროექტი მოახდენს დადებით ზემოქმედებას გენდერული კუთხით და სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტებში მოცემული იქნება პირობა, რომელიც წაახალისებს ქალების დასაქმებას პროექტის განხორციელებისას.

[4] კომპენსაციებზე უფლებამოსილებების მატრიცა მოცემულია განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტის მე-5 თავში.

პროექტის კლასიფიკაცია

შეფასების დროს, პროექტს მიენიჭა B კატეგორია.

შეთავაზებული გზის პროექტი არ გამოიწვევს არ ერთი შინამეურნეობის მიწის შესყიდვას, ფიზიკურ განსახლებას ან ეკონომიკურ გადაადგილებას. ამას გარდა, ზემოქმედების ფარგლებში ექცევა მხოლოდ 2,080 გრძივი მეტრი ღობეებისა, რომლებიც აკრავს 8 სახელმწიფო და 71 კერძო მიწის ნაკვეთს და 208 წიწვოვანი ნარგავი, რომლებიც განთავსებულია სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთების გასწვრივ მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე.

შესაბამისად, რეკომენდებულია შეთავაზებული გზის პროექტისთვის B კატეგორიის მინიჭება.

მოცემული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დაფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (RDMRDI) აიღო პასუხისმგებლობა გზის მშენებლობაზე და მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე. განსახლების შემოკლებულ სამოქმედო გეგმას განახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების უწყება (RD). მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) კომისია (LARC) დაეხმარება განსახლების განყოფილებას მიწის შესყიდვისა და განსახლების აქტივობების გატარებაში და განსახლების განყოფილება წარმოდგენილი იქნება საველე დონეზე სამუშაო ჯგუფის სახით, რომლის შემადგენლობაში იქნებიან იურიდიული, ეკონომიკური და საინჟინრო სფეროების ექსპერტები საავტომობილო გზების დეპარტამენტის სხვა განყოფილებებიდან. ტრანსპორტის რეფორმირებისა და რეაბილიტაციის ცენტრი (TRRC) შეიქმნა როგორც მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფინანსური მართვის დამოუკიდებელი ორგანო. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სხვა სამთავრობო დეპარტამენტი შეასრულებს დამხმარე როლს განსახლების სამოქმედო გეგმის განახლებასა და განხორციელებაში. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დახმარებას გაუწევს პროექტს მიწების საკუთრების რეგისტრაციაში და მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისგან ქონების საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის გადაფორმებაში, შესყიდვის ხელშეკრულების საშუალებით. ადგილობრივი თვითმმართველობები ასევე ჩართულები იქნებიან მთელი პროცესის განმავლობაში.

მსოფლიო ბანკი არის დამფინანსებელი სააგენტო ხოლო RDMRDI არის მოცემული პროექტის შემსრულებელი სააგენტო (IA). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (RDMRDI) აიღო პასუხისმგებლობა გზის მშენებლობაზე და მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე. განსახლების სამოქმედო გეგმას განახორციელებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების განყოფილება (RU) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების უწყება. მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) კომისია (LARC) დაეხმარება განსახლების განყოფილებას მიწის შესყიდვისა და განსახლების აქტივობების გატარებაში და განსახლების

განყოფილება წარმოდგენილი იქნება საველე დონეზე სამუშაო ჯგუფის სახით, რომლის შემადგენლობაში იქნებიან იურიდიული, ეკონომიკური და საინჟინრო სფეროების ექსპერტები საავტომობილო გზების დეპარტამენტის სხვა განყოფილებებიდან. დამატებით, განსახლების განყოფილებას მიწის შესყიდვისა და განსახლების გუნდი დაეხმარება რაიონულ დონეზე, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობისას.

ტრანსპორტის რეფორმირებისა და რეაბილიტაციის ცენტრი (TRRC) შეიქმნა როგორც მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფინანსური მართვის დამოუკიდებელი ორგანო. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სხვა სამთავრობო დეპარტამენტი შეასრულებს დამხმარე როლს განსახლების სამოქმედო გეგმის განახლებასა და განხორციელებაში. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დახმარებას გაუწევს პროექტს მიწების საკუთრების რეგისტრაციაში და მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისგან ქონების საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის გადაფორმებაში, შესყიდვის ხელშეკრულების საშუალებით. ადგილობრივი თვითმმართველობები რაიონულ და სოფლის დონეზე ჩართულები არიან და ჩართულები იქნებიან მთელი პროცესის განმავლობაში.

განსახლების სამმართველოს მიერ დანიშნული ოფიციალური პირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღწერითი კვლევების ჩატარებაში. განსახლების სამმართველოს თანამშრომლებმა და მიწის შესყიდვებისა და განსახლების ადგილობრივი გუნდის წევრებმა გაიარეს არაფორმალური ტრენინგები ტექნიკური შესაბამისობის კვლევის დროს. მიწის შესყიდვისა და განსახლების უწყებების წევრები გაივლიან ტრენინგებს განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელებამდე.

საჩივრების განხილვის მექანიზმი ხელმისაწვდომია საწყისი პროექტისათვის, რათა ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს ჰქონდეთ ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომელსაც არ ეთანხმებიან და რომელიც შეეხება მიწის ან სხვა აქტივების საკომპენსაციო პრაქტიკას ან ქმედებას. საჩივრების განხილვების კომისიები ადგილობრივ დონეზე მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ზემოქმედებაში მოქცეული პირების წარმომადგენელს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელს და კონსულტანტს. ზემოქმედებაში მყოფი პირები ინფორმირებულები არიან თავიანთი უფლებების შესახებ და საჩივრების სიტყვიერი ან წერილობითი სახით დაფიქსირების შესახებ. მათ ინფორმაცია მიეწოდათ კონსულტაციების, კვლევებისა და კომპენსაციების გაცემის დროს. ყოველთვის გამოყენებული იქნება ყველა ძალისხმევა, რომ საჩივრების პრევენცია მოხდეს საჩივრების განხილვის ოფიციალური პროცესის გავლამდე.

სავარაუდო ზემოქმედებაში მოქცეული პირების კონსულტირება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ტერიტორიაზე ჩატარდა განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებისას, 2018 წლის 29 ნოემბერი - 5 დეკემბრის პერიოდში. კონსულტანტმა ჩაატარა რიგი საპროექტო ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები ოზურგეთი, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული სოფლების წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, პროექტის საორიენტაციო შეხვედრების ფარგლებში, კონსულტაციები მიიღეს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულმა პირებმა, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეებისა და მათი მფლობელების იდენტიფიცირების პროცესში,

რომელსაც მოყვა ინდივიდუალური კონსულტაციები აღწერის, სოციო-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური აზომვითი კვლევის საშუალებით.

ამას გარდა, ადგილზე მყოფმა, ზემოქმედებაში მოქცეულმა შინამეურნეობებმა მიიღეს კონსულტაციები პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაციის დროს. არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი შეხვედრები, კერძო საკუთრებებზე პროექტის უმნიშვნელო ზემოქმედების გათვალისწინებით. თუმცა, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ყველა ადგილზე მყოფ პირს მიეწოდა ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედებისა და კომპენსაციებზე უფლებამოსილებების კრიტერიუმების შესახებ დეტალური აზომვითი კვლევის, აღწერის, სოციო-ეკონომიკური კვლევისა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების ინვენტარიზაციის დროს.

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების ჩანაცვლებასთან და შესაბამის შემამსუბუქებელ ზომებთან დაკავშირებული ყველა აქტივობის განრიგი შედგა, რათა უზრუნველყოფილი იყო კომპენსაციების გაცემა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების გარშემო მდებარე ღობეები არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ან ვერ ხერხდება მფლობელის ადგილმდებარეობის დადგენა, სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების ჩანაცვლებას და მოცემული ღობეებისთვის არ გაიცემა ფულადი კომპენსაცია. საჯარო კონდულტაციები, შიდა მონიტორინგი და საჩივრების განხილვა იწარმოება უწყვეტ რეჟიმში, პროექტის სრული მიმდინარეობის განმავლობაში. მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის საკომპენსაციო დანახარჯები შეადგენს **78,917.54 ლარს - 29,557.13 აშშ დოლარის ექვივალენტს.**

მოცემული პროექტის ფარგლებში, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების კომპენსაცია ან ნებისმიერი იმ აქტივის აღდგენის კომპენსაცია, რომელიც დამატებით ზემოქმედებაში მოექცევა სამშენებლო სამუშაოების დროს, დაექვემდებარება მონიტორინგს. მონიტორინგი შედის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში. შიდა მონიტორინგს სტანდარტულად ატარებს განსახლების განყოფილება/საავტომობილო გზების დეპარტამენტი. შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მსოფლიო ბანკს, პროექტის მიმდინარეობის შესახებ შედგენილი ყოველ კვარტალური ანგარიშების საშუალებით. გარე მონიტორინგის ჩატარების საჭიროება არ არსებობს, რადგანაც პროექტს მიენიჭა B კატეგორია და პროექტის მომზადების ეტაპზე დადგინდა, რომ პროექტის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

2018 წლის 29 ნოემბერი, დეტალური აზომვითი კვლევისა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების აღწერის დასაწყისი, არის მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში კომპენსაციის მიმღები პირების დადგენის საბოლოო თარიღი.

თავი 1. შესავალი

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი მსოფლიო ბანკისგან, რათა განახორციელოს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP-III) და შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP), რომ მიიღოს საკონსულტაციო მომსახურებები გურიის რეგიონში იმ გზების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც შეტანილი უნდა იყოს სამუშაოებთან დაკავშირებულ კონტრაქტში, მათი შეფასებისათვის და ტენდერისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებისათვის, ასევე დეტალური დიზაინის მომზადებისათვის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში, რომლებსაც მოსდევს შესაბამისი ზედამხედველობის მომსახურებები მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობას 2004 წლიდან ეხმარება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ქსელების რეაბილიტაციაში. სამი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტის მიზანია გაუმჯობესდეს გზების მდგომარეობა და მოხდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური და მართვის მხარის გაუმჯობესება. აღნიშნული დახმარების წყალობით შესაძლებელი გახდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებში არსებული ჩამორჩენის ანაზღაურება და შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების წილის გაზრდა მართებული და სამართლიანი პირობებით.

შიდასახელმწიფოებრივი გზები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში, რადგანაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი მათზე არის დამოკიდებული, რადგანაც ისინი ცხოვრობენ სოფლებში და მცირე ზომის ქალაქებში და მათი 75% საარსებო სახსრებს გამოიმუშავებს სოფლის მეურნეობის საშუალებით. ისინი შიდასახელმწიფოებრივ გზებს იყენებენ შემდეგი მიზნებისთვის: (i) წვდომა ბაზრებსა და სოციო-ეკონომიკურ ცენტრებზე, (ii) ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება, და (iii) დასაქმების ახალი შესაძლებლობების ძიება. საჭიროა განვითარებული სატრანსპორტო ქსელი, გზებზე გაწეული დანახარჯების გაზრდის საშუალებით, რათა შემცირდეს სიღარიბის მხრივ არსებული უთანასწორობა ქვეყნის რეგიონებს შორის, რათა შეიქმნას სასოფლო ეკონომიკის ინტეგრაციის პლატფორმა, მოხდეს კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა და შეიქმნას სამუშაო ადგილები. გაუმჯობესებული შიდასახელმწიფოებრივი გზები ამცირებს ბაზრებსა და მომსახურებებზე წვდომის დანახარჯებს, ღარიბი და იზოლირებული რეგიონებისთვის ზრდის წვდომის შესაძლებლობას, ქმნის პირდაპირი დასაქმების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას. გზების გაუმჯობესების დაფინანსება განსაკუთრებულ სარგებელს წარმოადგენს იმ ფერმერებისთვის, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ჩამორჩენილ რეგიონებში, სადაც მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალია.

მოცემული პროექტი ხელს შეუწყობს მთავრობის პროგრამის განხორციელებას შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების გაუმჯობესებისა და შენარჩუნების კუთხით და დააჩქარებს შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტების მოდალობებს. ის ითვალისწინებს გურიის შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესებასა და მოვლას, შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტების (OPRC) ფარგლებში. გზების საჭირო კონდიციებამდე მიყვანისათვის, პროექტით გათვალისწინებული გზების მონაკვეთების რეაბილიტაცია მოხდება საპროექტო-სამშენებლო კონტრაქტების საშუალებით.

გურია მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში, მას ესაზღვრება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო, ხოლო რეგიონის დედაქალაქი არის ოზურგეთი. გურიას ჩრდილო-დასავლეთით

ესაზღვრება სამეგრელო, ჩრდილოეთით - იმერეთი, აღმოსავლეთით - სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთით-აჭარა და დასავლეთით შავი ზღვა. რეგიონის ფართობი შეადგენს 2,033 კვ.კმ.-ს.

პროექტის მიზნები

პროექტის განვითარების მიზნებია გზის მომხმარებლების წვდომის გაუმჯობესება სოციალურ მომსახურებებსა და ბაზრებზე პროექტით გათვალისწინებული გზების საშუალებით მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალებით, ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირება პროექტით გათვალისწინებულ გზებზე და შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გზების ქსელზე გზების აქტივების მართვის მდგრადობის გაუმჯობესება.

შერჩეულ გზის მონაკვეთებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები უზრუნველყოფს: (i) პროექტით გათვალისწინებულ გზებზე მგზავრობის ხარისხის გაუმჯობესებას; (ii) გზის საფარის დაზიანებების შემცირებას; და (iii) გზის საფარის სიძლიერის გაზრდას, რაც თავის მხრივ შეამცირებს სატრანსპორტო საშუალებების საოპერაციო დანახარჯებს, მგზავრობისთვის საჭირო დროს და პროექტით გათვალისწინებული გზების სამომავლო მოვლის მოთხოვნილებებს.

TNM Limited-ს, ისრაელი, (შემდგომში, "კონსულტანტი") მიენიჭა კონტრაქტის გაფორმების უფლება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ (შემდგომში, „შემკვეთი") 2017 წლის ნოემბერში. კონტრაქტი ითვალისწინებს „საგზაო ქსელის შეფასებას, დეტალური დიზაინის მომზადებას, გარემოსა და სოციალური მართვის დოკუმენტების მომზადებას და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას გურიის რეგიონის გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისათვის, შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში და მონიტორინგის/ზედამხედველობის მომსახურებების გაწევისათვის".

დიზაინის მომზადებასთან დაკავშირებული აქტივობები **სარეაბილიტაციო და გაუმჯობესების სამუშაოებისათვის**, როგორც აღწერილია საწყის ანგარიშში, განსაზღვრავს შეთავაზებულ მიდგომას და მეთოდებს, საწყის ეტაპზე მიღებულ ინფორმაციას, დეტალურ სამუშაო პროგრამას და რეაბილიტაციისთვის შერჩეული გზის მონაკვეთების წინასწარ დასკვნებს.

შემკვეთის მიერ დადგენილი და 3.1 ცხრილში მოცემული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ქსელის შეფასება[5] გურიის რეგიონისთვის განხორციელდა საინჟინრო და ეკონომიკური შეფასების საფუძველზე. შერჩეული გზების მონაკვეთების არსებული მდგომარეობა შეჯამებულია 2.2 ცხრილში წინასწარ ანგარიშში. მდგომარეობის შესახებ დეტალები აღწერილია ქსელის შეფასების ანგარიშში. ქსელის შეფასების შედეგად დადგინდა ჯამში 67.7 კმ. სიგრძის მონაკვეთები, რომელთა რეაბილიტაციას რეკომენდებულია. რეაბილიტაციისთვის შერჩეული გზის მონაკვეთები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 6.

ცხრილი 6. რეაბილიტაციისთვის შერჩეული გზის მონაკვეთები

გზის ID	გზის დასახელება	მონაკვეთი		დამტკიცებული სიგრძე (კმ.)	არსებული საფარის ტიპი	შეთავაზებული საფარის ტიპი
		-დან	-მდე			
Sh02	საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი	17+000	19+500	2.500	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი

[5] ქსელის შეფასების დეტალები მოცემულია კონსულტანტის „ქსელის შეფასების ანგარიში ვერსია 2"-ში, რომელიც წარდგენილია 2018 წლის 17 ივლისს.

		35+000	43+600	8.600	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		47+200	48+000	0.800	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		54+000	60+000	6.000	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		60+000	67+700	7.700	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
Sh46	ოზურგეთი-ნატანები-ურეკი	0+000	2+800	2.800	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		16+000	21+200	5.200	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		21+700	22+000	0.300	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
Sh81	ჩოხატაური-ბახმარო	15+900	21+400	5.500	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		22+500	24+500	2.000	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
		34+000	50+000	16.00	ასფალტის საფარი	ასფალტის საფარი
Sh83	ჩოხატაური-ზომლეთი	3+500	13+800	10.300	გრუნტის საფარი (ხრეში)	ასფალტის საფარი
			მთლიანი სიგრძე	**67.7**		

რეაბილიტაციისთვის რეკომენდებული გზის მონაკვეთები დადასტურებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 15/06/2018 დათარიღებული წერილის საფუძველზე, №2-09/6969.

პროექტის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მცდელობა

გზის დერეფნის ოპტიმიზაცია მოხდა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.

შერჩეული გზის მონაკვეთზე არ მოითხოვება კერძო საკუთრებაში არსებული მიწების შესყიდვა რეაბილიტაციის დროს, წინასწარ დამტკიცებული მიდგომის წყალობით - სტანდარტიდან გადახვევა ფაქტობრივი შეზღუდვების შემცირების მიზნით[6].

ამას გარდა, გარკვეულ ადგილებში, კერძო საკუთრებებს არსებული ფართები არ იძლევა გზის გაფართოვების საშუალებას სასურველ მინიმალურ სიგანემდე. განახლებისა და კერძო საკუთრებებზე ზემოქმედების თავიდან აცლების მიზნით, გზების არსებულ ადგილებზე მოხდება სიგანის კორექტირება არსებული ფართის ფარგლებში.

[6] მიუხედავად პროექტით გათვალისწინებული სიჩქარის 30 კმ/სთ შემცირებისა, არსებობს ჰორიზონტალური მოსახვევები, რომელთა რადიუსიც ჩამოუვარდება მინიმალურ მოთხოვნას - 35 მეტრს. შესაბამისად, გამოყენებულია პარამეტრები სერპენტინებისთვის, რომლებიც ითვალისწინებ მინიმალურ ჰორიზონტალურ რადიუსს R=15მ (მინიმალური რადიუსები, რომლებზე მოტრიალებაც სტანდარტულ სატვირთოებს შეუძლიათ), რათა თავიდან იყოს აცილებული განსახლება და არ გაიზარდოს არსებული გასხვისების ზოლის საზღვრები. გზის „გაფართოვების“ მიდგომა მოსახვევებში ასევე არ გამოიყენება ადგილებში, სადაც გაფართოვების შედეგად მოხდებოდა კერძო საკუთრებაში შეჭრა. წყარო: საწყისი ანგარიში

დიზაინის დასრულებამდე, დიზაინის პარამეტრები და სტანდარტებიდან შესაძლო გადახვევები გზის თითოეული მონაკვეთისთვის განხილული იყო საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად, საბოლოო შეთანხმების მიღწევის მიზნით.

გათვალისწინებული სოციალური ზემოქმედება და მეთოდოლოგია

იმის მიუხედავად, რომ არ არის საჭირო მიწების შესყიდვა და არ არის მოსალოდნელი პროექტის მძაფრი ზემოქმედება, გზის რეაბილიტაციის აქტივობები მოიცავს გარკვეულ სოციალურ ზემოქმედებას. მოცემული ზემოქმედება აღწერილია და შეთავაზებულია შემსუბუქების რეკომენდირებული ზომები ESMP-ებში, რომლებიც მომზადებულია ცალკე დოკუმენტის სახით, გზის თითოეული სარეაბილიტაციო მონაკვეთისთვის, ასევე გზის იმ მონაკვეთებისთვის, რომლებიც პერიოდულ მოვლას საჭიროებს.

მეთოდი მოიცავს საჯარო კონსულტაციებს, მათ შორის კონსულტაციების ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან იმ შემთხვევებში, როდესაც მოხდება პროექტის ზემოქმედების იდენტიფიცირება კერძო პირების ან უწყებების მფლობელობაში არსებულ ქონებაზე. კონსულტაციების გაწევის დროს, მოხდება თავისუფალი და წინასწარი ინფორმირებული თანხმობის პრინციპების დაცვა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტით გათვალისწინებული გზების გასწვრივ მყოფ საზოგადოებასა და ინდივიდუალურ პირებს ჰქონდეთ პროექტის შესახებ ადექვატური და უწყვეტი ინფორმაციის მიღების საშუალება, იმოქმედებს საჩივრების განხილვის კომიტეტი. მოცემული კომისია განიხილავს საჩივრებს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას[7], სარწყავ სისტემებთან დაკავშირებულ საკითხებსა და სხვა სოციალურ ზემოქმედებებს და საზოგადოების წევრებს ექნებათ თავიანთი შეხედულებებისა და საჩივრების დაფიქსირების საშუალება.

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისა და ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების იდენტიფიცირების პროცესი ეფუძნებოდა GIS ანალიზსა და საველე სამუშაოებს. GIS ანალიზი გამოიყენებოდა ტოპოგრაფიული რუკების გასარჩევად (ღობეები, ხეები) და ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების დასადგენად (ქონებები). აღნიშნული ქონება მდებარეობს გზის სამშენებლო სამუშაოების ზონაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გზის ნაპირიდან 2 მეტრს. კონსულტატის მიერ გამოიკითხა ადგილზე მყოფი ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი გამოიკითხა და მოისმინა მათი შეხედულებები ღობეებზე განხორციელებული დროებითი ზემოქმედების შესახებ. ინტერვიუები ეფუძნებოდა თავისუფალ და წინასწარი ინფორმირებულ თანხმობის პრინციპს. ინტერვიუს შედეგები გამოყენებული იყო მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განვითარებასა და კომპენსაციის უპირატესი მეთოდის დასადგენად.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადება მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა როგორც კონტრაქტის ხელმოწერის პირობა. დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი პოლიტიკის OP 4.12 მოთხოვნებს, ასევე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტს, რომელიც მოამზადა და გაასაჯაროვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

[7] აუცილებელია სიჩქარის შემზღუდველი გორაკების დამონტაჟება დასახლებულ პუნქტებში არსებულ მოსახვევებში. მაგალითად, სოფელ წყავროკა, Sh-02 კმ 6+405-6+445 ადგილობრივმა მაცხოვრებელმა, რომელიც მეტალის ღობეც შესაძლოა დაექვემდებაროს დროებით ზემოქმედებას, ითხოვა სიჩქარის შემზღუდველი გორაკის დამონტაჟება, რათა შემცირდეს ავტოავარიების რაოდენობა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შიდასახელმწიფოებრივი და მეორადი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ფარგლებში, რომელსაც ნაწილობრივ აფინანსებს მსოფლიო ბანკი. განსახლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს: (i) დეტალურ აზომვით კვლევებს (DMS), (ii) აქტივების დეტალურ შეფასებას/დეტალურ დოკუმენტურ კვლევას ზემოქმედებაში მოქცეული თითოეული მიწისთვის/საგნისთვის, (iii) ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების 100%-ან აღწერას; და (iv) ადგილზე მყოფი ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების 100%-ის სოციო-ეკონომიკურ კვლევას (SES). განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებისას ჩატარდა კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაიონულ და სოფლის უწყებებთან და შესაძლო ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი ეფუძნება დეტალურ აზომვით კვლევას, აღწერას და სოციო-ეკონომიკურ კვლევას, რომლებიც ჩატარდა 2018 წლის29 ნოემბერი - 5 დეკემბრის პერიოდში. განსახლების სამოქმედო გეგმა მოიცავს (i) ზემოქმედებაში მოქცეული პირების ზემოქმედებას, აღწერას და სოციალურ პროფილს; (ii) ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების საკომპენსაციო სქემასა და განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელებას; (iii) განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ბიუჯეტს; და (iv) ფულად კომპენსაციებს ზემოქმედებაში მოქცეული პირებისთვის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების სანაცვლოდ და მოწყვლადი ჯგუფებისთვის გათვალისწინებულ შემწეობებს.

2018 წლის 29 ნოემბერი, კვლევების დაწყების თარიღი, არის მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში კომპენსაციის მიმღები პირების დადგენის საბოლოო თარიღი.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები გულისხმობდა ინდივიდუალურ კონტაქტს აღწერის, სოციო-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური აზომვითი კვლევის დროს. ჩატარდა კონსულტაციები ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან და მათ თემთან, რათა ნათელი გამხდარიყო ზემოქმედების მასშტაბი და დადგენილიყო სიმძაფრის დონე და საკომპენსაციო ზომების სამართლიანობა. დანაკარგებისა შეფასება ეფუძნება საბოლოო საინჟინრო პროექტს, როგორც დეტალური პროექტირების კვლევის ნაწილი.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის გასაჯაროების შეხვედრები ჩატარდება შესაბამის ადგილებში მას შემდეგ, რაც დოკუმენტი განიხილება და მომზადდება მასზე კომენტარების საავტომობილო გზების დეპარტამენტის/მსოფლიო ბანკის მიერ. შეხვედრების პროტოკოლი, კითხვა-პასუხის სესიის შინაარსი და ფოტოსურათები წარმოდგენილი იქნება მე-5 დანართში.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმდინარე ამოცანები

მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ განსახლების სამოქმედო გეგმის ფინანსები გადაეცემა შემსრულებელ სააგენტოს (EA). განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ფინანსების ზემოქმედებაში მოქცეულ პირებზე განაწილებამდე, ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი ხელს მოაწერს კონტრაქტს, რითიც დაადასტურებენ, რომ ისინი იღებენ მათთვის გათვალისწინებულ კომპენსაციას. თუკი ზემოქმედებაში მოქცეული პირი არ მოაწერს ხელს კონტრაქტს, საქმე გადაეცემა შესაბამის სასამართლოს, რათა დაიწყოს ექსპროპრიაციის პროცესი. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც

საკომპენსაციო თანხა დაირიცხება სახელმწიფო ხაზინის სპეციალურ სადეპოზიტო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუკი ზემოქმედებაში მოქცეული პირი არ იმყოფება ადგილზე, სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების ჩანაცვლებას, როგორც აღწერილია მოცემულ დოკუმენტში.

პროექტის განხორციელების პირობები

მსოფლიო ბანკის პოლიტიკაზე/პრაქტიკაზე დაყრდნობით, პროექტის განხორციელების დამტკიცება ეფუძნებოდა განსახლების შემოკლებულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ შემდეგ პირობებს:

(i) **კონტრაქტის დადება:** განსახლების სამოქმედო გეგმის აზიის განვითარების ბანკისა და მთავრობის მიერ დამტკიცების პირობით. განსახლების სამოქმედო გეგმა ასახავს საბოლოო ზემოქმედებას, ზემოქმედებაში მოქცეული პირების საბოლოო სიებს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დამტკიცებულ საკომპენსაციო განაკვეთებს ჩანაცვლების ღირებულებით.

(ii) **შეტყობინება კონტრაქტორების მიერ სამუშაოების დაწყების თაობაზე:** განსახლების სამოქმედო გეგმის სრული განხორციელების პირობაა, კერძოდ საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო დახმარებების სრულად გაცემა ან პროექტის დროებით ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების აღდგენა, სამშენებლო კომპანიის მიერ მისივე ხარჯებით.

თავი 2: აღწერა და ზემოქმედების შეფასება

შესავალი

ზემოქმედების შეფასება აღწერს დროებით ზემოქმედებას კერძო აქტივებზე, კონკრეტულად კი სხვადასხვა სახის ღობეებზე, რომლებიც გამოიყენება სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთების გასწვრივ მდებარე მიწის ნაკვეთების საზღვრების მოსანიშნად. ზემოქმედების მიზეზია წყლის მილების განახლება. წყლის მილები უნდა მოთავსდეს არსებული შიდასახელმწიფოებრივი გზების ზედაპირის ქვეშ.

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივები: ღობეები

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების მშენებლობის ხარჯები დაადგინა დამოუკიდებელმა, ლიცენზირებულმა შემფასებელმა. ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობების, კერძოდ კი ღობეების, შეფასება ითვალისწინებდა ზომას (ბეტონის საძირკველის მოცულობას, ღობის სიგრძეს) და გამოყენებულ სამშენებლო მასალებს. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა ღობე ინახა ადგილზე და განისაზღვრა შესაბამისი სამშენებლო ხარჯები ინდივიდუალურად ზემოქმედებაში მოქცეული თითოეული ერთეულისათვის, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების გათვალისწინებით.

ცხრილი 8. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების სიგრძე, გზის მონაკვეთისა და ღობის ტიპის შესაბამისად

გზის No	SH -02	SH -46	SH-81	SH-83	სულ
უბრალო ხის ღობე (მეტრი)	0	12	0	600	**612**
ხის ფიცრების ღობე (მეტრი)	0	10	8	466	**484**
რკინის ბადიანი ღობე (მეტრი)	0	32	0	148	**180**
ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფირფიტები (მეტრი)	45	8	0	18	**71**
მავთულხლართი (მეტრი)	392	0	7	284	**683**
ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფილები (მეტრი)	0	0	14	36	**50**
სულ	**437**	**62**	**29**	**1552**	**2080**

სხვა სახის ნაგებობებზე შეთავაზებული პროექტი არ ახდენს ზემოქმედებას. ერთწლიანი კულტურები ან მსხმოიარე ნარგავები ასევე არ ხვდება ზემოქმედებაში[8]. პროექტის ზემოქმედება არ იწვევს კერძო მიწის შესყიდვის საჭიროებას. არ მომხდარა მძაფრი ზემოქმედებაში მოქცეული

[8] თუმცა, განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ბიუჯეტში შენარჩუნებულია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მსხმოიარე ნარგავების კომპენსაციის პუნქტი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას მოხდება ზემოქმედება ნებისმიერი მსხმოიარე ნარგავზე. საკომპენსაციო განაკვეთები სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით განსაზღვრულია თითოეული იმ სახეობისთვის, რომელიც გავრცელებულია პროექტის ზემოქმედების არეში.

ან მოწყვლადი პირების[9] იდენტიფიცირება შეთავაზებული გზის რეაბილიტაციის ფარგლებში. ჯამში ზემოქმედებაში ხვდება 198 არამსხმოიარე წიწვოვანი ნარგავი (ძირითადად იაპონური კედარი), რომლებიც დგას არსებული სარეაბილიტაციო გზების გასწვრივ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე.

გენდერი და განსახლება

პროექტის ზემოქმედება ვრცელდება 23 ქალზე და 33 მამაკაცზე. აღწერამ დაადასტურა, რომ არც ერთ შინამეურნეობას არ უძღვება ქალი. აღსანიშნავია, რომ ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აღწერის პროცესში და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების ინვენტარიზაციისას და მათი ზოგადი მიდგომა მიმდინარე პროექტისადმი იყო დადებითი. ყველა ის პირი, რომელთანაც დამყარდა კომუნიკაცია, მოხარული იყო იმით, რომ მოხდებოდა გზის განაპირა არხებისა და სარწყავი მილების აღდგენა და ბოლო მოეღება იმ სირთულეებს, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა აწყდებოდა ძლიერი წვიმების პერიოდში.

პროექტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალებსა და მოწყვლად პირებს. ამას გარდა, პროექტს დადებითი გავლენა ექნება გენდერული კუთხით; სამშენებლო კონპანიასთან გაფრომებულ ხელშეკრულებებში ჩადებული იქნება პირობა, რომელიც ითავლიწსინებს პროექტის განხორციელების პერიოდში ქალების დასაქმების წახალისებას.

ზემოქმედების შეჯამება

პროექტის ზემოქმედება შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 9. შეთავაზებული პროექტის ზემოქმედების შემაჯამებელი მონაცემები

#	საგნის აღწერა	საზომი ერთეული	რაოდენობა
A	**ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობები**		
1	უბრალო ხის ღობე	გრძივი მეტრი	612
2	ხის ფიცრების ღობე	გრძივი მეტრი	484
3	რკინის ბადიანი ღობე	გრძივი მეტრი	180
4	ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფირფიტები	გრძივი მეტრი	71
5	მავთულხლართი	გრძივი მეტრი	683
6	ბეტონის საძირკველზე დამაგრებული მეტალის ფილები	გრძივი მეტრი	50
7	ქვე-ჯამი	გრძივი მეტრი	2,080
B	**ზემოქმედებაში მოქცეული ნარგავები**		
8	არამსხმოიარე, წიწვოვანი ნარგავები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე არის განთავსებული	რაოდენობა	208
C	**ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობები**		
9	სულ ადგილზე მყოფი AH	რაოდენობა	33
11	სულ ადგილზე მყოფი AP	რაოდენობა	56

[9] დღეის მდგომარეობით, არც ერთი ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობა არ განისაზღვრა როგორც მოწყვლადი. თუმცა, ბიუჯეტი ითვალისწინებს მოწყვლადი პირების ანაზღაურებას, თუკი სამომავლოდ მოხდება მოწყვლადი შინამეურნეობების იდენტიფიცირება 34 მიწის ნაკვეთზე განთავსებული ღობეების იმ მფლობელებისთვის მოსარგებლეებისთვის, რომელთა იდენტიფიცირებაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

11	ზემოქმედებაში მოქცეული მამაკაცები	რაოდენობა	33
12	ზემოქმედებაში მოქცეული ქალები	რაოდენობა	23
13	მძაფრ ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობები	რაოდენობა	0
14	მოწყვლადი შინამეურნეობები	რაოდენობა	0
15	ფიზიკურად/ეკონომიკურად გადაადგილებული შინამეურნეობები	რაოდენობა	0

წყარო: კონსულტანტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები

თავი 3: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების სოციო-ეკონომიკური პროფილი

დღეის მდგომარეობით, სოციო-ეკონომიკურმა კვლევამ მოიცვა 33 შინამეურნე პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული 56 შინამეურნიდან. ყველა გამოკითხული პირი ეთნიკურად ქართველია. წიგნიერების დონე არის 100%.

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების წევრების ასაკობრივი აღწერა

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სოციო-ეკონომიკური პროფილი ეფუძნება ზემოქმედებაში მოქცეული, ადგილზე მყოფი ყველა შინამეურნეობის აღწერის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და სოციო-ეკონომიკური კვლევის შედეგებს. საერთო ჯამში ზემოქმედებაში მოქცეული ოცდაცამეტი (33) შინამეურნეობა შედგება 56 პირისგან (33 მამაკაცი და 23 ქალი). ამ 56 პირიდან არასრულწლოვანი ბიჭი არის 11 და გოგონა - 9.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ზემოქმედებაში მოქცეული პირების ასაკობრივ შემადგენლობას, სქესისა და სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ცხრილი 10: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები	მამაკაცი		ქალი		სულ	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ზრდასრული	22	66.67	14	60.87	36	64.29
არასრულწლოვანი (18 წლამდე)	11	33.33	9	39.13	20	35.71
სულ	**33**	**100**	**23**	**100**	**56**	**100**

წყარო: კონსულტანტის მიერ ზემოქმედებაში მოქცეულ შინამეურნეობებში ჩატარებული აღწერა და სოციო-ეკონომიკური კვლევა.

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების დასაქმება და შემოსავლის ძირითადი წყაროები

ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ბევრ მათგანს აქვს ხეხილის ბაღები - მანდარინის და ფორთოხლის ხეებით. ზემოქმედებაში მოქცეულ შინამეურნეობების უმეტესობას მოჰყავს საკუთარი ბოსტნეული, ძირითადად კარტოფილი, კიტრი, პომიდორი, ლობიო, ნიორი და ხახვი და იყენებენ საოჯახო მოხმარებისთვის. ციტრუსები იზრდება კერძო ეზოებში და მიღებულ მოსავალს ყიდიან სოფლებში მდებარე საბითუმო მოვაჭრეებზე. რამდენიმე ოჯახი ფლობს მსხვილფეხა საქონელსა და შინაურ ფრინველებს.

ინფორმაციული სახის ინტერვიუების, აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევების დროს, ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების უმეტესობამ დაადასტურა, რომ მათი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაყიდად ბაზრებზე წვდომა არის მათი საარსებო სახსრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი. თუმცა, ზოგიერთი მათგანი დასაქმებულია ადგილობრივ ბიზნესებში და აქვთ მუდმივი, ანაზღაურებადი სამსახურები.

ხშირად ზრდასრული პირები, როგორც მამაკაცები ისე ქალები, თურქეთში მიდიან თხილისა და ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ, რათა მიიღონ დამატებითი შემოსავალი. ბევრი მამაკაცი იყო დაქირავებული ქობულეთის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოებზე, გრძელვადიანი კონტრაქტებით.

რამდენიმე მამაკაცი მართავს ავტომობილს და სთავაზობს ტაქსის მომსახურებას სოფლის მოსახლეობას. ბევრ ზრდასრულ მამაკაცს არ აქვს ანაზღაურებადი სამსახური, შესაბამისად, მამაკაცების უმეტესობა მიეკუთვნა სრულ განაკვეთზე დასაქმების შესაძლებლობით დაინტერესებულთა კატეგორიას.

ქალების უმეტესობა არის დიასახლისი და ისინი ზრუნავენ ოჯახსა და ბავშვებზე. ისინი ასევე მუშაობენ მინდვრებში და უვლიან მოსავალს. რამდენიმე მათგანს აქვს ანაზღაურებადი სამსახური საჯარო სფეროში ან ეხმარებიან თავიანთი ოჯახის წევრებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა ან სამომხმარებლო საქონლის ადგილობრივ მაღაზიებში.

აღსანიშნავია, რომ ზემოქმედებაში მოქცეულმა ოჯახებმა ზუსტად არ დაასახელეს სასოფლო-სამეურნეო აქტივობებიდან მიღებული წლიური შემოსავალი და განაცხადეს, რომ ისინი აღებულ მოსავალს პირადი მოხმარებისთვის იყენებენ და უნაწილებენ თავიანთ შვილებს, რომლებიც სხვა ადგილებში ცხოვრობენ. ფულადი სახსრების დინების თვალსაზრისით, მათთვის უფრო მარტივი იყო ყოველთვიური ხელფასების, პენსიის და/ან შრომისუუნარობის დახმარებების ოდენობების ჩამოთვლა. მათთვის ასევე უფრო ადვილი იყო საკვების, სამომხმარებლო საქონლის, კომუნალური, კომუნიკაციისა და ჯანდაცვის ხარჯების ჩამოთვლა.

ფულადი სახსრების დინების ცენტრალური წყარო არის პენსია (180 ლარი თვეში) და სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებადი შრომისუუნარობა (ოდენობა დამოკიდებულია შრომისუუნარობის კატეგორიაზე - 1-ლი, მე-2 ან მე-3 კატეგორია).

ქალები ადგილობრივ კონტექსტში

ქალები ძირითადად ჩართულები არიან მიწათმოქმედებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ასევე ისინი ასრულებენ ძირითად საოჯახო სამუშაოებს. ქალები მონაწილეობას იღებენ ოჯახებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და საოჯახო საკითხების ორგანიზებაში. აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევის დროს, ქალი რესპონდენტები იყვნენ აქტიურები და მოტივირებულები. ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების უმეტესობას მართავს მამაკაცი. დღეის მდგომარეობით, აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევის დროს არ გამოვლენილა შინამეურნეობები, რომლებსაც მართავენ ქალები.

გავლენა უმცირესობებზე

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს შორის არ აღირიცხება ეთნიკური უმცირესობები. ადგილობრივი მაცხოვრებლების არც ერთ ჯგუფს არ გამოუვლენია რაიმე კონკრეტული ან უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც შესაძლოა იდენტიფიცირებული იყოს როგორც განსხვავებულ უმცირესობათა ჯგუფი. მოცემული პროექტისგან არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება მკვიდრ მოსახლეობაზე. საინვესტიციო პროგრამის ტერიტორია არ მოიცავს თემებს, რომლებიც შესაძლოა იდენტიფიცირებულნი იყვნენ როგორც მკვიდრი მოსახლეობა აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (2009) მიხედვით. შესაბამისად, შეთავაზებული პროექტის კლასიფიკაცია მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების კუთხით არის C კატეგორიის.

სამშენებლო ეტაპზე პროექტი მოიცავს შესაბამის ზომებს, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი HIV/AIDS და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, ასევე ნარკოტიკებისა და ადამიანების ტრეფიკინგის პოტენციური რისკები. მოცემული ზომები მოიცავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და უნდა გატარდეს სამშენებლო კონტრაქტორის და/ან ზედამხედველი კონსულტანტის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ESMP-ის შესაბამისად. საგზაო დეპარტამენტი, ზედმხედველისა და კონტრაქტორის საშუალებით გადაამოწმებს, რომ ყველა დასაქმებულთან გაფორმდეს ოფიციალური ხელშეკრულება, ყველამ მიიღოს გასამრჯელო, და რომ არ მოხდეს არასრულწლოვანებისა და მიგრანტებისა არაოფიალური დასაქმება დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ.

თავი 4. სამართლებრივი რეგულაციის ჩარჩო

ქვეყნის კანონმდებლობა

საქართველოში ქვემოთ მოყვანილი საკანონმდებლო აქტები არეგულირებს კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვებას შესაბამისი საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე, რაც გზის სამშენებლო სამუშაოებთან არის დაკავშირებული:

- საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995 (უკანასკნელი განახლება 2018 წლის 2 აპრილი)
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26 ივნისი, 1997 (ცვლილებები: 2000, 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014; უაკანასკნელი განახლება 2018 წლის 7 აგვისტო)
- საქართველოს კანონი სანოტარო საქმიანობის შესახებ, 4 დეკემბერი, 2009 (ცვლილებები: 2010, 2011,2012, 2013, 2014, 2015)
- საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, 2007 წლის 27 ივნისი (ცვლილებები: 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015; უკანასკნელი განახლება 2017 წლის 22 მარტი)
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, 22 მარტი, 1996 (ცვლილებები 1997, 1998, 1999, 2000, 2003, 2004, 2007, 2010, 2012, 2014; უკანასკნელი განახლება 2017 წლის 22 მარტი)
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, 1997 წელი (ცვლილებები: 2005, 2006, 2007, 2009, 2010, 2011, 2013, 2014, 2015)
- საქართველოს კანონი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების, ქონების საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, 11 ივნისი 2007 წელი (ცვლილებები: 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012)
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ 2010 (ცვლილებები: 2011, 2012,2013,2014; უკანასკნელი განახლება 2018 წლის 13 აგვისტო)
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ №820-IIs; 2008 წლის 19 დეკემბერი (ცვლილებები: 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014,2015);
- საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999 წლის 23 ივლისი (ცვლილებები: 2005, 2007, 2010, 2013; უკანასკნელი განახლება 2018 წლის 19 ივლისი)
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი (ცვლილებები: 1998-2015; უკანასკნელი განახლება 2018 წლის 11 ივლისი)
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, 2010 წლის 21 ივნისი
- შრომის კოდექსი (2006 წლის 25 მაისი - გაუქმებულია; ახალი შრომის კოდექსის მიღება მოხდა 2010 წლის 17 დეკემბერს; უკანასკნელი ცვლილება: 2018 წლის 11 ივლისი)
- საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ (2018 წლის 7 მარტი)
- საგადასახადო კოდექსი, 2005 წლის იანვარი - გაუქმებულია; ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება მოხდა 2010 წლის 17 სექტემბერს; უკანასკნელი ცვლილება: 2018 წლის 11 ივლისი)

- კანონი მეწარმეთა შესახებ, 1994 წლის 28 ოქტომბერი.

საერთო ჯამში, ზემოხსენებული კანონები/ნორმების მიხედვით ჩანაცვლების ღირებულების კომპენსაცია საბაზრო ღირებულების საფუძველზე რაციონალური და სამართლებრივად მისაღებია. კანონით ასევე განსაზღვრულია კომპენსაციაზე უფლებამოსილი ზარალის ტიპები და მითითებულია, რომ კომპენსაციის გაცემა ხდება როგორც ფიზიკური აქტივების, ისე შემოსავლის დაკარგვისას.

საბოლოოდ, ეს კანონები ძლიერ ამახვილებს ყურადღებას კონსულტაციასა და შეტყობინებაზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზემოქმედებაში მოქცეულმა პირებმა მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. წმინდა დანაკარგის დასაფარად კომპენსირებული იქნება შემოსავლის დაკარგვა მოსავლის დაკარგვის გამო და ბიზნესის დახურვა. ზემოთ მოყვანილი კანონები და ნორმები საშუალებას იძლევა გამოყენებული იყოს საკუთრების უფლების იურიდიული გამოყენების შემდეგი მექანიზმები:

- საჭიროების შემთხვევაში, სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე სერვიტუტის უფლების მოპოვება მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაციის გარეშე, მესაკუთრისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდის მეშვეობით, მოლაპარაკებების წარმოების გზით. ან იმ შემთხვევაში თუკი ვერ მოხერხდება შეთანხმების მიღწევა, აქტივობების დაწყებამდე სასამართლოსგან ექსპროპრიაციის გადაწყვეტილების მიღება.

- ექსპროპრიაცია, რომელიც მიწაზე და/ან უძრავ ქონებაზე მუდმივი უფლების მოპოვების საშუალებას იძლევა „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ კანონის“ ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით.

ექსპროპრიაციის პროცედურები

პროექტის ფარგლებში მიწების ათვისება ექსპროპრიაციის გზით განხორციელდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, მაშინ, როდესაც პროექტის ზემოქმედებაში მყოფ პირსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის მოლაპარაკება ვერ შედგება. თუ კონტრაქტის გაფორმების შესახებ წინადადება ვერ შესრულდა, მაშინ ექსპროპრიაციის პროცესი დაიწყება იმ პროცედურების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის უფლების შესახებ საქართველოს კანონით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოლაპარაკება მიიჩნევა ექსპროპრიაციის ალტერნატივად, მაშინ როდესაც OP 4.12–ით საფრთხის ქვეშ არსებული მოლაპარაკება ექსპროპრიაციაზე კვლავ კვალიფიცირდება როგორც არანებაყოფლობითი განსახლება.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის უფლების შესახებ საქართველოს კანონით ექსპროპრიაცია განხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებისა და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევას და მიანიჭებს ექსპროპრიატორს მიწების დაკავების უფლებას. მხოლოდ სასამართლო დაადგენს სახელმწიფო უწყებას ან ადგილობრივ მთავრობას და/ან საჯარო/კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც გადაეცემა ექსპროპრიაციის

უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე უნდა მოიცავდეს საექსპროპრიაციო აქტივების დეტალურ ინვენტარიზაციას და დებულებას შესაბამისი მიწის მფლობელებისათვის ასანაზღაურებელი კომპენსაციების შესახებ.
საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაიკავებს მიწის ნაკვეთებს ვიდრე:

(i) არ დაიწყება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სასამართლო პროცესი;
(ii) სასამართლო აკრძალვა არ იქნება მოპოვებული და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან არ მოხდება სათანადო კომუნიკაცია; და
(iii) საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო ხარჯები არ ჩაირიცხება სადეპოზიტო ანგარიშზე.

მოცემული პროექტის ფარგლებში არ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები, ასევე არ ექნება ადგილი კერძო მფობელობაში არსებულ აქტივებზე გავლენას იქამდე, ვიდრე განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და დამტკიცებული საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო თანხები არ გადაეცემა პროექტის ზემოქმდებაში მოქცეულ პირებს და/ან არ ჩაირიცხება ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე (პროექტის ანგარიშზე /ან აღმასრულებელი სააგენტოს ანგარიშზე).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მონაცემების კორექტირება

საჭიროების შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი გაუწევს ტექნიკურ დახმარებას პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარეგისტრაციო მონაცემების კორექტირების პროცესში. ამას გარდა, ზემოქმედებაში მოქცეული ის პირები, რომლებიც არის პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების ლეგიტიმური მესაკუთრეები, მიიღებენ დახმარებას ლეგალიზაციისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროს, თუკი პროექტის განხორციელების დროს მსგავსი დახმარების საჭიროება გამოიკვეთება.

მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა (WB OP 4.12)

მსოფლიო ბანკის განსახლების სპეციფიური მოთხოვნები მოცემულია არანებაყოფლობითი განსახლების სამოქმედო პოლიტიკაში (OP 4.12) და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- არანებაყოფლობითი განსახლება შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნას აცილებული ან უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმამდე შემცირებული;
- სადაც აუცილებელია განსახლების განხორციელება, მაშინ ის კლასიფიცირდება როგორც განვითარების პროგრამა, რომელიც ადგილმონაცვლე პირისთვის უზრუნველყოფს ახალი ინვესტირების ეფექტურ რესურსს;
- განსახლებას დაქვემდებარებული პირები სრულყოფილად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და უნდა მიეცეთ პროცედურებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რათა გამოიყენონ და დაიცვან მათზე მინიჭებული უფლებები;
- დახმარება უნდა გაეწიოს ადგილმონაცვლე პირებს მათი შემოსავლისა და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესების კუთხით, ან როგორც მინიმუმ უნდა აღუდგეთ ან შეუნარჩუნდეთ ადგილმონაცვლეობამდე არსებული ცხოვრების დონე;

- უნდა არსებობდეს ადგილმონაცვლე პირების დახმარების ვალდებულება და შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფა განურჩევლად იმისა, თუ როგორ მოახერხეს მათ საკუთრებისა და ქონების მოპოვება, ე.ი. მათი ლეგალურობის მიუხედავად (მაშინაც როცა ადგილმონაცვლე პირებს არ აქვთ კანონიერი საფუძველი და არიან არაკანონიერი მფლობელები);
- ადგილმონაცვლე პირებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავებული საკუთრების სანაცვლოდ ჩანაცვლების და საკომპენსაციო ხარჯების სრულად ანაზღაურება იმ ოდენობით, რომლითაც შესაძლებელი იქნება დაკავებული საკუთრების ალტერნატივის მოპოვება.

აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს კომპენსაციისა და განსახლების პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდეგ დახმარებისა და მხარდაჭერის ვალდებულებას.

კომპენსაციისა და განსახლების პროცესის მიმდინარეობისას დახმარება მოიცავს შემდეგს:

- დახმარება პირადი ნივთების გადატანის დროს;
- ძველი შენობიდან მასალების ტრანსპორტირება და/ან გაყიდვა;
- საჭიროების შემთხვევაში ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა; და
- დახმარება ახალი უძრავი ქონების საკუთრებაში მიღებისას.

როგორც მსოფლიო ბანკის პოლიტიკის ნაწილი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს. ეს არის იმ ხალხისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც სქესის, ეთნიკურობის, ასაკის, ფიზიკური თუ მენტალური უუნარობის, ეკონომიკური სტატუსის, თუ სოციალური სტატუსის გამო უფრო მეტად დაზარალდება პროექტით გამოწვეული განსახლებით ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები, ან შეზღუდულები ან უუნარონი არიან, რომ მოითხოვონ ან მიიღონ სარგებელი განსახლების პროცესში გაწეული დახმარებისგან.

OP 4.12-ის მე-16 პარაგრაფის, შესაბამისი განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, შემდეგი კატეგორიის პირებზე ვრცელდება სხვადასხვა სახის შემამსუბუქებელი ღონისძიებები, მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმის პროექტის ფარგლებში, რომელიც შემუშავებული იყო კონკრეტულად შეთავაზებული საგზაო პროექტის ფარგლებში:

ა) პირები, რომელთაც აქვთ კანონიერი ფორმალური უფლება მიწაზე (მათ შორის კანონით აღიარებული გამოყენების უფლების იურიდიული სტატუსი ან კანონზე დაფუძნებული უფლება),
ბ) პირები, რომელთაც არ გააჩნდათ კანონიერი ფორმალური უფლება მიწაზე აღწერის დაწყების დროს, მაგრამ ჰქონდათ პრეტენზია მიწაზე ან აქტივებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი პრეტენზიები აღიარებულია კანონით ან გახდება აღიარებული განსახლებისა და კომპენსაციის გეგმით განსაზღვრული პროცესების საშუალებით,
გ) პირები, რომელთაც არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ მიწაზე, რომელსაც იკავებენ ან რომლითაც სარგებლობენ.

ა და ბ პუნქტებით განსაზღვრულ პირებს მიეცემათ კომპენსაცია მიწის დაკარგვისათვის და პოლიტიკის შესაბამისად გაეწევათ სხვა სახის დახმარება. (გ) პუნქტით განსაზღვრულ პირებისათვის უზრუნველყოფილი იქნება დახმარება განსახლებისას მათ სარგებლობაში არსებული მიწების კომპენსაციის სანაცვლოდ და პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად

საჭიროების შემთხვევაში გაეწევათ სხვა სახის დახმარება თუ ისინი იკავებდნენ ან იყენებდნენ საპროექტო ტერიტორიას შესაბამისი უწყებების მიერ დაწესებულ და მსოფლიო ბანკისათვის მისაღებ კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღამდე. ა, ბ და გ პუნქტებით გათვალისწინებულ ყველა პირს მიეცემა კომპენსაცია, რომელიც იქნება საკმარისი ალტერნატიული ქონების შესაძენად, სანაცვლოდ დაკარგული ქონებისა, მათ შორის ქონებისა, რომელიც არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთს.

არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული ქართული კანონებისა და მსოფლიო ბანკის OP 4.12-ის მოთხოვნების შედარება

საერთო ჯამში, საქართველოს კანონმდებლობა ადექვატურად ასახავს მსოფლიო ბანკის OP4.12 პოლიტიკას, მაგრამ მცირედი სხვაობა მაინც შეინიშნება. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოფიციალური საკუთრების უფლებას და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების შეძენისა და კომპენსაციის საკითხებს, მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკის OP4.12 პოლიტიკა ხაზს უსვამს როგორც კანონიერ საკუთრებში არსებულ ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების კომპენსაციას, ისე პროექტის გავლენის ქვეშ მოქცეული პირების ცხოვრების სტანდარტებისას და ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობების ზოგად რეაბილიტაციას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ემატება არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც ეხება:

(i) ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირის/შინამეურნეობის ეკონომიკურ რეაბილიტაციას (მათ შორის ისინი, ვისაც პროექტის ფარგლებში შეძენილ აქტივებზე კანონიერი/ოფიციალური უფლება არ გააჩნია),
(ii) ბიზნესისა და შემოსავლის დაკარგვისთვის კომპენსაციის ანაზღაურებას,
(iii) და სპეციალურ შემწეობას, რომელიც მოიცავს ზემოქმედებაში მოქცეული პირებისა და შინამეურნეობების ხარჯებს განსახლების პროცესის დროს ან მძაფრ ზემოქმედებაში მყოფთა და მოწყვლადი ჯგუფების სპეციალური საჭიროებების ხარჯებს.

ასევე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოლაპარაკება მიიჩნევა ექსპროპრიაციის ალტერნატივად, მაშინ, როდესაც OP 4.12–ით საფრთხის ქვეშ არსებული მოლაპარაკება ექსპროპრიაციაზე კვლავ კვალიფიცირდება როგორც არანებაყოფლობითი განსახლება. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზოგადოებასთან ინტენსიური კონსულტაციების საფუძველზე განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ ღონისძიებებს.

საქართველოს კანონმდებლობასა/რეგულაციებსა და მსოფლიო ბანკის OP 4.12 პოლიტიკას შორის არსებული განსხვავებები და გამოვლენილ განსხვავებებთან დაკავშირებით გასატარებელი აქტივობები ასახულია ქვემოთ მოცემულ მე-11 ცხრილში.

ცხრილი 11. სამართლებრივი მატრიცა

საქართველოს კანონები და რეგულაციები	WB OP 4.12	გასატარებელი აქტივობა
მიწის კომპენსაცია მხოლოდ რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეთათვის.	რეგისტრაციის არ ქონა არ უნდა იყოს კომპენსაციის და/ან რეაბილიტაციის მიღების დამაბრკოლებელი გარემოება. მიწის არაკანონიერი მფლობელებიც იღებენ რეაბილიტაციას და კომპენსაციას იმ შენობა-ნაგებობებისთვის და აქტივებისთვის, რომელიც აქვთ მიწაზე	პრაქტიკაში, ლეგალიზაციას დაქვემდებარებული მიწის მესაკუთრეებიც ასევე იღებენ კომპენსაციას მას შემდეგ, რაც მათზე გაიცემა აუცილებელი საბუთები. საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაეხმარება არაკანონიერ მფლობელებს, შესაბამისად, ისინი შეძლებენ კანონიერი სტატუსის მიღებას და კომპენსაციას ადგილმონაცვლეობამდე. იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე მიზეზით მიწის მესაკუთრეები ვერ მიიღებენ კანონიერ სტატუსს, მაშინ მთავრობამ უნდა მისცეს თანხმობა მსგავსი მიწის მესაკუთრეების რეაბილიტაციაზე/კომპენსაციაზე ადგილმონაცვლეობის განხორციელებამდე.
მხოლოდ რეგისტრირებულ სახლებზე/შენობებზე გაიცემა კომპენსაცია პროექტის შედეგად გამოწვეული ზიანისთვის/ნგრევისთვის	ზემოქმედებაში მოქცეულ სახლებზე/შენობებზე, განურჩევლად მათი იურიდიული სტატუსისა, გაიცემა კომპენსაცია პროექტის შედეგად შენობაზე მიყენებული ზიანისთვის/ნგრევისთვის	სავარაუდოდ, საკუთრების უმეტესობა დარეგისტრირდება მათ ფაქტიურ მფლობელზე პროექტის დახმარებით (იურიდიული დახმარება და დახმარება რეგისტრაციისას). შესაბამისად, კომპენსაცია მიეცემა ყველა პროექტს დაქვემდებარებულ ოჯახს. მშენებლობის პერიოდში მიყენებული ზარალის შემთხვევაში, მშენებელი კონტრაქტორი იქნება პასუხისმგებელი კომპენსაციაზე და საავტომობილო გზების დეპარტამენტის გუნდი ზედამხედველობას გაუწევს აღნიშნულ პროცესს. იმ შეთხვევებისთვის, როდესაც ვერ ხერხდება მათი რეგისტრაცია იხილეთ საკომპენსაციო უფლებების მატრიცა.
კომპენსაცია მოსავლისა და ხეების დაკარგვისთვის გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებულ მიწის მესაკუთრეებზე	კომპენსაცია მოსავლის დაკარგვისთვის გაიცემა მიწის მესაკუთრეებზე, ნახევარის მფლობელებზე/მოიჯარეებზე და სხვა მოსარგებლეებზე, მაგალითად როგორებიც	პრაქტიკულად, საქართველოში ყველა სახნავ-სათესი მიწა რეგისტრირებულია ან საჯარო რეესტრში ან სოფლებში. იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, კომპენსაცია მიეცემა მოიჯარეს და სხვა მომხმარებლებს ფაქტიური ზარალისათვის და გაეწევათ

საქართველოს კანონები და რეგულაციები	WB OP 4.12	გასატარებელი აქტივობა
	არიან თვითნებურად შეჭრილი პირები, განურჩევლად იმისა რეგისტრირებული არიან თუ არა	დახმარება სხვა მიწის მოძებნაში, რათა შეძლონ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება.
აქტივების დაკარგვის კომპენსაცია გაიცემა საბაზრო ფასის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ამორტიზაციის ხარჯების გამოქვითვას.	აქტივების დაკარგვის კომპენსაცია ხდება საბაზრო ფასზე დაყრდნობით, რომელიც არ ითვალისწინებს ამორტიზაციას. ის ასევე უნდა მოიცავდეს ტრანზაქციის ხარჯებს, როგორიცაა გადასახადები და სარეგისტრაციო ხარჯები. ასევე უნდა მოიცავდეს განსახლების სხვა ხარჯებს, მაგალითად მიწის დასამუშავებლად მოსამზადებელ ხარჯებს.	კომპენსაციის ანაზღაურება მოხდება საბაზრო ფასით, რომელიც არ ითვალისწინებს ამორტიზაციას ან გადარჩენილი მასალების ღირებულის საფუძველზე, თუ მფლობელს შემორჩა მსგავსი მასალა. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს იურიდიული პროცედურები ტრანზაქციის ხარჯების და განსახლების სხვა ხარჯების დასადგენად. აქტივების შეფასების კრიტერიუმი ეფუძნება აღდგენით ხარჯებს OP 4.12 –ის თანახმად.
პროექტის განმახორციელებელი სააგენტო არის ერთადერთი სამსახური, რომელიც სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოაგვარებს დავებს და განიხილავს საჩივრებს ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების რაოდენობისა და კომპენსაციის დადგენასთან დაკავშირებით. საჩივრების განხილვა ხდება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ფორმალური პროცედურების (კანონების) მიხედვით. არ არსებობს არანაირი არაფორმალური საჩივრების განხილვის მექანიზმი მოსახლეობის	საჩივრები და პრეტენზიები შეიძლება გადაწყდეს არაფორმალურად პროექტის დონეზე საჩივრების განხილვის მექანიზმის საშუალებით, რომელიც ზოგ შემთხვევაში ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას საჩივრების განხილვის კომისიაში, ადგილობრივ თვითმმართველობაში და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და/ან ადგილობრივ დონეზე შექმნილ ორგანიზაციებში.	საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების გუნდმა უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოხდება ზემოქმედებას ქვეშ მოქცეული პირების საჩივრების მიღება, რეგისტრაცია და გაფორმება. მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თვითმმართველობების და სოფლის წარმომადგენლები ჩართულები იქნებიან პროცესში საწყისი ეტაპიდანვე. ეს უზრუნველყოფს დავებისა და პრეტენზიების გადაწყვეტას (შეძლებისდაგვარად) საზოგადოებრივ დონეზე, თუმცა, თუ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, მაშინ საქმის წარმოება მოხდება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონები და რეგულაციები	WB OP 4.12	გასატარებელი აქტივობა
მონაწილეობით ადგილობრივ დონეზე.		
მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები განიხილება მხოლოდ მიწის მესაკუთრეებსა და მიწის შემსყიდველ უწყებებს შორის.	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი და განსახლების სამოქმედო გეგმები, მათ შორის ინფორმაცია ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების შეფასების კრიტერიუმზე, საკომპენსაციო პრივილეგიებზე, საკომპენსაციო/ფინანსურ დახმარებაზე უნდა გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი დაგეგმარების პროცესში.	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის და განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებაში ჩართულები უნდა იყვნენ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები; განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტზე და განსახლების სამოქმედო გეგმაზე უნდა ჩატარდეს საჯარო განხილვები და საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. თუმცა პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული პირების პირადი ინფორმაცია ან თანხა, რომელსაც მიიღებს თითოეული პირი/ოჯახი არ იქნება საჯარო.
არ არის გათვალისწინებული მძაფრ ზემოქმედებაში მოქცეული ან მოწყვლადი პირების შემწეობების შემოსავლის/საარსებო წყაროს რეაბილიტაციის, ან განსახლების ხარჯების განმსაზღვრელი პირობები.	მსოფლიო ბანკის პოლიტიკით მოთხოვნილია შემოსავლის/საარსებო წყაროს, სერიოზული ზარალისა და ადგილმონაცვლეობის პროცესში ზემოქმედებაში მოქცეული პირების მიერ გაწეული ხარჯების რეაბილიტაცია	საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს იურიდიული პროცესები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მძაფრი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ან მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის დამატებითი დახმარება განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, და ადგილმონაცვლეობის კომპენსაცია ყველა ოჯახისათვის.
ქართული კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საჯარო შეხვედრების კონკრეტული გეგმა	საჯარო შეხვედრები და საზოგადოების ჩართულობა მსოფლიო ბანკის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რაც კონცეფციის შემუშავების, განხორციელებისა და განხორციელების შემდგომ პერიოდში უწყვეტ პროცესს წარმოადგენს.	საჯარო შეხვედრები ჩატარდება განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებამდე მსოფლიო ბანკის მოთხოვნებისა და სახელმძღვანელოს მიხედვით.
პროექტთან დაკავშირებული მიწების ათვისების გამო ბიზნესის (ოფიციალურად რეგისტრირებული) დანაკარგების კომპენსაცია ხდება საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე	ყველა სახის მიმდინარე ბიზნესისათვის (ოფიციალურად რეგისტრირებული თუ არა მოვაჭრეები) ფულადი ანაზღაურება გაიცემა 1 წლის შემოსავლის ოდენობით, საგადასახადო დეკლარაციის ან მისი არარსებობის შემთხვევაში (არაფორმალური ბიზნესის შემთხვევაში)	საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს, ყველა ბიზნესის აღიარება და ანაზღაურება ადგილმონაცვლეობამდე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით.

საქართველოს კანონები და რეგულაციები	WB OP 4.12	გასატარებელი აქტივობა
	ოფიციალური საარსებო მინიმუმის საფუძველზე.	

საქართველოს კანონებსა/რეგულაციებსა და მსოფლიო ბანკის OP 4.12-ს შორის გამოვლენილი ცდომილებების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შექმნა მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა აქტივის ჩანაცვლებითი ღირებულების კომპენსირებას, ასევე სუბსიდიების ან შემწეობების გაცემას ზემოქმედებაში მოქცეული შესაბამისი შინამეურნეობებისთვის, რომლებიც გამოვლინდება მოცემული პროექტის ფარგლებში.

თავი 5. უფლებამოსილებები კომპენსაციაზე

საკომპენსაციო პოლიტიკის მიზნები

განსახლების აქტივობების განხორციელება დაკავშირებულია პროექტის საინვესტიციო კომპონენტის განხორციელებასთან, რათა უზრუნველყოფილი იყო, რომ ადგილმონაცვლეობა ან წვდომის შეზღუდვა არ მოხდეს განსახლებისთვის საჭირო ზომების მიღებამდე.

როგორც მოცემულია OP 4.12-ში, დამტკიცებულ განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტში და როგორც აღწერილია მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმის პროექტში, პროექტთან დაკავშირებული ყველა ზემოქმედება დადგენილია შესაბამისი კვლევებით, რომლებიც ჩატარდა განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებისას და რომლებიც გამოყენებულია შესაბამისი მიზნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი მიიღებს შესაფერის კომპენსაციას და სხვა სახის დახმარებებს, რომლებიც საჭირო ადგილმონაცვლეობისთვის, გადაადგილებამდე და განსახლების ადგილებზე შესაბამისი ნაგებობების დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში. კონკრეტულად, მიწებისა და სხვა შესაბამისი აქტივების ათვისება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მოხდეს, რაც გადაადგილებულ პირებს მიეცემათ კომპენსაცია და საჭიროების შემთხვევაში მათთვის მიწოდებული იქნება ადგილმონაცვლე ადგილები და მათზე გაცემული იქნება გადაადგილებისთვის გათვალისწინებული დახმარებები.

კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღის დაწესება

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეებისათვის კომპენსაციების გაცემის პირობებს არეგულირებს **კომპენსაციის მიმღებთა დადგენის „საბოლოო თარიღი“, 2018 წლის 29 ნოემბერი.** შეთავაზებული საგზაო პროექტისთვის, საბოლოო თარიღი არის დეტალური აღწერითი კვლევისა და ზემოქმედებაში მოქცეული პირების აღწერის დაწყების თარიღი.

ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს განემარტათ საბოლოო თარიღის არსი და მნიშვნელობა და მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ **ზემოქმედებაში მოქცეული პირები, რომლებიც დაიკავებენ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ტერიტორიას, ან ააშენებენ უძრავ ქონებას საბოლოო თარიღის შემდეგ არ იქნებიან უფლებამოსილნი კომპენსაციის მიღებაზე.** თუმცა, მათ მიეცემათ შესაბამისი წინასწარი გაფრთხილება, რომელშიც მოთხოვნილი იქნება უძრავი ქონების გათავისუფლება და ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობების დაშლა პროექტის განხორციელებამდე. დაშლილი ნაგებობების კონფისკაცია არ მოხდება და მათ არ დაეკისრებათ რაიმე სახის ჯარიმა ან სანქცია. იძულებითი გამოსახლება მხოლოდ მაშინ იქნება გამოყენებული, როდესაც ყველა სხვა მცდელობა უშედეგოდ ჩაივლის.

სადეპოზიტო ანგარიშები

ფულადი კომპენსაციისათვის გამოყოფილი თანხა დეპონირდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სპეციალურ ანგარიშზე იმ შემთხვევაში, თუ განხორციელების პერიოდში პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი არ იძებნება, არ არის ადგილზე ან გარდაცვლილია ან საჭირო კომპენსაციის გადახდა ვერ ხერხდება რაიმე იურიდიული პროცედურის

დასრულებამდე, ან ზემოქმედებაში მოქცეული პირი ვერ ახერხებს კომპენსაციის მიღებს რაიმე სხვა დასაბუთებული მიზეზის გამო.

ზემოქმედებაში მოქცეული პირების მიერ კომპენსაციის მიღების კრიტერიუმები

მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტი ადგენს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების მიერ კომპენსაციის მიღების კრიტერიუმებს და აღწერს ზემოქმედებაში მოქცეული აქტივებისა და შესაბამისი შემწეობების კომპენსირების პირობებს.

OPRC პროექტის ფარგლებში არ მოხდება ზემოქმედება კომერციული ან ინდუსტრიული დანიშნულების ნაგებობებზე, ბიზნეს ოპერაციებსა და დასაქმებაზე. შესაბამისად, არ არის მოსალოდნელი ხელფასებისა და ანაზღაურებების დაკარგვის რისკი. ასევე არ ხვდება ზემოქმედებაში ზიარი ქონებისა და საზოგადოებრივი გამოყენების ინფრასტრუქტურის ერთეულები.

დამატებით, ერთჯერადი დახმარება გაიცემა ზემოქმედებაში მოქცეულ მოწყვლად შინამეურნეობებზე, თუკი მსგავსი ოჯახები დაფიქსირდება 34 არარეგისტრირებული, ხის ან მავთულხლართის ღობეების მქონე, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ან მფლობელებს შორის. მარტოხელა ქალების მართვის ქვეშ მყოფი შინამეურნეობები და სხვა მოწყვლადი შინამეურნეობები[10] უფლებამოსილნი იქნებიან შემდგომ დახმარებებზე, რათა შემსუბუქდეს პროექტის ზემოქმედება.

აღსანიშნავია, რომ შეთავაზებული პროექტის ფარგლებში არ დაფიქსირებულა მძაფრი ზემოქმედების შემთხვევები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი 12 აღწერს უფლებამოსილებების მატრიცას, რომელიც მკაცრად იქნება დაცული მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, მოცემული პროექტის ფარგლებში.

ზოგადად დადგენილი საკომპენსაციო უფლებამოსილებები

პროექტის ზემოქმედებაში მყოფი პირებისთვის მიწის, სახლების და შემოსავლების დაკარგვის საკომპენსაციო გადასახადები და სარეაბილიტაციო სუბსიდიები ითვალისწინებს მიწის დროებითი ან მუდმივი დაკარგვის, საცხოვრებელი სახლების და კომერციული შენობების, წლიური მოსავლისა და ნარგავების დაკარგვის ანაზღაურებას და ბიზნეს შემოსავლების დანაკარგების კომპენსაციას საგადასახადო დეკლარაციას და/ან დამტკიცებულ განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტში ფიქსირებული თანხების საფუძველზე.

[10] მოცემული პროექტის ფარგლებში, მოწყვლადი ჯგუფები უნდა დადგინდეს შემდეგი კრიტერიუმებით: მარტოხელა დედები, მარჩენალი ქალები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობები და იძულებით გადაადგილებული პირები.

შეთავაზებული საგზაო პროექტისთვის მორგებული საკომპენსაციო უფლებამოსილებები აღწერილია ქვემოთ:

მსუბუქი კონსტრუქციის ღობეები: ფულადი კომპენსაცია არ გაიცემა ზემოქმედებაში მოქცეულ პირებზე მსუბუქო კონსტრუქციის ხის და რკინის ბადიანი ღობეების ჩანაცვლებისათვის. ნაცვლად ამისა, სამშენებლო კონტრაქტორი იქნება სრულად პასუხისმგებელი ღობეების აღდგენაზე, მას შემდეგ რაც მოხდება მოცემული ნაკვეთების დაყოფა და შესყიდვა.

მყარი კედლები/მეტალის ღობეები ბეტონის საძირკველზე: ფულადი კომპენსაცია დათვლილი იქნება ჩანაცვლების სრული ღირებულების ოდენობით, მიმდინარე საბაზრო ფასების მიხედვით, ნარჩენი მასალებისა და ამორტიზაციის ხარჯების გამოკლების გარეშე.

სამშენებლო ხეები/არამსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავები: არ გაიცემა ფულადი კომპენსაცია არამსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავებისათვის. ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს ექნებათ უფლება, რომ მოჭრილი ხეები გამოიყენონ პირადი მიზნებისთვის. სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს ხეების მოჭრას და მორების მიწოდება ზემოქმედებაში მოქცეული პირების საცხოვრებელ ადგილებამდე.

მსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავები: იმ შემთხვევაში, თუკი მსგავს ზემოქმედებას რაიმე მიზეზის გამო ადგილი ექნება სამშენებლო სამუშაოების დროს, ფულად კომპენსაციაში ასახული იქნება შემოსავლის ჩანაცვლებას. საკომპენსაციო განაკვეთები, რომლებიც შემოთავაზებულია დანართში 2, დათვლილი იქნება იმავე სახეობის, ასაკის და პროდუქტიული ღირებულების მქონე მსხმოიარე ხის საბაზრო ფასის მიხედვით. ზრდასრული, მსხმოიარე ხის მოსავლის ერთწლიანი მოცულობა გამრავლდება ხილის საბაზრო ფასზე (კგ/ლარი) და გამრავლდება იმ წლების რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა იმავე პროდუქტიულ ასაკამდე ახალი ხის გასაზრდელად. დამატებით, თითოეული მსხმოიარე ხე უნდა ანაზღაურდეს ნერგის შესყიდვის ფასის მიხედვითაც.

ბიზნესის მუდმივი დაკარგვა: შეთავაზებული პროექტის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი ბიზნესის მუდმივი დაკარგვის არც ერთი შემთხვევა. შესაბამისად, მოცემული პროექტის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი ხელფასებისა და ანაზღაურებების მუდმივი დაკარგვა ბიზნესში მომუშავე და/ან დასაქმებული პირებისთვის. შეთავაზებული გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ასევე არ არის მოსალოდნელი სხვა რაიმე სახის შემოსავლების დაკარგვა.

რეაბილიტაციის დამატებითი ზომები

შეთავაზებული გზის რეაბილიტაციის პროექტში არ გამოვლენილა მძაფრი ზემოქმედებისა ან მოწყვლადი შინამეურნეობების შემთხვევები, შესაბამისად, ფულადი კომპენსაცია არ არის გათვალისწინებული განსახლების სამოქმედო გეგმის ბიუჯეტში.

თუმცა, OP 4.12-ისა და დამტკიცებული განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმა გაითვალისწინებს დამატებით სარეაბილიტაციო ღონისძიებებს მოწყვლადი ჯგუფებისთვის, თუკი მოხდება მათი აღმოჩენა განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის დასრულებისას ან განსახლების შემოკლებული

სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდში. ამას გარდა, პროექტის განხორციელების მონიტორინგი მოიცავს მოწყვლადი ჯგუფების შეფასებას, რათა შესწავლილი იყოს მათი საარსებო სახსრები და მათ მიიღონ დამატებითი დახმარებები, თუკი ასეთი საჭიროების გამოიკვეთება, რათა მიღწეული იყო დამტკიცებული განსახლების ჩარჩო-დოკუმენტისა და მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მიზნები.

ზემოქმედებაში მოქცეული მოწყვლადი შინამეურნეობები: ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების კომპენსაციის გარდა, გატარდება დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებები; კერძოდ: დაზარალებულები ერთჯერადი კომპენსაციის სახით მიიღებენ საარსებო მინიმუმის ოდენობის თანხას ხუთ (5) სულიანი ოჯახის სამომხმარებლო კალათის ოდენობით 3 თვეზე გადამრავლებულს. დამატებით, მოწყვლად ჯგუფებში შემავალი ოჯახების შრომისუნარიან წევრებს მიენიჭებათ უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებში დასაქმების კუთხით. 1,050.63 ლარის ოდენობის[11] კომპენსაცია გაიცემა ზემოქმედებაში მოქცეულ თითოეულ მოწყვლად შინამეურნეობაზე. მოცემული ერთჯერადი კომპენსაციის ოდენობა გამოთვლილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის (საქსტატი) ოფიციალური ვებგვერდიდან მოპოვებული მონაცემების მიხედვით.[12]

დაბეგვრა და ოფიციალური გადასახადები

არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში არ იქნებიან ზემოქმედებაში მოქცეული პირები ვალდებულები, რომ გადაიხადონ რაიმე სახის გადასახადები ან ტრანზაქციის საკომისიოები.

საკომპენსაციო ხელშეკრულებების დამუშავების დანახარჯებს სრულად დაფარავს შემსრულებელი სააგენტო. ამას გარდა, მოხდება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული თანხების, მათ შორის გადასახადების სუბსიდირება, თუკი არ გაუქმდება საქართველოს მთავრობის მიერ.

ამას გარდა, საბანკო მომსახურების გადასახადები დაემატება ფულად კომპენსაციას, რომელიც ზემოქმედებაში მოქცეულმა პირებმა უნდა აიღონ ბანკების საშუალებით.

ცხრილი 12. უფლებამოსილებების მატრიცა

მართალია, პროექტის ზემოქმედების მასშტაბი, მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი კვლევების თანახმად, მოიცავს მხოლოდ დროებით ზემოქმედებას ღობეებზე და არ არის საჭირო მიწის შესყიდვა, ასევე პროექტი არ იწვევს მძაფრ ზემოქმედებას, ქვემოთ მოცემული უფლებამოსილებების მატრიცა ასახავს ზემოქმედების ყველა შესაძლო შემთხვევას, როგორც განსაზღვრულია დამტკიცებულ განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტში.

[11] 2018 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მინიმალური თვიური საარსებო მინიმუმი ხუთი წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის არის 350.20 ლარი. კერძოდ: 350.20 X 3 =1050.60 ერთ მოწყვლად ოჯახზე.

[12] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=179&lang=eng.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
ყველა სახის მიწის სამუდამო დაკარგვა (სახნავ-სათესი, საცხოვრებელი ,ინდუსტრიული, კომერციული)	ყველანაირი მიწის ნაკვეთის დაკარგვა მიუხედავად ზემოქმედების სიმძაფრისა	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები (სრულად რეგისტრირებული საკუთრების უფლებით)	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები მიიღებენ ადგილმონაცვლეობისათვის ფულად კომპენსაციას არსებული საბაზრო ფასის მიხედვით[13]. საკომპენსაციო განაკვეთები განისაზღვრება[14] და დამტკიცდება განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში. თუკი რეგისტრირებული მესაკუთრეების მიწის ნაკვეთების ნაწილი აღარ იქნება ვარგისი გამოყენებისთვის, მოცემული ნაწილის შესყიდვა მოხდება მფლობელთან შეთანხმების საფუძველზე.
	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნე, რომელიც ფლობს ზედმეტ[15] მიწას	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნე, რომელიც იყენებს იმაზე მეტ მიწას ვიდრე ეკუთვნის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებით.	მითვისებულ (უკანონოდ დაკავებულ) მიწაზე ფულადი კომპენსაცია არ გაიცემა მიწის ლეგალიზების კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. თუმცა, ერთწლიანი კულტურების მოსავლის დაკარგვა ექვემდებარება ფულად კომპენსაციას და მიწათმოსარგებლე სრულად მიიღებს დაკარგული წლიური მოსავლის სანაცვლო თანხას არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად.
		პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები (მფლობელები რომელთა მიწის ნაკვეთი ექვემდებარება ლეგალიზაციას)	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების დახმარება მათ მფლობელობაში არსებული პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების ლეგალიზებაში.მას შემდეგ რაც დასრულდება ლეგალიზაციისა და საკუთრების რეგისტრაციის პროცესი, დაიწყება მიწის ნაკვეთის შესყიდვა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი

[13] არსებულ საბაზრო ფასად ჩანაცვლების ღირებულების დეტალური აღწერა მოცემულია შემდეგ თავში: შეფასებისა და საკომპენსაციო განაკვეთების განსაზღვრის მეთოდოლოგია

[14] მოცემული პროექტის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული მიწის შესყიდვები. თუკი რაიმე ტექნიკური მიზეზის გამო გამოიკვეთება მიწის შესყიდვის საჭიროება, მომზადდება და დამტკიცდება მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის დანართი, რათა მოხდეს კომპენსირება.

[15] ზედმეტი (ნამატი) მიწა ნიშნავს, როდესაც პირი სარგებლობს იმაზე მეტი მიწის ფართობით, ვიდრე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით აქვს მინიჭებული. რეგისტრაციის განახლებამდე, ასეთი შემთხვევები შესწავლისა და დამტკიცება/არ დამტკიცების მიზნით გადაეცემა მიწის ლეგალიზების ადგილობრივ კომისიას.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
			მიიღებსადგილმონაცვლეობის მთლიან თანხას არსებული საბაზრო ღირებულების ოდენობით, რაც შემოთავაზებულია დამტკიცებულ განსახლების შემოკლებულ სამოქმედო გეგმაში.
		კერძო ან საჯარო მიწების მეიჯარე	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის შესაბამისი ღირებულების/პროდუქტიულობის მიწის ნაკვეთზე ქირავნობის ხელშეკრულების (უსასყიდლოდ) განახლება, ან ფულადი კომპენსაცია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის გათვალისწინებით ქირავნობის დარჩენილი წლების რაოდენობის შესაბამისად (მაქსიმუმ 3 წელი) დამატებით ფულადი კომპენსაცია იმ ოდენობით რაც დამქირავებელს ინვესტირებული *(დადასტურებული ინვესტიცია)* აქვს მიწის ნაკვეთში.
		მოიჯარე (არარეგისტრირებული)	ფულადი კომპენსაცია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის გათვალისწინებით ქირავნობის დარჩენილი წლების რაოდენობის შესაბამისად (მაქსიმუმ 3 წელი)
		საკუთრების უფლების არმქონე, არალეგალიზებადი მიწის მფლობელები, უკანონოდ შეჭრილები	ზემოქმედებაში მოქცეული არალეგალიზებადი პირები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, რომელიც არის შინამეურნეობის მფლობელობაში არსებული ერთადერთი მიწა და წარმოადგენს ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობის შემოსავლის ერთადერთ წყაროს, მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას, რომელიც უტოლდება 1 წლიან საარსებო მინიმუმს
საზოგადოებრივი მოხმარების მიწის ნაკვეთის მუდმივი დაკარგვა (სამეურნეო და საძოვარი მიწები)		ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამეურნეო და საძოვარ მიწებთან მისასვლელის გადაკეტვა	დაზარალებულ მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობისგან სანაცვლოდ უსასყიდლოდ გადაეცემა იმავე ზომისა და პროდუქტიულობის მიწის ნაკვეთი ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც მათთვის იქნება მისაღები. იმ შემთხვევაში, თუ ამდაგვარი ჩანაცვლება შეუძლებელია, შემუშავდება და განხორციელდება საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე, რაც შეუნარჩუნებს მათ თავიანთ საარსებო

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
			წყაროს მინიმუმ იმ ოდენობით რაც ქონდათ პროექტის დაწყებამდე.
შენობა-ნაგებობები			
საცხოვრებელი სახლი	პროექტის ზემოქმედებით დაზიანებული საცხოვრებელი სახლები რომლებიც ექვემდებარება ნაწილობრივ/მთლიან დანგრევას	დარეგისტრირებული საკუთრების დოკუმენტის მქონე პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები; პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები ვინც ლეგიტიმურ მფლობელებად ითვლებიან	ადგილმონაცვლეობისას პროექტის ზემოქმედების შედეგად დაზიანებული შენობისა და სხვა ქონების კომპენსაცის დათვლა ხდება საბაზრო ღირებულების თანახმად, ტრანზაქციის გადასახადებისა და ამორტიზაციის ღირებულების ან გადარჩენილი მასალების გამოკლებით. ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში, მთლიანი ფულადი დახმარება შენობის დარჩენილი ნაწილის აღსადგენად, რომ შენობა გახდეს კვლავ ფუნქიონალური დაზარალებული პირის შეხედულებისამებრ. თუ ნაწილობრივი დანგრევის შემთხვევაში შეიძლება დადგეს მთლიანი შენობის განადგურების საფრთხე ან წამოიჭრას ადამიანების უსაფრთხოების საკითხი კომპენსაცია შეეხება როგორც მთლიან შენობას ასევე მასში არსებულ სხვა ქონებას. დამატებით, საარსებო წყაროს აღდგენის ინიციატივები შეეხება იმ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებსაც ვისი საარსებო წყაროც განადგურდება შეთავაზებული პროექტის არაპირდაპირი ზემოქმედების შედეგად. (მაგ. როცა პროექტის ზეგავლენა ვრცელდება მხოლოდ საცხოვრებელ სახლზე, ხდება ადგილმონაცვლეობის სრული კომპენსაცია და ერთჯერადი დახმარება პირადი ნივთებისა და გადარჩენილი მასალის ტრანსპორტირებისთვის, თუმცა სხვა შემოსავალი რაც წარმოშობს ქონებას (სოფლის მეურნეობის მიწის/კერძო კომერციული ობიექტები) რომლებიც განთავსებულია პროექტის ზემოქმედების ფარგლებს გარეთ, შეიძლება არ იქნას შეტანილი კომპენსაციის პაკეტში. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულმა პირებმა მას შემდეგ რაც დაფუძნდებიან ახალ ადგილზე შეიძლება დროებით დაკარგონ შემოსავლის წყარო მგზავრობის გაზრდილი დროისა და გართულებული წვდომის გამო.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		საცხოვრებელი სახლების მფლობელები/დამქირავებლები	ერთჯერადი კომპენსაცია განისაზღვრება ქირის ყოველთვიური გადასახადის (იჯარის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის) სამმაგი ოდენობით[16]; დამატებით პირებს ერთჯერადად გაეწევათ ტექნიკური დახმარება პირადი ნივთების ახალ საცხოვრებლამდე ტრანსპორტირებაში; განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელი კონსულტანტი განსაზღვრავს კომპენსაციის გონივრულ ოდენობას, პროექტის მახასიათებლებიდან და არსიდან გამომდინარე.
კომერციული ნაგებობები	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული კომერციული ობიექტები, რომლებიც ექვემდებარება ნაწილობრივ/სრულ დანგრევას	საკუთრების უფლების მფლობელი	ადგილმონაცვლეობისას პროექტის ზემოქმედების შედეგად დაზიანებული შენობისა და სხვა ქონების კომპენსაცის დათვლა ხდება საბაზრო ღირებულების თანახმად, ტრანზაქციის გადასახადებისა და ამორტიზაციის ღირებულების ან გადარჩენილი მასალების გამოკლებით. თუ ნაწილობრივი დანგრევის შემთხვევაში შეიძლება დადგეს მთლიანი შენობის განადგურების საფრთხე ან წამოიჭრას ადამიანების უსაფრთხოების საკითხი კომპენსაცია შეეხება როგორც მთლიან შენობას ასევე მასში არსებულ სხვა ქონებას.
		კომერციული ობიექტის მოიჯარე	ერთჯერადი კომპენსაცია განისაზღვრება ქირის ყოველთვიური გადასახადის (იჯარის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის) სამმაგი ოდენობით; იჯარის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობით.
პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის მფლობელობაშ	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული სახელმწიფოს/მუნინიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული შენობები, რომლებიც	იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილების, თვითნებურად შეჭრილების მიერ საცხოვრებლად	საცხოვრებელი ფართი მთავრობის განსახლების სივრცეში ან კომპენსაცია განსახლებისთვის, როგორც მოცემული იქნება დამტკიცებულ განსახლების შემოკლებულ გეგმაში.

[16] იმ შემთხვევაში, თუკი მეიჯარემ/დამქირავებელმა წინასწარ გადაიხადა გარკვეული დროის ქირა, მფლობელისგან მოითხოვება მისთვის შესაბამისი პერიოდის თანხის ანაზღაურება, თუკი არსებობს წინასწარი გადახდის მტკიცებულება.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
ი არსებული შენობები	ექვემდებარება ნაწილობრივ ან სრულ დანგრევას	დაკავებული შენობები	
ღობეები/მყარი კედლები	ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების მფლობელი ყველა პირი	ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი, რომელსაც მოუწევს ღობეების მოშლა, რათა საგზაო სამუშაოების დროს შეიცვალოს სადრენაჟო მილები	ფულადი კომპენსაცია ჩანაცვლების ღირებულების ოდენობით, რომელიც განისაზღვრება მასალებისა და ღობის/კედლის სიგრძის მიხედვით განსაზღვრული არსებული საბაზრო ფასის მიხედვით. მესაკუთრეს/მფლობელს ექნება არჩევანის უფლება: მიიღოს ფულადი კომპენსაცია და სამუშაოების დასრულების შემდეგ აღადგინოს საკუთარი ღობე; ან უარი თქვას საკომპენსაციო თანხის მიღებაზე და დათანხმდეს პირობას, სამშენებელო კომპანიამ საკუთარი ხარჯით მოახდინოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღდგენა. თუ კონკრეტულ მონაკვეთზე მშენებელობის დაწყების მომენტისათვის დაუდგენელი იქნება ღობის მფლობელის ვინაობა ან მისი ადგილმდებარეობა, სამშენებლო კომპანიას უფლება ექნება საკუთარი ხარჯებით აღადგინოს დაზიანებული ღობე. სამშებენლო კომპანიის ვალდებულება იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღებისას უზრუნველყოს დროებითი ზღუდარის მოწყობა, ან არსებული გადაიტანოს ისე რომ მიწის ნაკვეთზე არ მოხდეს უცხო პირების, ან საქონლის შეღწევა და არ დაზიანდეს მოსავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო კომპანია.
ერთწლიანი კულტურები	ზემოქმედებაში მოქცეული კულტურები	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი (უნებართვოთ შეჭრილი პირების ჩათვლით)	ერთწლიანი კულტურების ფულადი კომპენსაცია გაიცემა საბაზრო ღირებულების მიხედვით, ფაქტობრივი ან მოსალოდნელი მოსავლის გათვალისწინებით. ერთწლიანი კულტურებისათვის ფულადი კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაშიც კი თუ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოასწრებენ მოსავლის აღებას.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული კერძო მიწის ნაკვეთზე არსებული ხეები	მსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავები	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი (უნებართვოდ შეჭრილების ჩათვლით)	ფულადი კომპენსაცია საბაზრო ფასით ხის ჯიშის, საშუალო ასაკისა და პროდუქტიულობის მიხედვით გაანგარიშების საფუძველზე. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული თითოეული მსხმოიარე, ხის სანაცვლო ნერგის შესაძენად დამატებით თანხას მიიღებს. სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მოჭრილი ხეების ტრანსპორტირებას მესაკუთრის საცხოვრებელ ადგილამდე; მესაკუთრეებს კი უფლება ექნებათ საკუთარი სურვილისამებრ განკარგონ მოჭრილი ხეები.
	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული არამსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავები	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი (უნებართვოდ შეჭრილების ჩათვლით)	არამსხმოიარე ნარგავებისათვის არ გაიცემა ფულადი კომპენსაცია. ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ მოჭრილი ხეები. თუმცა, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული თითოეული არამსხმოიარე ხისთვის გაიცემა ფულადი ოდენობა, რომელიც ზემოქმედებაში მოქცეულ პირს ახალი ნერგის შეძენისა და დარგვის საშუალებას მისცემს. სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მოჭრილი ხეების ტრანსპორტირებას მესაკუთრის საცხოვრებელ ადგილამდე.
სახელმწიფო/საზოგადოებრივი გამოყენების მიწაზე მდგარი მრავალწლიანი ნარგავები	ხის ნერგები	კერძო მიწის ნაკვეთების გარეთ მდგარი მრავალწლიანი ნარგავები	სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მოჭრილი ხეების ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ ადგილზე და მოგვიანებით შესაძლოა მუნიციპალიტეტმა დაურიგოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას.
ტყის ფონდის მიწებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები	არსებული არამსხმოიარე სხეები	კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გარეთ არსებული მრავალწლოვანი მცენარეები	მოცემული ღონისძიების კანონიერად განხორციელებისთვის საჭიროა, რომ ტყის ფონდის მიწებზე არსებული მრავალწლიანი მცენარეები უნდა ამოირიცხოს სახელმწიფო სატყეო ფონდიდან საქართველოს მთავრობის შესაბამისი ბრძანებულის მიხედვით. სამშენებლო კომპანიამ უნდა გადასცეს მოჭრილი ხეები მუნიციპალიტეტს. შემდგომში მუნიციპალიტეტს შეეძლება აღნიშნული მორები დაურიგოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობას.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
შემოსავლის დაკარგვა			
იჯარით გამცემი/მიწის მფლობელი	შემოსავლის დაკარგვა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო	ყველა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი, რომელსაც აქვს იჯარის/არენდის ხელშეკრულება	ერთჯერადი კომპენსაცია, რომელიც უტოლდება იჯარის ერთ წლიან ღირებულებას (იჯარის ხელშეკრულების მიხედვით); თუ იჯარის ხელშეკრულება არ არსებობს, მაშინ მინიმალური ყოველთვიური ანაზღაურება გამრავლებული 12-ზე.[17]
ზემოქმედება ბიზნესზე, ბიზნესის მფლობელებზე და დასაქმებაზე	ბიზნესის/სამუშაოს დროებით ან სამუდამოდ დაკარგვა	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი (თვითნებურად შეჭრილების ჩათვლით)	ბიზნესის მფლობელი: (i) ფულადი კომპენსაცია1 წლის შემოსავლის ოდენობით თუ ზარალი არის მუდმივი; (ii) ფულადი კომპენსაცია გაიცემა ბიზნესის შეჩერების პერიოდისათვის თუ ზარალი არის დროებითი. კომპენსაცია გამოითვლება საგადასახადო დეკლარაციების მიხედვით. იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დეკლარაციები არ არის ხელმისაწვდომი, ან როდესაც ყოველთვიური შემოსავლები ნაკლებია ანაზღაურების ყოველთვიურ მინიმუმზე, მაშინ ანაზღაურების ოფიციალური მინიმუმი[18] იქნება საფუძველი და მოცემული მაჩვენებელი გამრავლდება 12-ზე (მუდმივი ზემოქმედება), ან ბიზნესის შეჩერების თვეების რაოდენობაზე (დროებითი ზეგავლენა) მუშები/დასაქმებულიპირები: დაკარგული ხელფასის ანაზღაურება ბიზნესის შეჩერებული პერიოდისთვის. ბიზნესის შეჩერების შემთხვევაში, დასაქმებულები მიიღებენ წლიური ხელფასების დანაკარგების 1 წლის ოდენობას. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო დეკლარაციები არ არის ხელმისავწდომი, ან როდესაც ყოველთვიური ხელფასი მინიმალურ ანაზღაურებაზე ნაკლებია, მაშინ ოფიციალური მინიმალური ანაზღაურება იქნება საფუძველი და მოცემული მაჩვენებელი გამრავლდება 12 თვეზე, სამუშაოს მუდმივად დაკარგვის შემთხვევაში.

[17] ზოგიერთ შემთხვევაში, ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს შეიძლება აუნაზღაურდეთ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც მათ გაიღეს პროექტთან დაკავშირებული მიზნებისთვის (მაგ. დღგ, საშემოსავლო გადასახადი, სასამართლოს/ნოტარიუსის მოსაკრებლები და სასამართლოს ხარჯები).

[18] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=179&lang=eng. 2018 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მინიმალური თვიური საარსებო მინიმუმი ხუთი წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის არის 350.20 ლარი. კერძოდ: 350.20 X 3 =1050.60 ერთ მოწყვლად ოჯახზე.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
		სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლთაც შეუწყდათ კონტრაქტი	მათი ხელფასის შესაბამისი ფულადი კომპენსაცია სასოფლო-სამეურნეო წლის დარჩენილი პერიოდის მანძილზე, და სადაც საჭიროა ღონისძიებები საარსებო წყაროს აღსადგენად.
დამატებითი სარეაბილიტაციო ზომები			
ტექნიკური დახმარება ლეგალიზაციის, რეგისტრაციის პროცედურებში		პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი, რომელსაც აქვს რეგისტრირებული სტატუსი/ლეგალიზებადი მიწის ნაკვეთების მფლობელები	უფასო ტექნიკური დახმარება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის ლეგალიზაციისას, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ნაკვეთების დაყოფისას, შესწორებების/ცვლილებების და/ან გაყიდვის ტრანზაქციების რეგისტრაციისას. პროექტთან დაკავშირებული სახელმწიფო გადასახადებს, ოფიციალურ მოსაკრებლებს და ტრანზაქციის ხარჯებს დაფარავს საქართველოს მთავრობა.[19]
ადგილმონაცვლეობა	სატრანსპორტო/გადასვლის ხარჯები	ზემოქმედებაში მყოფი ყველა ადგილმონაცვლე პირი	უზრუნველყავით საკმარისი ოდენობის დახმარება ტრანსპორტირებისა და საარსებო ხარჯების დასაფარად სამი თვის განმავლობაში. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელი კონსულტანტი განსაზღვრავს კომპენსაციის გონივრულ ოდენობას, პროექტის მახასიათებლებიდან და არსიდან გამომდინარე.
ადგილობრივი საზოგადოების რესურსი			წვდომა უნდა აღდგეს ან შენარჩუნდეს; ზემოქმდების ქვეშ მოქცეული ნაგებობების/კომუნიკაციების (მაგ: ხიდები, გზები, სკოლები, სამედიცინო ცენტრები, სასმელი წყლის მიწოდების სიტემები, სარწყავი არხები და აშ) რეაბილიტაცია/ჩანაცვლება
ზემოქმედებაში მოქცეული		პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული	აქტივების დაკარგვის კომპენსაციის გარდა, ერთჯერადი დახმარება სამი (3) თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით[20] და

[19] ზოგიერთ შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს შეიძლება აუნაზღაურდეთ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც უკავშირდება მოცემული საგზაო პროექტის მიზნებს (მაგ., დღგ, საშემოსავლო გადასახადი, სამართლო/ნოტარიული მოსაკრებლები, სასამართლოს ხარჯები).

[20] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=179&lang=eng. მინიმალური თვიური საარსებო მინიმუმი ხუთი წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის აღებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ გვერდიდან და 2018 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით არის 350.20 ლარი. კერძოდ: 350.20 X 3 =1050.60 ერთ მოწყვლად ოჯახზე.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
მოწყვლადი შინამეურნეობები		პირები სიღარიბის ზღვარს ქვევით; შრომისუუნარო ხალხი; პენსიონერები; ქვრივები; შინამეურნეობები, რომელთა სათავეშიც ქალები არიან; ღარიბები; იძულებით გადაადგილებული პირები; ლტოლვილები	დასაქმების პრიორიტეტი პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებში.
მძაფრ ზემოქმედებაში მოქცეული პირები[21]	შემოსავლის 10%-ზე მეტის დაკარგვა	მძაფრ ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნეობა, უნებართვოს შეჭრილების ჩათვლით	მიწისა და მოსავლისათვის დადგენილი კომპენსაციის გარდა, დამატებით გაიცემა ერთჯერადი შემწეობა, რაც გულისხმობს პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნისათვის დადგენილ ფულად კომპენსაციას; კერძოდ, ხუთ-სულიან ოჯახზე ოფიციალურად დადგენილი საარსებო მინიმუმი[22] გამრავლებული 3 თვეზე. ასევე პრიორიტეტის მინიჭება დასაქმების დროს.
დროებითი ზემოქმედება	შემოსავლის დაკარგვა არსებული გზის ჩაკეტვის ან დროებითი მისასვლელი გზის არ არსებობის გამო	მიწის მესაკუთრეები /მიწათმოსარგებლეები	სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მისასვლელი გზების მოწყობას. იმ შემთხვევაში, თუკი მისასვლელის დაკარგვის გამო ზემოქმედებაში მოქცეული პირები დაკარგავენ ერთწლიან კულტურებს და/ან შემოსავალს, სამშენებლო კომპანია მათ აუნაზღაურებს აღნიშნულ დანაკარგებს. ყველა დანაკარგი და გადასახდელი კომპენსაცია უნდა განისაზღვროს მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკომპენსაციო უფლებამოსილებების პრინციპების მიხედვით.
კერძო ნაგებობების დაზიანება გზის	საცხოვრებელი სახლები და კერძო ნაგებობები, რომლებიც დგას	მფლობელები, მოსარგებლეები, მესაკუთრეები	სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე შესაბამისი სპეციალისტი შეამოწმებს მიწაყრილებისა და მეწყერსაშიში ადგილების მდგომარეობას. სამშენებლო კომპანია ჩაატარებს ინსპექტირებას

[21] მოცემული პროექტის ფარგლებში არ დაფიქსირებულა მძაფრი ზემოქმედების შემთხვევები.

[22] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=179&lang=eng. მინიმალური თვიური საარსებო მინიმუმი ხუთი წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის აღებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ გვერდიდან და 2018 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით არის 350.20 ლარი. კერძოდ: 350.20 X 3 =1050.60.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
სამშენებლო სამუშაოების დროს	გზის მონაკვეთებთან ახლოს და სადაც ფიქსირდება მეწყერი ან მიწაყრილები		ადგილზე და შექმნილ საბაზისო მონაცემებს და შეადგენს იმ ნაგებობების სიას, რომლებიც შესაძლოა ზემოქმედების ქვეშ მოექცეს, თუკი ასეთი ნაგებობები გამოვლინდება, ვიბრაციის შემამცირებელი მეთოდები/დანადგარები იქნება გამოყენებული. მშენებელი კომპანია სრულად იქნება პასუხისმგებელი კონტრაქტორის მიერ ჩატარებული ოპერაციებით გამოწვეული ნაგებობების განახლების ხარჯებზე. თუმცა, თუკი დადასტურდება, რომ ნაგებობების დაზიანება არ არის გამოწვეული კონტრაქტორის ოპერაციებით ან გულგრილობით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს მოცემული განსახლების შემოკლებული გეგმის დანართს და გასცემს შესაბამის კომპენსაცია ზემოქმედებაში მოქცეულ პირზე.
	თავიდან იქნას აცილებული ბიზნესთან დროებითი მისასვლელი გზების ჩაკეტვა	ბიზნეს სუბიექტები	დროებითი წვდომა დაწესდება სამშენებლო კომპანიის მიერ. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყოფა ალტერნატიული ადგილი, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, სამშენებლო კომპანიასთან და გზაზე მოვაჭრე სუბიექტებთან შეთანხმებით.
	შემოსავლის დროებითი დაკარგვა ბანაკებისათვის სამშენებლო კომპანიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე	მიწის მესაკუთრეები /მიწათმოსარგებლეები	სამშენებლო კომპანია ითანამშრომლებს ადგილობრივ სახელმწიფო უწყებებთან და სამშენებლო ტექნიკისა და თანამშრომლებისათვის დროებითი ბანაკების მოწყობის დროს უპირატესობას მიანიჭებს კერძო პირების მიერ აუთვისებელ, სახელმწიფო მიწის ნაკვეთებს. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ დროებითი ბანაკების მოსაწყობად შერჩეულ მიწის ნაკვეთებს კერძო მესაკუთრე ან მოსარგებლე ჰყავს, საჭირო იქნება ზარალის შეფასება და შესაბამისი საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმით დადგენილი პირობების მიხედვით.
ნებისმიერი სხვა გაუთვალისწინ	საჭიროებისამებრ	ნებისმიერი პირი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი და სამშენებლო სამუშაოები კონტრაქტორი მართავენ და შეამსუბუქებენ/აანაზღაურებენ

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	ზემოქმედებაში მოქცეული პირის კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
ებელი ზემოქმედება			გაუთვალისწინებელ ზემოქმედებას, რომელიც უკავშირდება განსახლებას, პროექტის განხორციელების პერიოდში.

თავი 6. საჯარო კონსულტაციები, ჩართულობა და განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის გასაჯაროვება

ზოგადი მიმოხილვა

მსოფლიო ბანკის პროცედურების მიხედვით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმა, ითარგმნოს ქართულ ენაზე და გავრცელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამასთან ერთად, საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს საჯარო ინფორმაციის პამფლეტს, ე.ი, განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის საბოლოო შემცირებული ვერსიას, რომელიც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისთვის გასაგებ ენასა და ფორმატში იქნება დაბეჭდილი და მიეწოდება ზემოქმედებაში მოქცეულ ყველა პირს და ადგილობრივ თვითმმართველობებს, რომ ზემოქმედებაში მოქცეულ ტერიტორიაზე გაავრცელონ. დამატებით, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან საჯარო საინფორმაციო პამფლეტის საჯარო ხელმისაწვდომობაზე ადგილობრივ მაცხოვრებლებში, მათ შორის პოტენციური ზემოქმედებაში მოქცეულ საზოგადოებებში პროექტის მოქმედების ტერიტორიაზე, პამფლეტის განხილვის, კომენტირებისა და შესწორებების შეტანის მიზნით გასაჯაროვების პერიოდში. ყველა კომენტარი და შეთავაზება შეგროვდება მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფის მიერ და მიეწოდება კონსულტანტს, საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკს და თუკი მოცემული ინფორმაცია ჩაითვლება შესაფერისად, ის შევა დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში (RPF და ARAP).

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებისა და განხორციელების პროცესში ჩართული ყველა სამთავრობო სააგენტო ინფორმირებულია პროექტის შესახებ და მათი დახმარება გამოყენებული იყო ზემოქმედების აქტივების ინვენტარიზაციის და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების აღწერის დროს. ამასთან ერთად, განსახლების სამოქმედო გეგმის დასრულებასა და მის წარდგენამდე პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს ამომწურავად ეცნობებათ აღწერისა და ინვენტარიზაციის შედეგები და სათანადოდ განიხილება მათთვის სასურველი კომპენსაციის ფორმა და/ან განსახლებასთან დაკავშირებული სხვა დახმარება. ის პროცესები და მექანიზმები, რომლებიც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს დეტალურად არის მოცემული განსახლების შემოკლებულ სამოქმედო გეგმაში. მე-3 დანართში მოცემულია კონსულტანტის მიერ ტექნიკური შეფასებისა და განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადების ეტაპებზე ჩატარებული კონსულტაციების შემაჯამებელი ცხრილი.

საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციის მიზნები

ინფორმაციის მიწოდება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისთვის და პროექტში ჩართული სააგენტოსთვის, განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებისა და განხორციელების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ

პირებთან კონსულტაციები და მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა შეამცირებს პოტენციურ კონფლიქტებს და მინიმუმამდე დაიყვანს პროექტის შეფერხების რისკებს. იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების, ისევე, როგორც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი და კონსულტანტი გააგრძელებენ დიალოგს რაიონისა და მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საჭიროების მიხედვით, მთელი პროექტის მსვლელობისას, რათა უზრუნველყონ:

- შემოთავაზებული ქვე–პროექტების კომპონენტებისა და განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის აქტივობების შესახებ ინფორმაციის სრულად გაზიარება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისთვის;
- ინფორმაციის მოპოვება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ, ასევე ინფორმაციის მიღება შემოთავაზებულ პოლიტიკასა და ქმედებებთან მიმართებაში მათი დამოკიდებულების შესახებ;
- პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სრულად ინფორმირება იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც პირდაპირ იმოქმედებს მათ შემოსავალზე და ცხოვრების სტანდარტებზე და რომ მათ ექნებათ საშუალება, რომ მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებსაც უშუალოდ ექნება მათზე გავლენა;
- პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს აქვთ პროექტზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობებიდან/გზების დეპარტამენტიდან, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მათ კითხვებზე დროული და დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა.
- პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისა და თემების მხრიდან თანამშრომლობისა და მონაწილეობის განწყობის მოპოვება ისეთი აქტივობების მიმართ, რომლებიც საჭიროა განსახლების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის;
- გამჭვირვალობა მიწის ათვისებასა და განსახლებასთან დაკავშირებულ ყველა აქტივობაში.

საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდება პროექტის სრული მიმდინარეობისას და მოიცავს პროექტით დაინტერესებული პირების ფართო სპექტრს. შეხვედრებს დაესწრებიან პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული სოფლების მოსახლეობა, ზემოქმედებაში მოქცეული პირები, ადგილობრივი თვითმმართველობების, სამშენებლო კომპანიის, ზედამხედველი კომპანიის, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საჯარო კონსულტაციების ძირითადი მიზანია ჩართულობის წახალისება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული საზოგადოებისა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მომზადებისა და განხორციელების ეტაპებში.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის საწყისი პროექტი გადაიხედება პროექტით დაინტერესებული პირების შენიშვნების შესაბამისად. მსოფლიო ბანკის პოლიტიკის თანახმად, საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომ განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტი აიტვირთოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე[23].

[23] დასამატებელია ვებ-გვერდი.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გვერდის ქართული ვერსიის ბეჭდური ასლები დარიგდება ადგილობრივი თვითმმართველობების სააგენტოებში.

საჯარო საინფორმაციო პამფლეტი

საჯარო საინფორმაციო პამფლეტი, ე.ი, განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის შემცირებული ვერსია, ზემოქმედებაში მოქცეული პირებისთვის გასაგებ ენაზე და ფორმატში, მზადდება განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის საფუძველზე. დოკუმენტში შეჯამებულია კომპენსაციის მიმღებთა დადგენის „საბოლოო თარიღის“ არსი, კომპენსაციაზე უფლებამოსილებების კრიტერიუმები, შეფასების მეთოდოლოგიისა და კომპენსაციაზე უფლებამოსილებების მოკლე მიმოხილვა, პროექტის განრიგები და განხორციელების მახასიათებლები, ასევე ზემოქმედებაში მოქცეული პირებისა და სხვა დაინტერესებული პირების უფლება-მოვალეობები, საჩივრების განხილვის მექანიზმი და მონიტორინგის სქემები. საინფორმაციო ბუკლეტი წარმოდგენილია დანართში 4.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა

პროექტის ზემოქმედების ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან საჯარო საინფორმაციო პამფლეტის ხელმისაწვდომობაზე ზემოქმედებაში მოქცეული საზოგადოებისთვის, რათა მათ მოახერხონ განსახლების სამოქმედო გეგმაზე კომენტარების გაკეთება, მისი განხილვა და შესწორებების შეთავაზება, გასაჯაროვების პერიოდის განმავლობაში. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტი გასაჯაროვდება პროექტით დაინტერესებული პირების მიერ გაცნობისა და კომენტირების მიზნით. შეტყობინება საჯარო განხილვების დროისა და თარიღის შესახებ მიეწოდათ ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს საინფორმაციო პამფლეტის ასლთან ერთად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პერსონალის მეშვეობით.

საჯარო საინფორმაციო ბუკლეტი (PIB) მიეწოდა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს ARAP-ის საჯარო განხილვების დროს, რომლებიც ჩატარდა 2019 წლის 30-31 მაისს თითოეული გზის მონაკვეთის შესაბამის რაიონულ ცენტრებში: ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური და სამტრედია. საჯარო განხილვების გრაფიკი საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკი მიერ ARAP-ის პროექტის განხილვის შემდეგ მომზადდა. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვის ოქმები და შეხვედრაზე დამსწრე პირების სქესის მიხედვით განაწილებული სია, დამსწერრების გვარ-სახელით, საკონტაქტო ტელეფონებით და ხელმოწერით, წარმოდგენილია წინამდებარე განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მე-4 დანართში.

მონაწილეები მიიღეს ინფორმაციას დაგეგმილი პროექტის შესახებ, კიდევ ერთხელ მოისმინეს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების უფლება-მოვალეობების, პროექტის დაგეგმვის პროცესში ზემოქმედებაში მოქცეული პირების თანამწონაწილეობის მნიშვნელობის თაობაზე.
ამასთან, დამსწრე პირებმა მიიღეს ინფორმაცია კომპენსაციის პრინციპების, ჩანაცვლებითი ღირებულებისა და დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და მოწყვლადი ჯგუფებისთვის,

როგორც მოთხოვნილია მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების სახელმძღვანელოთი OP 4.12 და საქართველოს კანონმდებლობით.

კონსულტანტმა შეაგროვა ყველა კომენტარი და შეთავაზება და ასახა განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის წინამდებარე ვერსიაში, რომელიც წარდგენილ იქნა საბოლოო შეთანხმებისათვის. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ქართული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფისებში და ზემოქმედებაში მოქცეული პირების შესაბამისი რაიონულ ცენტრებსა და მუნიციპალურ შენობებში. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის საბოლოო ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდზე, მას შემდეგ, რაც მოცემული დოკუმენტი დამტკიცდება მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ. კონსულტაციების პროცესი ჩატარდება პროექტის სრული მიმდინარეობისას.

თავი 7. ინსტიტუტიონალური სტრუქტურა

ზოგადი მიმოხილვა

განსახლების სამოქმედო გეგმა მოიცავს სხვადასხვა სახის პროცესებსა და დინამიკას და, ასევე სხვადასხვა მოქმედ პირებს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არის აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა გზების მშენებლობაში, ისევე, მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. კონსულტანტის დახმარებით და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო–დოკუმენტში გაწერილ პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით, გზების დეპარტამენტი შეიმუშავებს და განახორციელებს თითოეული პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმას.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარდა, საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაში, მშენებლობასა და ოპერირებაში მნიშვნელოვან როლს შეიტანენ რიგი სხვა სამთავრობო უწყებები და კერძო პირები. არსებული კანონმდებლობის თანახმად, გარემოსდაცვით საკითხებზე პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია მიწის საკუთრების რეგისტრაციასა და მის გადაცემაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის მიწის მესაკუთრისგან, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე ჩართულები იქნებიან საკრებულო და ზემოქმედებაში მყოფი სოფელი.

ქვემოთ დეტალურად არის მოცემული აღნიშნულ პროექტში მონაწილე თითოეული სახელმწიფო სააგენტოს როლი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (RD) ეკისრება სრული პასუხისმგებლობა MFF-ზე. ეს მოიცავს მიწების შეძენისა და განსახლების საკითხების განხორციელებას და დაფინანსებას და უწყებათაშორის კოორდინაციას. საავტომობილო გზების დეპარტამენტი შეასრულებს თავის ფუნქციებს დეპარტამენტში არსებული განსახლების სამმართველოს მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიწების შეძენისა და განსახლების ყველა საკითხის დაგეგმარებისა და განხორციელების საერთო მართვაზე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაკომპლექტებულია მიწების შეძენისა და განსახლების სპეციალისტების საკმარისი რაოდენობით, რომელთაც ევალებათ მიწების შეძენისა და განსახლების საკოორდინაციო საკითხები ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის დონეზე და პასუხისმგებელნი არიან შემდეგზე:

(i) პროექტების სკრინინიგზე და უნდა უზრუნველყონ, რომ განსახლების სამოქმედო გეგმები მომზადდეს სათანადოდ და განსახილველად გაიგზავნოს მსოფლიო ბანკში;
(ii) ზედამხედველობა გაუწიონ იმ კონსულტანტებს, რომელთაც მოამზადეს განსახლების სამოქმედო გეგმა და ევალებათ მათი განხორციელების მხარდაჭერა;

(iii) მიწების შეძენისა და განსახლებისათვის საჭირო შესაძლებლობების/პოტენციალის დადგენა თითოეული რეგიონალური ოფისის დონეზე, სადაც მიწების შეძენა და განსახლება ხორციელდება;
(iv) სათანადო შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფა; და
(v) მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის თანახმად დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს დაქირავება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ასევე წარმოადგენს საჭირო დოკუმენტაციას, რათა უზრუნველყოს პროექტის ზემოქმედებას ქვეშ მოქცეული პირებისათვის მიწების შეძენისათვის და განსახლებისათვის დროულად ბიუჯეტის გამოყოფა და კოორდინირების გაწევა მიწების შეძენასა და განსახლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებისა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ადგილობრივი ოფისები. საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული ოფისები გამოყოფს ერთ ოფიცერს, რომელიც დაეხმარება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მუშაობას და ასევე გააადვილებს კომუნიკაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ადგილობრივ თვითმმართველობებსა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს შორის და ადგილობრივ თვითმმართველობას დაეხმარება მიწების შეძენისა და განსახლების ამოცანების შესრულებაში.

კონსულტანტები

მიწების შეძენისა და განსახლების საკითხებში ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა სპეციალობის კონსულტანტები:

ა) **პროექტის მომზადების ტექნიკური მხარდაჭერის გუნდი:** გუნდი, რომელიც შედგება უცხოელი და/ან ადგილობრივი პერსონალისაგან, რომელთაც აქვთ მიწების შეძენისა და განსახლების შესაძლებლობები და საჭირო კვლევების ჩატარების უნარი, რათა განახორციელონ საველე გამოკვლევები და მოამზადონ სათანადო განსახლების სამოქმედო გეგმები.

ბ) **პროექტირების კონსულტანტები:** გუნდი, რომელიც შედგება უცხოელი და/ან ადგილობრივი პერსონალისგან, რომელთაც აქვთ მიწების შეძენისა და განსახლების შესაძლებლობები და საჭირო საველე გამოკვლევების ჩატარების უნარი, რომლებიც დეტალური ტექნიკური პროექტის საფუძველზე განახორციელებენ იგივე ღონისძიებებს პირველი ტრანშის განსახლების სამოქმედო გეგმების განახლებისათვის/დასრულებისათვის და ასევე მოამზადებენ განსახლების სამოქმედო გეგმებს.

გ) **ზედამხედველი კონსულტანტები:** გუნდი, რომელიც შედგება უცხოელი და/ან ადგილობრივი პერსონალისაგან, რომელთაც აქვთ მიწების შეძენისა და განსახლების შესაძლებლობები და საჭირო გამოკვლევების ჩატარების უნარი. ზედამხედველობას გაუწევს მთლიან პროექტს.

დ) **სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი (SSC):** კონსულტანტის დაქირავება მოხდება იმისთვის, რომ მან განახორციელოს გარე მონიტორინგი და განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება. ზედამხედველი კონსულტანტის არარსებობის შემთხვევაში,

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი განახორციელებს გარე მონიტორინგს და მოახდენს ყველა გნსახლების სამოქმედო გეგმის შეფასებას.

ე) **აქტივების დამოუკიდებელი შემფასებლები:** გულისხმობს აკრედიტებულ კერძო კომპანიას, რომლის დაქირავება მოხდება პროექტის მომზადების ტექნიკური მხარდაჭერის გუნდის ან პროექტირების კონსულტანტის მიერ, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების შეფასების მიზნით.

სამშენებლო კონტრაქტორი:

სამშენებლო კომპანია, საგზაო სარეაბილიტაციო სამუშაოების გარდა, იქნება ჩართული რომ მკაცრად მიყვეს და შეასრულოს გარემოსა და სოციალური მართვის გეგმის და განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მოთხოვნები და შეზღუდვები. ქვემოთ წარმოდგენილია რამოდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი დავალება:

ა. დროებითი დამცავი ბარიერების უზრუნველყოფა რათა არ მოხდეს იმ მიწის ნაკვეთებზე შეჭრა რომელთა ღობეც მოხვედრილია პროექტის ზემოქმედების ფარგლებში.

ბ. სამშენებლო ღონისძიებების გეგმის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს პროქტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებსა და მოსახლეობისთვის უწყვეტ და შეუფერხებელ გადაადგილებას როგორც გზაზე ასევე მათ მიერ კუთვნილ ქონებასა და სოციალურ ობიექტებზე.

გ. პროქტის ზემოქმედების ქვეშ არსებული ღობეების შეცვლა საკუტარი ხარჯებით თუ:

(i) ზემოქმედებაში მოქცეული პირი არ იმყოფება ან ვერ ხდება მისი ადგილზე მოყვანა დროის კონკრეტულ მონაკვეთზე საგზაო სამუშაოების დაწყების დროს.

(ii) ზემოქმედებაში მოქცეული პირი ადგილზე იმყოფება და უპირატესობას ანიჭებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ არსებული ღობის აღდგენა უზრუნევლყოს სამშენებლო კომპანიამ იმის სანაცვლოდ რომ აიღოს ფულადი კომპენსაცია და თავად უზრუნველყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღობის აღდგენა.

დ. შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინებით საზოგადოების და კომპანიის თანამშრომლების ცნობადობის ამაღლება და პოტენციური რისკები შემსუბუქება HIV/AIDS და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის შესახებ.

ე. დარწმუნდეს რომ ყველა მუშას აქვს მოქმედი კონტრაქტი, გონივრული სახელფასო განაკვეთი და იღებენ გასამრჯელოს დროულად, რომ არ იყვნენ დაუსაბუთებელი და გასამრჯელოს გარეშე დარჩენილი მიგრანტები და ასევე საგზაო სამუშაოებში არ მოხდეს არასწრულწლოვანების დასაქმება.

ადგილობრივი თვითმმართველობები

ადგილობრივ თვითმმართველობებს, განსაკუთრებით კი საკრებულოს დონეზე, აქვთ პირდაპირი იურისდიქცია მიწის ადმინისტრირებაზე, შეფასებაზე, გადამოწმებასა და ათვისებაზე. მიწების შეძენისა და განსახლების კონსულტანტების მიერ განხორციელებული კვლევებისა და აქტივების შეფასების დადასტურების მიზნით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი თავისი

კონსულტანტების მეშვეობით, საკრებულოში, სადაც უნდა განხორციელდეს განსახლების სამოქმედო გეგმა, დანიშნავს მიწის შეძენისა და განსახლების ჯგუფს (საკრებულოს დონეზე), რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან პირები საკრებულოს ადმინისტრაციიდან. საკრებულოს მიწების შეძენისა და განსახლების ჯგუფს, მიწების შეძენისა და განსახლების ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობასთან დაკავშირებით ექნება მჭიდრო კოორდინაცია სოფლის ადმინისტრაციასთან. უწყებათაშორისი კოორდინაცია საკრებულოში და სოფლებში დაეკისრება საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონულ წარმომადგენელს.

სხვა სააგენტოები და უწყებები

მიწების შეძენისა და განსახლების ფარგლებში გათვალისწინებული ამოცანების მომზადება/განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე სხვა უწყება (იხ. ნახაზი 1. ქვევით).
ეს უწყებებია:

(i) **ფინანსთა სამინისტრო.** განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ბიუჯეტი საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიეწოდება ფინანსთა სამინისტროს მიერ საბოლოო განსახლების სამოქმედო გეგმების ოფიციალური დამტკიცების შემდეგ

(ii) **იუსტიციის სამინისტრო.** იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია მიწის საკუთრების რეგისტრაციასა და მის გადაცემაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის მიწის მესაკუთრისგან, შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.

(iii) **ადგილობრივი სასამართლოები.** ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული საკითხების შემთხვევაში, გზების დეპარტამენტს მოუწევს, რომ დაეყრდნოს საკრებულოს სასამართლოს, რომელსაც, სათანადო სამართლებრივი პროცედურის საფუძველზე, მოუწევს განიხილოს ექსპროპრიაციის საქმეები, ჩაატაროს საქმის მოსმენა და გადაწყვიტოს, შესაძლებელია თუ არა მიწის ექსპროპრიაცია და რა ფასად არის ეს შესაძლებელი. იმისათვის, რომ დაჩქარდეს ექსპროპრიაციის პროცესი, საავტომობილო გზების დეპარტამენტი სასამართლოსთან განახორციელებს მოლაპარაკებას სწრაფი სამოქმედო გეგმის შემუშავების თაობაზე.

(iv) **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოსცემს განკარგულებას ექსპროპრიაციის აუცილებლობის დადასტურების შესახებ და განსაზღვრავს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, როგორც უწყებას, რომელსაც ეძლევა ექსპროპრიაციის უფლება. ექსპროპრიაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდება დაახლოებით 1 თვის ვადაში.

(v) **საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (IFI).** მაგალითად, მსოფლიო ბანკი. საჭიროების შემთხვევაში, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებების რეგულარული ზედამხედველობის გარდა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი აგრეთვე განიხილავს ყველა განსახლების სამოქმედო გეგმას და დაადასტურებს კონტრაქტის მინიჭებაზე ხელის მოწერას და სამშენებლო სამუშაოების დაწყებას ყველა ქვე–პროექტზე, რომლისთვისაც მომზადებულია განსახლების სამოქმედო გეგნა.

სქემა 1: პროექტის ორგანოგრამა



ცხრილი 13. პროექტის განხორციელების პროცესზე პასუხისმგებელი სააგენტოების აქტივობები განსახლებასთან დაკავშირებით

ეტაპი	ქმედება	პასუხისმგებლობა
ა)	**განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება**	
1	პროექტის სოციალური ზემოქმედების შეფასება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
2	ზემოქმედების თავიდან აცილება პროექტის დიზაინის/კონცეფციის ადრეულ ეტაპზე	საავტომობილო გზების/პროექტირების კონსულტანტები
3	დეტალური პროექტის დასრულება	პროექტირების კონსულტანტები
4	კვლევის ფორმების მომზადება აღწერისა და დეტალური აზომვითი კვლევისთვის, აღწერისა და დეტალური აზომვითი კვლევის განმახორციელებელი ადგილობრივი ჯგუფების მომზადება და კოორდინაციის უზრუნველყოფა შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებთან.	კონსულტანტი
5	პროექტის ტერიტორიის საკადასტრო და მიწის ნაკვეთების რუქების შეგროვება	კონსულტანტები/საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
6	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ტერიტორიებზე მიწასთან დაკავშირებული ჩანაწერების დაზუსტება, საკადასტრო რუქების განახლება და ზემოქმედებისა და შეფასების კვლევის განხორციელება – დეტალური აზომვითი კვლევა	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო /საკრებულოს დონეზე არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფი
7	საჯარო კონსულტაციების/განხილვების წარმოება	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საკრებულოს დონეზე არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფი
8	კანონიერი და ლეგალიზებადი პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების იდენტიფიცირება	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობა
9	მოლაპარაკებები პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობა
10	აღწერიდან მიღებული მონაცემების ინტეგრირება განსახლების პოლიტიკაში	კონსულტანტი
11	განსახლების სამოქმედო გეგმის წარდგენა საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (და მსოფლიო ბანკისთვის/აზიის განვითარების ბანკისთვის, დასამტკიცებლად).	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტი/მსოფლიო ბანკი
12	გამოქვეყნება	მსოფლიო ბანკი/საავტომობილო გზების დეპარტამენტი

გ)	**განსახლების სამოქმედო გეგმის/განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის დასრულება (დეტალური პროექტი)**	
1	დეტალური პროექტი	პროექტირების კონსულტანტი
2	ზემოქმედებისა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სიები, რომლებიც დეტალურ პროექტს ეფუძნება	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობა/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საკრებულოს დონეზე არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფი
3	განახლებული ტარიფების მიხედვით დადგენილი ფასების მიმოხილვა	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობა/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საკრებულოს დონეზე არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფი
4	ლეგალიზებადი პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების დაკანონება	კონსულტანტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობა/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საკრებულოს დონეზე არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფი
5	განსახლების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადება	კონსულტანტი/საავტომობილო გზების განსახლების სამმართველო
6	დამტკიცება მსოფლიო ბანკის მიერ	მსოფლიო ბანკი
7	განსახლების პოლიტიკის გასაჯაროება: განსახლების პოლიტიკის და საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ თემებში; განსახლების პოლიტიკის გამოქვეყნება მსოფლიო ბანკისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის საიტზე, ინგლისურ ენაზე.	საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/კონსულტანტი/ საკრებულოს დონეზე არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფი/მსოფლიო ბანკი
8	ხელის მოწერა სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის მინიჭებაზე	მსოფლიო ბანკი/საავტომობილო გზების დეპარტამენტი
გ)	**განსახლების სამოქმედო გეგმის/განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელება**	
1	კონტრაქტის ხელმოწერაზე უფლების მინიჭების დადასტურება	მსოფლიო ბანკი
2	კომპენსაციის სამოქმედო გეგმის დეტალური ცხრილი	საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საავტომობილო გზების დეპარტამენტი
3	განსახლების შესახებ შეტყობინებების დაგზავნა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისთვის	საავტომობილო გზების დეპარტამენტი/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/დეპარტამენტის

		წარმომადგენლობა რეგიონში/ საკრებულოს დონეზე არსებული მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფი
4	მიწის კომპენსაციის ჩეკების გაფორმება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/დეპარტამენტის წარმომადგენლობა რეგიონში/
5	სხვა სახის კომპენსაციისა და დახმარების/რეაბილიტაციის ქვითრების მინიჭება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი/ საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/დეპარტამენტის წარმომადგენლობა რეგიონში
6	ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობების/აქტივების დემონტაჟი/გადატანა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
7	განსახლების პოლიტიკის განხორციელების განხილვა შესაბამისობის ანგარიშის მეშვეობით	საავტომობილო გზების დეპარტამენტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი/მსოფლიო ბანკი
8	იმ შემთხვევაში, თუ განსახლების პოლიტიკის განხორციელება დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება, მოხდება შეტყობინების გაცემა სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ	მსოფლიო ბანკი ბანკი/საავტომობილო გზების დეპარტამენტი
დ)	**განხორციელების შემდგომი დავალებები**	
1	სამუშაოების დაწყებამდე უნდა მომზადდეს შესრულების ანგარიში და უნდა მიეწოდოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და აზიის განვითარების ბანკს განხილვისა და დამტკიცებისთვის	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ე)	**ციკლური/მუდმივი ამოცანები**	
1	შიდა მონიტორინგი. კვარტალური ანგარიშგება მსოფლიო ბანკის წინაშე.	საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო
2	გარე მონიტორინგი. 6-თვიანი ანგარიშგება მსოფლიო ბანკის წინაშე	სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი/ ზედამხედველობის კონსულტანტი
3	საჩივრების განხილვა /სასამართლო პროცესები	საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საავტომობილო გზების წარმომადგენელი რეგიონში/სასამართლო
4	უწყებათაშორისი კოორდინაცია და კომუნიკაცია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან	საავტომობილო გზების დეპარტამენტი/საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველო/საავტომობილო გზების წარმომადგენელი რეგიონში

თავი 8. საჩივრების განხილვის მექანიზმი

შესავალი

გამოყენებული იქნება საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მიცემს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს, რომ გაასაჩივრონ ნებისმიერი ის გადაწყვეტილება, პრაქტიკა ან მიწის ან სხვა აქტივის კომპენსაციასთან დაკავშირებული ქმედება, რომელსაც ისინი არ ეთანხმებიან. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს სრულად ეცნობებათ მათი უფლებების და საჩივრების განხილვის პროცედურების და კომპენსაციის დროის შესახებ ზეპირსიტყვიერად ან წერილობით, კონსულტაციების ან კვლევის დროს. ყურადღება ყოველთვის იქნება მიმართული იქითკენ, რომ თავიდან იქნას აცილებული თავად საჩივრების წარმოშობა, ვიდრე მოხდეს მათი გადაჭრის პროცესის გავლა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მიწის შესყიდვისა და განსახლების დოკუმენტის ყურადღებით შემუშავებისა და განხორციელების მეშვეობით, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სრული ჩართულობის და მათთან კონსულტაციების უზრუნველყოფის, ასევე პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ თემებს, აღმასრულებელ ორგანოს და ზოგადად ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ინტენსიური კომუნიკაციისა და კოორდინაციის დამყარების გზით. საჩივრების აღმოფხვრა მოხდება ქვემოთ მოცემულ ცხრილი 3-ში აღწერილი პროცედურის მიხედვით.

საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს პროექტზე მორგებულ სისტემას, რომელიც მუნიციპალურ დონეზეა შექმნილი და რეგულარულ სისტემას, რომელიც გზების დეპარტამენტის დონეზეა შექმნილი. **საჩივრების განხილვის კომიტეტი** (GRCE), რომელიც მუნიციპალურ დონეზეა შექმნილი, როგორც პროექტზე მორგებული ინსტრუმენტი, ფუნქციონირებს პროექტის განხორციელების მთლიანი პერიოდის განმავლობაში. **საჩივრების განხილვის კომისია** (GRCN) შეიქმნება საავტომობილო გზების დეპარტამენტში, როგორც არაფორმალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვას, გადაჭრას და აღრიცხვას.

საჩივრების განხილვის კომისია (GRCE) არის არაფორმალური, პროექტზე მორგებული საჩივრების გადაჭრის მექანიზმი, რომელიც ფუძნდება იმისთვის, რომ გადაჭრას პირველ ეტაპზე წარმოქმნილი საჩივრები. აღნიშნული არაფორმალური სტრუქტურა დაფუძნდება თემის დონეზე თითოეულ დაზარალებულ მუნიციპალიტეტში (სოფლის/თემის თვითმმართველობა). საჩივრების განხილვის კომისიაში უნდა შედიოდნენ მუნიციპალური მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფების და ადგილობრივი თემების წარმომადგენლები. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, რომელიც იქნება მუნიციპალური მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფში, კოორდინირება უნდა გაუწიოს კომისიის ჩამოყალიბებას. ამის შემდეგ, იგი პასუხისმგებელი იქნება კომისიის საქმიანობასა და შეხვედრების ორგანიზებაზე (პირი, რომელიც მოიწვევს შეხვედრებს). ამასთან ერთად, კომიტეტში უნდა შედიოდნენ სოფლის რწმუნებული ან მისი წარმომადგენელი, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების წარმომადგენლები, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ქალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და შესაბამისი ადგილობრივი არასამთავრობოები, რათა შესაძლებელი გახდეს დაზარალებული თემების მოსაზრებების გახმოვანება და უზრუნველყოფილი იყოს მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCN) ჩამოყალიბდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც მუდმივად მოქმედი

არაფორმალური სტრუქტურა, რომელშიც ჩართული იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის პერსონალი ყველა სამმართველოდან, რომელსაც შეხება აქვს მიწის შესყიდვისა და განსახლების საკითხებთან და საჩივრების განხილვასთან. ეს მოიცავს ზედა მმართველ რგოლს, განსახლების განყოფილებას, იურიდიულ სამმართველოებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს და სხვა შესაბამის სამმართველოებს (იმისდა მიხედვით, თუ როგორია განმახორციელებელი სააგენტოს კონკრეტული სტრუქტურა). კომისია საჩივრების განხილვის პროცესში ერთვება მე-2 ეტაპიდან. ბრძანებაში ასევე მოცემული უნდა იყოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აუდიტორები, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები და ნებისმიერი სხვა პირი ან უწყება.

საჭიროების შემთხვევაში კომიტეტი დაფუძნდება თემის დონეზე, რაზეც ბრძანებას გასცემს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. კომიტეტს ეყოლება შვიდი (7) წევრი და იქნება შემდეგი შემადგენლობის:

(i) წარმომადგენელი განმახორციელებელი სააგენტოს განსახლების განყოფილებიდან	:	პირი, რომელიც მოიწვევს შეხვედრებს; საკონტაქტო პირი
(ii) რაიონის წარმომადგენელი მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფში	:	წევრი მდივანი
(iii) გამგებელი – შესაბამისი გამგეობა (სოფლის დონეზე)	:	წევრი
(iv) პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების წარმომადგენელი	:	წევრი
(v) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი	:	წევრი
(vi) სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორის წარმომადგენელი	:	წევრი
(vii) ზედამხედველი კონსულტანტების მიწის შესყიდვისა და განსახლების სპეციალისტი	:	წევრი

შემსრულებელი ორგანოს განსახლების განყოფილების წარმომადგენელი ახდენს კომიტეტის მუშაობის კოორდინირებას და, ამავე დროს, იგი არის **საკონტაქტო პირი** საჩივრების შეგროვებისა და საჩივრების ჟურნალის საწარმოებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მუნიციპალურ დონეზე, კონტრაქტორს, ზედამხედველ კომპანიას (ინჟინერი), ისევე, როგორც ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს (არაფორმალური შეხვედრების მეშვეობით), ეცნობებათ საკონტაქტო პირის შესახებ და მასთან საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

საკონტაქტო პირმა უნდა შეაგროვოს და აღრიცხოს საჩივრები, აცნობოს კომისიის ყველა წევრს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მმართველ რგოლს პრობლემის არსის შესახებ, შესაბამისი დაინტერესებული მხარეები ჩართოს საჩივრის ავტორთან გამართულ დისკუსიებში, საჩივრების განხილვის პირველ ეტაპზე უხელმძღვანელოს მოლაპარაკებებს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან. საკონტაქტო პირმა უნდა მოამზადოს შეხვედრების ოქმები და უზრუნველყოს მათზე ხელის მოწერა. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის გადაჭრა მოხდება

პირველ ეტაპზე, საკონტაქტო პირი აფიქსირებს საჩივრის დახურვის ფაქტს მის მიერ წარმოებულ ჟურნალში და ამის შესახებ წერილობით აცნობებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მმართველ რგოლს. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი მხარეები ვერ დაკმაყოფილდებიან კომიტეტის გადაწყვეტილებით, მათ უფლება აქვთ გამოიყენონ საჩივრების განხილვის მე-2 ეტაპზე მოცემული პროცედურა. ასეთ შემთხვევაში, საკონტაქტო პირი უნდა დაეხმაროს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირს ოფიციალურად საჩივრის აღძვრაში (მომჩივანს უნდა ეცნობოს მისი უფლებებისა და მოვალეობის, საჩივრის აღძვრის წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარდგენის პირობების და ა.შ. შესახებ).

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს უნდა ეცნობოთ საჩივრების გადაჭრის არსებული მექანიზმის შესახებ. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით ან ბროშურების გავრცელების გზით (მაგ.: საკომუნიკაციო გეგმა), ყველა ძირითადი საკითხის შესახებ ინფორმაციის განახლებით და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან რეგულარული კონტაქტის შენარჩუნებით, მრავალპუნქტიანი საჩივრების მეშვეობით და საჩივრების წარდგენის გამარტივებული ფორმის შემუშავებით.

საჩივრების განხილვის ციკლი

ეტაპები	ქმედების დონე	პროცესი
ეტაპი 1	მოლაპარაკებები ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან	საჩივრების განხილვის კომისია არაფორმალურად განიხილავს საჩივარს და შეეცდება დავის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.
ეტაპი 2	საჩივრების განხილვის კომისიის გადაწყვეტილება	იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის გადაჭრა ვერ მოხერხდება მოლაპარაკებების გზით, კომისია დაეხმარება მესაკუთრეს საჩივრის მომზადებაში. კომისიაში საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს მოლაპარაკებების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. მომჩივანმა უნდა წარმოადგინოს საჩივრის გამამტკიცებელი დოკუმენტები. კომისიის წევრი, მდივანი განიხილავს საჩივარს და მოამზადებს საქმეს კომისიაზე მოსასმენად და გადასაჭრელად. კომისიაში ფორმალური მოსმენა ჩატარდება კომისიის მდივანი წევრის მიერ განსაზღვრულ დღეს, შეხვედრების მომწვევ პირთან და დაზარალებულ მესაკუთრეებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ. განხილვის დღეს დაზარალებული მესაკუთრე უნდა მივიდეს კომისიაში. გამგეობის შენობაში. კომისიის მდივანი წევრი ჩაინიშნავს მომჩივანის განცხადებებს და აღნუსხავს საჩივრის ყველა დეტალს. კომისიის მიერ საჩივრის მიღების ვადა 14 დღეა, ხოლო საპასუხო/აღმოსაფხვრელი დრო მოსმენის შემდეგ მაქსიმუმ 10 დღეა. წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილება მოცემულ ეტაპზე იქნება საბოლოო. შეხვედრის მომწვევი პირი გაასაჯაროვებს კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილ გადაწყვეტილებას. მოხდება საქმის ჩანაწერის განახლება და შედეგი ეცნობება მომჩივანს.
ეტაპი 3	საავტომობილო გზების ცენტრალური დეპარტამენტის გადაწყვეტილება	მომჩივანი, რომელსაც არ დააკმაყოფილებს კომისიის გადაწყვეტილება, მიმართავს მეორე ეტაპს. საჩივარს წარადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტში. დეპარტამენტი საჩივარს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში გაწერილი წესების მიხედვით. კომისია დაეხმარება მომჩივანს ოფიციალური საჩივრის მომზადებაში (მომჩივანი მიიღებს ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების, საჩივრის

ეტაპები	ქმედების დონე	პროცესი
		აღძვრის წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარდგენის პირობების და ა.შ შესახებ). კომისიის გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით მიეწოდება მომჩივანს.
ეტაპი 4	სასამართლოს გადაწყვეტილება	იმ შემთხვევაში, თუ გზების დეპარტამენტის გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს მომჩივანს, მას შეუძლია საქმე გააგრძელოს შესაბამის სასამართლოში (რაიონის სასამართლო). ზემოქმედებაში მოქცულ მომჩივან პირს შეუძლია სამართლებრივი მოქმედების წარმოება არა მხოლოდ საკომპენსაციო ოდენობის შესახებ, არამედ სხვა საკითხებზეც, მაგ. მათი თანხმობის გარეშე კონტრაქტორის მიერ მათი მიწის დაკავება, მათი ქონების დაზიანება ან დაკარგვა, მიწის/აქტივების გამოყენების შეზღუდვა და ა.შ.

საჩივრის დახურვა

საჩივარი ჩაითვლება „გადაწყვეტილად“ ან „დახურულად“ თუ გადაწყვეტილება მისაღები იქნება ორივე მხარისთვის, და შესაბამისი მაკორექტირებელი ზომები წარმატებით იქნება დანერგილი.როდესაც შეთავაზებული გადაწყვეტილება შეთანხმებულია პროექტსა და მომჩივანს შორის, შესასრულებლად საჭირო დროის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება უშუალოდ გადაწყვეტილებაზე. რამდენადაც, გადაწყვეტილების შესასრულებლად განსახორციელებელი ქმედებები დაიწყება გასაჩივრებიდან ერთ თვის განმავლობაში და გაკონტროლდება მის შესრულებამდე. როგორც კი დაიწყება გადაწყვეტილების შესრულების პროცესი დან ან მოხდება მისი შესრულება მომჩივანის სასარგებლოდ, საჩივრის დახურვის ფორმას მოეწერება ხელი ორივე მხარის მიერ (მხარეები: RDMRD-საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოსა და სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი და მომჩივანი), იმის მითითებით რომ მომჩივანი ითვალისწინებს რომ საჩივარი დახურულია. ეს ფორმა დაარქივდება პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზაში.

თუმცა, ზოგ შემთვევაში შესაძლოა პროექტმა „დახუროს“ საჩივარი, მაშინაც კი თუ მომჩივანი არ არის კმაყოფილი შედეგით. ასეთი შემთვევის მაგალითია: როდესაც მომჩივანს არ ძალუძს დაასაბუთოს საჩივრის მიზეზი, ან როდესაც მომჩივანის მხრიდან გამოხატულია აშკარა სპეკულაცია ან თაღლითობა. ასეთ შემთხვევებში, პროექტი ეცდება გამოიკვლიოს საჩივარი და მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთოს და გააცნოს მომჩივანს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ უარყოფს ისეთ სარჩელს, რომელიც დაფუძნებულია cursory review დაუსაბუთებელ მიმოხილვებზე და დახურავს საჩივრების აღრიცხვის ჟურნალში თუ მომჩივანი ინფორმირებულია და აქვს შესაძლებლობა რომ წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია და ან ფაქტები.

საჩივრების აღრიცხვა და დოკუმენტირება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გამოყოფს სპეციალურ კადრს, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევს მონაცემთა ბაზას, რათა აღრიცხოს ყველა წარმოდგენილი და ან ჩაწერილი საჩივარი. მონაცემთა ბაზაში აღირიცხება საჩივრის შემტანი კერძო პირის სახელი და ან ორგანიზაციის სახელწოდება, საჩივრის შეტანის თარიღი და შინაარსი, ნებისმიერი ქმედება გადაწყვეტილებების მისაღებად და მაკორექტირებელი ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელიც განხორციელებული იქნება კონტრაქტორის და ან შესაბამისი მხარის მიერ, საბოლოო შედეგი, ასევე როგორ და როდის მოხდება მისი გაცნობა მომჩივანისთვის.

ზედამხედველობისა და სამშენებლო კომპანიები დაფარავს საჩივრების მართვის შესახებ ინფორმაციას ყოველთვიური პროგრესის ანგარიშებში. მონიტორინგი შესრულდება და ანგარიშების წარდგენა გათვალისწინებული იქნება წელიწადში ორჯერ და ყოველწლიურად სოციალურ და აუდიტორულ ანგარიშებში.

საკონტაქტო ინფორმაცია

საჩივრების განხილვის კომისიის ადგილობრივი საკონტაქტო პირები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი თემურ გიორგაძე, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი

ტელ.: 599 36 35 10

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი ლევან ჩხაიძე, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი

ტელ.: 599 76 40 70

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი გოგი ბოლქვაძე, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი

ტელ.: 577 74 99 22

ქობულეთის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი ზაზა კაიკაციშვილი, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი

ტელ.: 599 85 85 48

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

მისამართი: თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. # 12.

საკონტაქტო პირები:

1. აკაკი მშვიდობაძე; მობილური 599 454 941; ელ-ფოსტა:Akaki.Mshvidobadze@georoad.ge
2. მარიამ ბეგიაშვილი; მობილური 577 744 088; 555 400 205; ელფოსტა:mbegiashvili2@gmail.com
3. გიორგი გვარამაძე, პროექტის მენეჯერი; მობილური 595 783 311.
4. მაია ვაშაკიძე; მობილური: 593 32 30 77; ელ-ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk

თავი 9. ხარჯები და დაფინანსება

ზოგადი მიმოხილვა

მოცემული განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის ბიუჯეტი მოიცავს კომპენსაციებს, დამატებით შემწეობებსა და დახმარებების დანახარჯებს ARAP-ის განხორციელებისთვის საჭირო ამოცანების შესასრულებლად. დახმარების დანახარჯები, რომლებიც ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯებს, არის პროექტის სრული ღირებულების ნაწილი. გაუთვალისწინებელი ხარჯები (სრული ღირებულების 10%) ასევე გათვალისწინებულია ბიუჯეტში, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს წინასწარ გათვლილი ბიუჯეტის ცვლილება კონტრაქტების დადებისას გამართული მოლაპარაკებების დროს. იმ შემთხვევაში, თუკი გახდება რაიმე ზედმეტი ხარჯების გაწევა საჭირო, საავტომობილო გზების დეპარტამენტი დროულად გამოყოფს დამატებით სახსრებს. საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტროს მხრიდან დამტკიცების შემდეგ, პასუხისმგებელი იქნება მიწის შესყიდვისა და განსახლების ბიუჯეტის განაწილებაზე, რომელიც მოცემული უწყების წლიური ბიუჯეტის გეგმის ნაწილს უნდა შეადგენდეს.

დეტალიზებული ბიუჯეტი

შეფასების ანგარიშის მოკლე მიმოხილვა მოცემულია 1-ელ დანართში, სადაც აღწერილია საკომპენსაციო განაკვეთების განსაზღვრის მეთოდები, რომელიც ითვალისწინებს ჩანაცვლების ღირებულების დადგენას მიმდინარე საბაზრო ფასების მიხედვით. მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის დამატებით გამოყოფილი ერთჯერადი შემწეობები განისაზღვრება RPF-სა და კარგი პრაქტიკის პრინციპებზე დაყრდნობით. კომპენსაციების გაცემა მოხდება მინიმუმ მოცემულ ARAP-ში აღწერილი ოდენობებით, თუმცა შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა და მეტი ოდენობის კომპენსაციების გაცემა - კონტრაქტების გაფორმებამდე ჩატარებული მოლაპარაკებების შესაბამისად.

მიწის კომპენსაცია

მთლიანი OPCR პროექტის ფარგლებში არ არის დაგეგმილი მიწის შესყიდვა.

კომპენსაცია ნაგებობებზე

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეები

საერთო ჯამში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ ხვდება 79 მიწის ნაკვეთზე არსებული ღობეები; მოცემული ღობეები სხვადასხვა სახისაა: უბრალო ხის, ფიცრების, რკინის ბადიანი ან მავთულხლართიანი, მეტალის ფილებით ან მეტალის ფირფიტებით ბეტონის საძირკველზე.

მოცემული ნაგებობების კომპენსაცია მოხდება ჩანაცვლების ღირებულების, მიმდინარე საბაზრო ფასად, ნარჩენი მასალების, ამორტიზაციის, მოსაკრებლებისა და საბანკო საკომისიოების გამოკლების გარეშე. ჩანაცვლების ღირებულება განისაზღვრება არსებული საბაზრო ფასების შესახებ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს მასალების,

მუშახელის, ტრანსპორტირებისა ან მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა საჭიროებებისთვის აუცილებელ დანახარჯებს. დანახარჯების დეტალური კალკულაცია მოცემულია ტექნიკურ დანართში, სადაც მოცემულია თითოეული ერთეულის ინვენტარიზაციის ფორმები (მიწის ნაკვეთები პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეებით).

ამას გარდა, განსახლების შემოკლებულ სამოქმედო გეგმას ცალკე დანართად ერთვის შეფასების ანგარიში. ქვემოთ მოცემულია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეებისა და შეფასების შეჯამება.

ცხრილი 14. ღობეების ჩანაცვლების ღირებულების ოდენობა ღობის ტიპების გათვალისწინებით

ღობის ტიპი	ერთეულის საკომპენსაციო განაკვეთი (ლარი/მ.)	ერთეულების რაოდენობა	სულ (ლარი)
უბრალო ხის	6.3	612	3,855.60
ხის ფიცრების	11.7	484	5,662.80
რკინის ბადიანი	7	180	1,260.00
მეტალის ფირფიტები ცემენტის საძირკველზე	60	71	4,260.00
მავთულხლართი	5	683	3,415.00
მეტალის ფილები ბეტონის საძირკველზე	65	50	3,250.00
სულ		**2,080**	**21,703.40**

წყარო: შეფასების ანგარიში

კომპენსაცია მსხმოიარე ნარგავებისათვის, თუკი გამოიკვეთება მსგავსი ზემოქმედება სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს

შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს საკომპენსაციო განაკვეთებს მსხმოიარე ხეებისთვის იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს ზემოქმედება მოხდება მსხმოიარე ხეებზე. მოცემული საკომპენსაციო განაკვეთები დადგენილია მსხმოიარე ხეების თითოეული სახეობისთვის, რომლებიც გავრცელებულია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ტერიტორიაზე.

ფულადი კომპენსაცია უნდა ასახავდეს შემოსავლის ჩანაცვლებას. ფულადი კომპენსაცია დათვლილი იქნება იმავე სახეობის, ასაკის და პროდუქტიული ღირებულების მქონე მსხმოიარე ხის საბაზრო ფასის მიხედვით. ზრდასრული, მსხმოიარე ხის მოსავლის ერთწლიანი მოცულობა გამრავლდება ხილის საბაზრო ფასზე (კგ/ლარი) და გამრავლდება იმ წლების რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა იმავე პროდუქტიულ ასაკამდე ახალი ხის გასაზრდელად. დამატებით, თითოეული მსხმოიარე ხე უნდა ანაზღაურდეს ნერგის შესყიდვის ფასის მიხედვითაც.

ცხრილი 15. საკომპენსაციო განაკვეთები მსხმოიარე ნარგავების დაზიანების შემთხვევაში

გზის No	მოწყვლადი შინამეურნეობების რაოდენობა	ერთეულის საკომპენსაციო განაკვეთი (ლარი)	ჯამური ოდენობა (ლარი)
SH -02	0	1,200.00	1,200.00
SH-46	0	1,200.00	1,200.00
SH-81	0	1,200.00	1,200.00
SH-83	0	1,200.00	1,200.00
სულ			**4,800.00**

კომპენსაცია შემწეობების სახით

მოცემული პროექტის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი მძაფრი ზემოქმედების შემთხვევები. დღეის მდგომარეობით, 25 ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობის აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე, არ გამოვლენილა ზემოქმედებაში მოქცეული არც ერთი მოწყვლადი შინამეურნეობა.

შემოთვაზებული ოდენობის ერთჯერადი შემწეობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ განხრციელების პროცესში პროექტის სავარაუდო ზემოქმედებაში მოქცეული 34 ღობის მესაკუთრეების შორის მოწყვლადი შინამეურნე გამოვლინდება.

ცხრილი 16. სარეაბილიტაციო მონაკვეთების ფარგლებში მცხოვრები ზემოქმედებაში მოქცეული მოწყვლადი შინამეურნეობების შეჯამება

გზის No	მოწყვლადი შინამეურნეობების რაოდენობა	ერთეულის საკომპენსაციო განაკვეთი (ლარი)	ჯამური ოდენობა (ლარი)
SH -02	0	1,050.60	1,050.60
Sh-46	0	1,050.60	1,050.60
Sh-81	0	1,050.60	1,050.60
SH-83	0	1,050.60	1,050.60
სულ			**4,202.40**

წყარო: აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევის შედეგები

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მართვა

მშენებლობის ზედამხედველობის კონტრაქტორი (CSC) ჩაატარებს მონიტორინგს სამშენებლო პროექტის მიმდინარეობის მთლიან პერიოდში. არ იქნება საჭირო დამოუკიდებელი, გარე

მონიტორინგის სააგენტოს ჩართვა[24], რადგანაც CSC უკვე ჩართულია განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში შიდა მონიტორინგში. ამას გარდა, CSC-ს ევალება სოციალური ზემოქმედების მუდმივი მონიტორინგი, მათ შორის კერძო საკუთრებაში არსებულ აქტივებზე გადაჭარბებული ზემოქმედება სამშენებლო სამუშაოების დროს, საჩივრები და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული საზოგადოების კმაყოფილების დონე. სხვადასხვა ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვას, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელების მართვის ხარჯები მოცემული მე-17 ცხრილში.

ცხრილი 17. შესაძლებლობათა გაუმჯობესებისა და მართვის ხარჯები

No.	საგანი	საზომი ერთეული	ერთეულის ღირებულება (ლარი)	რაოდენობა	სულ (ლარი)
1	იურიდიული ექსპერტიზა და მონაცემების დაკორექტირება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში[25]	თვე	5,000	6	30,000
2	გარე მონიტორინგის სააგენტოს ხარჯები	თვე	5,000	1	5,000
3	სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯები	თვე	2,000	2	4,000
	სულ				**39,000**

მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯამური ღირებულება და ფონდების დინება

მოცემული ARAP-ის განხორციელების ჯამური ღირებულება შეადგენს **78,917.54 ლარს - 29,557.13 აშშ დოლარის ექვივალენტს**. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის შემაჯამებელი ბიუჯეტი მოცემულია მე-18 ცხრილში. მიწის შესყიდვისა და განსახლების საკითხებთან დაკავშირებული ფულადი სახსრები დაიხარჯება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი (TRRC) პასუხისმგებელია გარედან დაფინანსებული პროექტების ფინანსურ მართვაზე. TRRC მიიღებს პროექტისთვის გამოყოფილ თანხას პირდაპირ ფინანსთა სამინისტროსგან და გაუნაწილებს ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს,

[24] თუმცა, განსახლების სამმართველოსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შესაძლოა დასჭირდეთ დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს დაქირავება ARAP-ის გარე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, 1 თვის ვადით, თუკი მსგავსი საჭიროება გამოიკვეთება პროექტის განხორციელების პერიოდში.

[25] შემსრულებელი სააგენტო იქნება პასუხისმგებელი იურიდიული ექსპერიზის ჩატარებაზე და იმ მონაცემების კორექტირებაზე, რომლებიც დაფიქსირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მიწის ნაკვეთების სარეგისტრაციო ჩანაწერებში და კვეთს გზის განსხვისების ზოლს.

განსახლების სამმართველოსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან განაცხადების მიღების შემდეგ.

ცხრილი 18. ARAP-ის განხორციელების დანახარჯები

No	საკომპენსაციო ერთეული	კომპენსაციის ოდენობა (ლარი)
1	ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების კომპენსაცია	21,703.40
2	მსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავების კომპენსაცია (თუკი დაფიქსირდება ზემოქმედებაში)	4,800.00
3	დახმარება მოწყვლადი ჯგუფებისთვის	4,202.40
4	**ქვე-ჯამი**	**30,705.80**
5	საშემოსავლო გადასახადი (20 %), თუკი არ მოხდება მისგან გათავისუფლება	6,141.16
6	გაუთვალისწინებელი ხარჯები (10 %)	3,070.58
7	**სულ საკომპენსაციო დანახარჯები**	**39,917.54**
8	ARAP-ის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯები	39,000.00
9	**ჯამი (ლარი)**	**78,917.54**
10	**ჯამი (USD) (კურსი: 1 USD-2.67 GEL)**	**29,557.13**

დანახარჯების საორიენტაციო ოდენობის საფუძველი და მიწის შესყიდვისა და განსახლების ბიუჯეტის განახლება

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადების კვლევები მოიცავდა ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების შეფასებას. კვლევის ფარგლებში მოხდა კონსულტაციების გავლა ადგილობრივ ბაზრებზე, რათა დადგენილიყო ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობების ჩანაცვლების ღირებულება. მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის გათვალისწინებული შემწეობების განსაზღვრისას გამოყენებული იყო საარსებო მინიმუმის დონეები. ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ჩანაცვლების ღირებულების დადგენისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა მოცემულია 1-ელ დანართში.

დაფინანსების წყარო

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კომპენსაციებისა და შემწეობების დაფინანსებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომ საკომპენსაციო ოდენობები გადახდილი იყო მიწის სამუშაოებისა და გზის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიიღებს ფინანსთა სამინისტროსგან დამტკიცებულ ბიუჯეტს და წინასწარ გაანაწილებს განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის გათვალისწინებულ სახსრებს.

თავი 10. მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნები

მიწის შესყიდვისა და განსახლების ამოცანები პროექტის ფარგლებში დაექვემდებარება შიდა მონიტორინგს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი პროექტს მიენიჭება A კატეგორია, დამოუკიდებელი გარე მონიტორინგი ჩატარდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების განყოფილების/რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. გარე მონიტორინგი დაევალება სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტს, რომელსაც დაიქირავებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და რომელსაც დაამტკიცებს შესაბამისი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, როგორც გათვალისწინებულია განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტისა და მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით.

შიდა მონიტორინგი

შიდა მონიტორინგს ჩაატარებს საგზაო განვითარებისა და განსახლების განყოფილება/საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი თავად ან დაქირავებული კონსულტანტის მეშვეობით. მონიტორინგის შედეგები ეცნობება მსოფლიო ბანკს კვარტალური პროექტების განხორციელების ანგარიშების მეშვეობით. შიდა მონიტორინგის ინდიკატორები იქნება პროცესთან და უშუალო შედეგებთან დაკავშირებული მაჩვენებლები. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება მოხდება უშუალოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლობისგან და ყოველთვიურად ეცნობება საგზაო განვითარებისა და განსახლების განყოფილებას/საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რათა შეფასდეს განსახლების სამოქმედო გეგმის მიმდინარეობა და შედეგები და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს სამუშაო პროგრამის დარეგულირება. სტანდარტული ზედამხედველობის ანგარიშში მოხდება ყოველთვიური ანგარიშების კონსოლიდირება კვარტალურად, რაც წარედგინება შესაბამის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს (მაგ.: მსოფლიო ბანკს). მონიტორინგის კრიტერიუმები იქნება შემდეგი:

(i) დროულობა, საინფორმაციო კამპანიები, ინფორმაციის ხარისხი და კონსულტაციები პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან;
(ii) მიწის ათვისების სტატუსი და მიწის კომპენსაცია;
(iii) კომპენსაცია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობებისა და სხვა აქტივებისთვის;
(iv) პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების გადაადგილება;
(v) დაკარგული შემოსავლის ანაზღაურება;
(vi) სანაცვლო მიწის ფართობის შერჩევა და განაწილება;
(vii) შემოსავლის აღდგენის ღონისძიებები;
(viii) შემოსავლის აღდგენის ღონისძიებების და კომპენსაციის გაცემის შედეგები, იმის გათვალისწინებით თუ რა დონეზე იქნა საცხოვრებელი პირობების აღდგენა, ხარვეზების იდენტიფიცირება, რომელიც ასახავს რომ საცხოვრებელი პირობების აღდგენა არ მოხდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს საგზაო განვითარებისა და განსახლების განყოფილების/საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის

ფარგლებში განსახორციელებელი განსახლების ღონისძიებების ყოველდღიურ მონიტორინგზე შემდეგი ინსტრუმენტების დახმარებით:

ა) პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირის აღწერის გადამოწმება;

ბ) პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან კონსულტაციები და არაფორმალური საუბრები;

გ) საქმეების საფუძვლიანი შესწავლა;

დ) პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების შერჩევითი კვლევა;

ე) საუბარი ძირითად ინფორმაციაზე; და

ვ) საჯარო შეხვედრები.

გარე მონიტორინგი არ ჩატარდება, რადგანაც მოცემულ პროექტს მიენიჭა B კატეგორია

შესაძლებლობათა გაუმჯობესება და ტრენინგები განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში

მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ყველა ამოცანის ეფექტურად განსახორციელებლად შესაძლოა საჭირო გახდეს საგზაო განვითარებისა და განსახლების განყოფილებაში/საავტომობილო გზების დეპარტამენტში ამჟამად არსებული მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გაფართოება. დეპარტამენტი ჩაატარებს შესაძლებლობათა შეფასებას და განსაზღვრავს შესაძლებლობათა გაუმჯობესების ქმედებებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოითხოვოს დამატებითი ექსპერტები. ასეთი სახის შესაძლებლობათა გაუმჯობესების ინიციატივების დაფინანსება მოხდება პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული შესაძლებლობათა გაუმჯობესების კომპონენტიდან.

შესაძლებლობათა გაუმჯობესება საჭირო იქნება საკრებულოს დონეზე. მიწის შესყიდვისა და განსახლების აქტივობების ფარგლებში საკრებულოში დანიშნულ ჯგუფს ჩაუტარდება შესაძლებლობათა გაუმჯობესება მიწის შესყიდვისა და განსახლების დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით და ისინი გაეცნობიან მსოფლიო ბანკის პოლიტიკას არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით. აღნიშნული განხორციელდება ადგილზე (სამსახურში) ტრენინგების და მიწის შესყიდვისა და განსახლების ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობის მიღების მეშვეობით. სხვადასხვა ეტაპზე ე.ი. (ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის, დეტალური პროექტის და ზედამხედველობის ეტაპები) მიწის შესყიდვისა და განსახლების აქტივობებზე პასუხისმგებელი კონსულტანტები იმუშავებენ მჭიდროდ საკრებულოს მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფთან. უწყვეტ კონსულტაციას და თეორიულ ტრენინგს, რომელიც ჩატარდება საკრებულოს მიწის შესყიდვისა და განსახლების ჯგუფთან და მისი სათანადო ჩართულობით მიწის შესყიდვისა და განსახლების აქტივობების განხორციელებაში, ხელი შეეწყობა კონსულტანტის ჯგუფის მიერ.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის, საკრებულოს და ველზე მომუშავე ყველა თანამშრომელი, რომელიც ჩართულია მიწების შეძენისა და განსახლების ღონისძიებებში გაივლის ერთკვირიან სწავლებას მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკაში და მართვაში. პროექტის განხორციელების დასაწყისში ტრენინგს ჩაატარებს საავტომობილო გზების

დეპარტამენტის მიერ დაქირავებული კონსულტანტი, მოგვიანებით კი თავად საავტომობილო გზების დეპარტამენტი. სწავლება მოიცავს შემდეგ თემებს:

(i) მიწის შესყიდვის პრინციპები და პროცედურები;

(ii) საჯარო შეხვედრები და მონაწილეობა;

(iii) საკომპენსაციო უფლებები და კომპენსაცია და დამხმარე ანგარიშსწორების მექანიზმები;

(iv) საჩივრების დაკმაყოფილება; და

(v) განსახლების ღონისძიებების მონიტორინგი.

თავი 11. განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების განრიგი

განსახლების სამოქმედო გეგმის განრიგი მომზადდა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე. მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ყველა აქტივობა დაიგეგმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს გადაადგილებამდე და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კომპენსაციების გაცემა.

საწყისი ამოცანები

საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველოს განსახლების გუნდი ადგენს შესაბამის უწყებებსა და განრიგს TRRC, LARC, სამუშაო ჯგუფის/LAR ჯგუფის, საჩივრების განხილვის კომისიისა და მსგავსი ჯგუფებისთვის პროექტის ფარგლებში. დეტალური პროექტირების კონსულტანტის მიერ განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის პროექტის დასრულების შემდეგ, განსახლების განყოფილება განიხილავს და დაამტკიცებს დოკუმენტს, მათ შორის საკომპენსაციო განაკვეთებს. განსახლების განყოფილება წარუდგენს დამტკიცებულ განსახლების სამოქმედო გეგმას მსოფლიო ბანკს, განხილვისა და დამტკიცებისათვის. შეიქმნება ყველა პირობა ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან კონტრაქტების გაფორმებისათვის, რომელიც შეეხება საკომპენსაციო ხელშეკრულებებს, რათა მოხდეს გადასახადების დამუშავება.

შესაძლებლობათა გაუმჯობესების აქტივობები გაძლიერდება მოცემულ ეტაპზე. ზემოქმედებაში მოქცეული პირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შესაძლოა ჩაერთონ მიწის შესყიდვისა და განსახლების ტრენინგებში მოცემულ ეტაპზე.

საწყისი აქტივობების იქნება შემდეგი:

(i) საჯარო კონსულტაციები და განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის გასაჯაროვება;
(ii) პროექტის დონეზე საჩივრების განხილვის კომისიის ჩამოყალიბება;
(iii) განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ

განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების აქტივობები

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას შესრულებული იქნება შემდეგი აქტივობები:

(i) ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან კომპენსაციის ხელშეკრულებების ხელმოწერა და კომპენსაციების გაცემა;
(ii) სპეციალური ანგარიშების შექმნა (მაგ. სადეპოზიტო ანგარიში), რათა მასზე განთავსდეს ადგილზე არ მყოფი, დაუდგენელი ზემოქმედებაში მოქცეული პირებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის განთავსება, მათ შორის იმ მიწის ნაკვეთებისთვის, რომელიც ლეგიტიმური მესაკუთრეების ადგილმდებარეობა მოცემულ ეტაპზე ვერ დადგინდა.
(iii) შესაძლებლობათა გაუმჯობესების ტრენინგები LAR უწყებებისთვის, ზემოქმედებაში

მოქცეული პირებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

(iv) საჩივრების გადაწყვეტა

(v) TRRC-სგან კომპენსაციებისა და დახმარებების გადახდის მოთხოვნა

(vi) კომპენსაციებისა და დახმარებების გადარიცხვა ზემოქმედებაში მოქცეული პირების საბანკო ანგარიშებზე

(vii) სამშენებლო ადგილის გასუფთავება ზემოქმედებაში მოქცეული აქტივებისგან

(viii) მიმდინარე შიდა მონიტორინგი

(ix) შეტყობინება სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებისა და განხორციელების განრიგი მოცემულია მე-19 ცხრილში. სხვადასხვა სახის კვლევები ჩატარდა ერთდროულად. 1-თვიანი ბუფერული პერიოდი ასახულია განრიგში პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ადგილმონაცვლეობისთვის.

ცხრილი 19. განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმის მომზადებისა და განხორციელების განრიგი 2018 წლის ნოემბერი - 2019 წლის მარტის პერიოდისათვის

აქტივობა/თვეები	ნოე დეკ	იანვ. თებ	მარ აპრ	მაის ივნ	ივლ აგვ	სექტ ოქტ
	2018	2019	2019	2019	2019	2019
აქტივობები						
პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების იდენტიფიცირება ადგილზე და ინვენტარიზაცია						
პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების მფლობელების განსაზღვრა და აღწერა და პროექტის დეტალების წარდგენა						
პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაცია და შეფასება						
სოციალურ-ეკონომიკური კვლევა						
ARAP-ისა და სავარაუდო ბიუჯეტის მომზადება და წარდგენა						
საჯარო კონსულტაციები - ARAP-ის პროექტის გასაჯაროვება						
ARAP-ის განახლება დაინტერესებული პირების უკუკავშირის მიხედვით და მსოფლიო ბანკისთვის წარდგენა დასამტკიცებლად						
საკომპენსაციო ხელშეკრულებების შეთანხმება და დამუშავება						
AP-ებისათვი საბანკო ანგარიშების გახსნა (საჭიროების შემთხვევაში)						
LAR ბიუჯეტის განსაზღვრა						
ბიუჯეტის გადარიცხვა TRRC-სთვის						
ბიუჯეტის გადარიცხა ზემოქმედებაში მოქცეული პირების საბანკო ანგარიშებზე						
მიმდინარე გადასახადებისა და საჩივრების გადაწყვეტა, საჭიროების შემთხვევაში						
მსოფლიო ბანკის დასტური და კონტრაქტების გაცემა						
ზემოქმედებაში მოქცეული და კომპენსირებული აქტივებისგან გასხვისების ზოლის გასუფთავება						
მიწის სამუშაოების დაწყება						

დანართი 1. შეფასების მეთოდოლოგია

მოცემული დანართი მოიცავს შეფასების ანგარიშის[26] მოკლე აღწერას, მიმდინარე საბაზრო ფასების გათვალისწინებით ჩანაცვლების ღირებულების საკომპენსაციო განაკვეთების განსაზღვრისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიას.

დამოუკიდებელმა, ლიცენზირებულმა შემფასებელმა მოამზადა შეფასების ანგარიში, სადაც განსაზღვრულია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების თითოეული სახეობისათვის საკომპენსაციო განაკვეთები.

1. ხის ბოძებისგან დამზადებული ღობე
2. ფიცრებისგან დამზადებული ღობე
3. რკინის ბადიანი ღობე
4. მეტალის ფირფიტების ბეტონის საძირკველზე
5. მავთულხლართის ღონე
6. მეტალის ფილები ბეტონის საძირკველზე

ზემოქმედებაში მოქცეული ღობეები

ჩანაცვლების ღირებულება დაფუძნებულია ბაზრის არსებული მდგომარეობის კვლევაზე. შეგროვებული მონაცემები მოიცავს შემდეგ საბაზრო ფასებს - სამშენებლო მასალები, მუშახელი, ტრანსპორტირება, გასუფთავება და სამშენებლო ნებართვები და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ოდენობას არ აკლება ამორტიზაციისა და ნარჩენი მასალების ხარჯები და ტრანზაქციის გადასახადები.

ცხრილი 20. საკომპენსაციო განაკვეთები ზემოქმედებაში მოქცეული ღობეების თითოეული ტიპისათვის

ღობის ტიპი	ერთეულოვანი განაკვეთი (ლარი/მ.)	ერთეულების რაოდენობა	სულ (ლარი)
უბრალო ხის	6.3	612	**3,855**
ხის ფიცრების	11.7	484	**5,662**
რკინის ბადიანი	7	180	**1,260**
მეტალის ფირფიტები ცემენტის საძირკველზე	60	71	**4,260**
მავთულხლართი	5	683	**3,415**
მეტალის ფილები ბეტონის საძირკველზე	65	50	**3,250**
სულ		**2,080**	**21,703**

[26] შეფასების ანგარიში ქართულ ენაზე მზადდება განცალკევებული დოკუმენტის სახით და ხელმისაწვდომია ზემოქმედებაში მოქცეული დაინტერესებული პირებისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში.

კომპენსაცია მსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავებისათვის, თუკი მსგავსი ზემოქმედება დაფიქსირდება სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას

პროექტის ბიუჯეტის მომზადებისას გათვალისწინებული იყო დამატებითი ოდენობა მსხმოიარე ხეების მოულოდნელი დანაკარგებისთვის. ეს ითვალისწინებს იმ ხეებისთვის კომპენსაციას, რომლებიც ახლოს მდებარეობს ღობეებთან და რომელთა მოჭრაც შესაძლოა საჭირო გახდეს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ტექნიკური მიზეზების გამო.

შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს საკომპენსაციო განაკვეთებს მსხმოიარე ხეებისთვის იმ შემთხვევებისათვის, როდესაც სამშენებლო ან სარეაბილიტაციო აქტივობების დროს რომელიმე მსხმოიარე ხე ექცევა ზემოქმედებაში. მოცემული საკომპენსაციო განაკვეთები დადგენილია მსხმოიარე ხეების თითოეული სახეობისთვის, რომლებიც გავრცელებულია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ტერიტორიაზე.

ფულადი კომპენსაცია უნდა ასახავდეს შემოსავლის ჩანაცვლებას. ფულადი კომპენსაცია დათვლილი იქნება იმავე სახეობის, ასაკის და პროდუქტიული ღირებულების მქონე მსხმოიარე ხის საბაზრო ფასის მიხედვით. ზრდასრული, მსხმოიარე ხის მოსავლის ერთწლიანი მოცულობა გამრავლდება ხილის საბაზრო ფასზე (კგ/ლარი) და გამრავლდება იმ წლების რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა იმავე პროდუქტიულ ასაკამდე ახალი ხის გასაზრდელად. დამატებით, თითოეული მსხმოიარე ხე უნდა ანაზღაურდეს ნერგის შესყიდვის ფასის მიხედვითაც.

ცხრილი 21. საკომპენსაციო განაკვეთები

მსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავი	ნერგი /ლარი	ნახევრად პროდუქტიული (ნერგის ფასის ჩათვლით) ლარი/ნარგავი	სრულად პროდუქტიული (ნერგის ფასის ჩათვლით) ლარი/ნარგავი
კივი	20	60	130
კაკალი	10	530	1260
თხილი	15	65	90
ქლიავი/ალუჩა	10	50	85
ყურძენი	7	30	70
ხურმა	10	40	130
ლეღვი	10	80	190
წაბლი	8	250	400

მსხმოიარე მრავალწლიანი ნარგავი	ნერგი /ლარი	ნახევრად პროდუქტიული (ნერგის ფასის ჩათვლით) ლარი/ნარგავი	სრულად პროდუქტიული (ნერგის ფასის ჩათვლით) ლარი/ნარგავი
მუშმალა	10	55	170
დაფნა	5	15	35

დანართი 2. საჩივრის ფორმა

<table>
<tr><td colspan="2">საჩივრის ფორმა</td></tr>
<tr><td colspan="2">მომჩივანის განყოფილება:</td></tr>
<tr><td>სახელი, გვარი:
_____</td><td>საფოსტო მისამართი/
/მუდმივი საცხოვრებელი
სოფელი: ----------
მუნიციპალიტეტი:----------</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციის თქვენთვის სასურველი ფორმა მონიშნეთ X -ით
პასუხი ფოსტით, მითითებულ მისამართზე:
_____
შეხვედრა საჩივრების მიმღებ პირთან:</td><td>საკონტაქტო მონაცემები

მობილური:----------

ტელეფონი: ----------

ელ-ფოსტა: ----------</td></tr>
<tr><td>საკომუნიკაციო ენა (მონიშნეთ X -ით)</td><td>ქართული
სხვა _____(დააზუსტეთ)</td></tr>
<tr><td>საჩივრის წარდგენის თარიღი:</td><td>მოსმენის თარიღი:</td></tr>
<tr><td colspan="2">გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თქვენი უკმაყოფილების, საჩივრის მიზეზი.
საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ფურცლები.

წარმოადგინეთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები :</td></tr>
<tr><td>განმცხადებლის ხელმოწერა:

_____

თარიღი_____</td><td>ჩაიბარა: (სახელი, გვარი):_____

ხელმოწერა: _____

თარიღი_____</td></tr>
</table>

საჩივრების განხილვის კომისიის ადგილობრივი საკონტაქტო პირები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი თემურ გიორგაძე, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი ტელ.: 599 36 35 10

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი ლევან ჩხაიძე, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი ტელ.: 599 76 40 70

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი გოგი ბოლქვაძე, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი ტელ.: 577 74 99 22

ქობულეთის მუნიციპალიტეტი: ბ-ნი ზაზა კაიკაციშვილი, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი ტელ.: 599 85 85 48

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

მისამართი: თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. # 12.

საკონტაქტო პირები:

1. აკაკი მშვიდობაძე; მობილური 599 454 941; ელ-ფოსტა:Akaki.Mshvidobadze@georoad.ge
2. მარიამ ბეგიაშვილი; მობილური 577 744 088; 555 400 205; ელფოსტა:mbegiashvili2@gmail.com
3. გიორგი გვარამაძე, პროექტის მენეჯერი; მობილური 595 783 311.
4. მაია ვაშაკიძე; მობილური: 593 32 30 77; ელ-ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk

დანართი 3. საჯარო განხილვის ოქმები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

